

ბ. სვანი, ე. ნაკაშიძე

# ფსიქიატრიის გენეაჩეზიითი ლექსიკონი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი — 1977

617.9(03)  
616.89(038)  
ს. 451

რედაქტორი ბ. ნანეიშვილი

51700-035  
C ————— 77  
M 601(08)—77

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977

### წინასიტყვაობა

ბ. სვანის და ე. ნაკაშიძის მიერ შედგენილი ფსიქიატრიის ქართული განმარტებითი ლექსიკონი მოიცავს 1544 სიტყვას. მისი დაბეჭდვა მეტად სასარგებლო და მიზანშეწონილია, ვინაიდან ამგვარი წიგნი ქართველ სპეციალისტებს დღეისათვის არ მოეპოვებათ.

ქართული ფსიქიატრიული ტერმინოლოგიის შემუშავებზე და დადგენა ჩვენში სამედიცინო ფაკულტეტის დაარსების დღიდანვე დაიწყო. შემდგომში მან განიცადა მნიშვნელოვანი დამატებები და ცვლილებები, მაგრამ ერთიანი სახით იგი არ ყოფილა დამუშავებული. საგულისხმოა ისიც, რომ 15—20 წლის განმავლობაში ფსიქონევროლოგიაში შემოვიდა უამრავი ახალი ტერმინი და ცნება, დაკავშირებული ახალ მიმართულებასა და სამკურნალო საშუალებებთან.

ავტორები შეეცადნენ მკაფიოდ და მოკლედ განემარტათ თანამედროვე ფსიქიატრიული მეცნიერების ძირითადი ცნებები. აქტუალურ ცნებებთან ერთად მკითხველი ლექსიკონში შეხვდება აგრეთვე მოძველებულ სიტყვებსაც. რამდენადაც ისინი ასახავენ ჩვენი მეცნიერების განვითარების გარკვეულ საფეხურს, მათი გაცნობა დაინტერესებული მკითხველისათვის არ იქნება ზედმეტი.

ამგვარი ლექსიკონი სასარგებლო სამსახურს გაუწევს არა მარტო სპეციალისტ-ფსიქიატრებს და ფსიქონევროლოგებს, არამედ სამედიცინო დარგის სხვა სპეციალისტებსაც და განსაკუთრებით მოსაზღვრე დარგის წარმომადგენლებს — იურისტებს, კრიმინალისტებს, საგამომძიებლო დარგის მუშაკებს, რომელთა საქმიანობაში სათანადო ადგილი უჭირავს ფსიქიატრიულ ცნებებს.

მეცნიერების დამსახურებული მო-  
ღვაწე, საკავშირო სამედიცინო აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ა. ზურაბაშვილი.



## ა

**აბორტული** — დაუმთავრებელი, არამკაფიოდ გამოხატული, შეწყვეტილი.

**აბსანსი** — ცნობიერების ხანმოკლე გამოთიშვა (1—2 წამის განმავლობაში) სახის უეცარი გაფითრებით, საქმიანობის შეწყვეტით. დამახასიათებელია ეპილექსიური დაავადებისათვის.

**აბსენცია** — უგრძნობი მდგომარეობა.

**აბსტინენცია** — მძიმე სომატურ-ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც უფითარდებათ. ნარკომანებს ჩვეული ნარკოტიკული საშუალების მიღების შეწყვეტასთან დაკავშირებით (სიმპტომები: თავის ტკივილი, უძილობა, უმადობა, დაწეული გუნებ-განწყობა, შფოთვა).

**აბულია** — უნებისყოფობა, სურვილებისა და მისწრაფებების დაკარგვა.

**აგლაქტია** — ლაქტაციის პერიოდში რძის უქონლობა.

**აგირია** — თავის ტვინის ქერქში ხვეულების არარსებობა.

**აგნოზია** — ასოციაციათა აშლილობის გამო საგანთა უცნობლობა (ტერმინი განმარტებულია მ. ასათიანის მიერ).

**აგნოზიის შემდეგი სახეებია:**

**ა. მხედველობით** — ავადმყოფი ვერ ცნობს საგნებს და მათ თვისებებს (ფერს, ფორმას), ვერ ცნობს ნაცნობ ადამიანებს, სახლს, ქუჩას, მიუხედავად იმისა, რომ მხედველობა არ არის დაზიანებული. **ა. სმენითი** — ავადმყოფი ვერ ცნობს ჩვეულებრივ ბგერებს (მანქანის საყვირს, საათის ტიკტიკს), მუსიკალურ შელოდებებს, ამასთან სმენა სრულიად დაუზიანებელია. **ა. ტაქტილური** — შეხებით საგნის შეცნობის უნარის უქონლობა.

**აგორაფობია (ვესტვალი)** — გაშლილი სივრცის, მოედნის, დაცარიელებული ქუჩების შიში. დამახასიათებელია აკვიატებული ნევროზისათვის.

**აგრაფაცია** — არსებული ავადმყოფური მდგომარეობის გაზვიადება.

**აგრამატიკიზმი** — გრამატიკული წყობის დარღვევა ზეპირ მეტყველებასა და წერის დროს.

**აგრაფია** — წერის უნარის დაკარგვა.

**აგრესიულობა** — ნგრევისა და განადგურებისადმი ლტოლვა.

**აგრიპნია** — უძილობა. ხშირია როგორც ფსიქოზის, ისე ნევროზისა და მთელი რიგი სხვა დაავადებების დროს.

ადაპტაცია — შეგუება, შეჩვევა.

ადაპტილია — თითების თანდაყოლილი უქონლობა.

ადეკვატური — შესატყვისი, მიზეზთან დაკავშირებულ-შეფარდებულ.

ადეფაგია — გაუმძღრობა, შგლის მადა.

ადიადოქინეზი — აგონისტი და ინტაგონისტი კუნთების სწრაფი და თანმიმდევრული შეკუმშვის შეუძლებლობა. წარმოდგენს ნახემის დაზიანების ნიშანს.

ადინამია — უმოქმედობა, პასიურობა.

ადიფსია — წყურვილის გრძნობის უქონლობა.

აეროფაგია — ჰაერის ყლაპვა.

აეროფობია — ჰიპერესთეზიით გამოწვეული ჰაერის ყოველგვარი მოძრაობის გაურკვეველი შიში. გვხვდება ცოფის, ტეტანუსის დროს.

ავადმყოფური ბრძნობა — აზროვნება რეზონიორული.

ავტოდეპოლაცია — ლტოლვა თმების ამოგლეჯისადმი.

ავტოქოლალია — საკუთარი სიტყვების ზედიზედ გაშეორება.

ავტონტოქსიკაცია — თვითმოშხამეა ტოქსიკური ნივთიერებებით, რომლებიც წარმოიქმნება ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოშლის შედეგად.

ავტომატიზმი — ცნობიერების გარეშე. მიზანშეწონილი მოქმედება.

ავტომატური დამყოლობა — პათოლოგიური შთამოგონებლობა. ავადმყოფი ავტომატურად ასრულებს ყოველგვარ ინსტრუქციას, უსიამოვნოს და ტყვილის მომგვრელსაც კი. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

ავტომიზოფობია — მყრალი 'სუნის აკვიატებული შიში (ავადმყოფი გრძნობს როგორც მისგან მომავალს). გვხვდება აკვიატებული მდგომარეობის, ნევროზის დროს.

ავტონომიური ნერვული სისტემა — იგივეა, რაც ევგეტატიური ნერვული სისტემა.

ავტოსუგესტია — თვითშთაგონება.

ავტოტოპოგნოზია — საკუთარი სხეულის ნაწილთა ლოკალიზაციის განსაზღვრის მოშლა; ავადმყოფები კარგად ერკვევიან გარემოწრეში და იმავე დროს ვერ უთითებენ საკუთარ ცხვირს, პირს, თვალს და სხეულის სხვა ნაწილს. გვხვდება თავის ტვინის სისხლძარღვოვან დაავადებათა და სიმსიენის შემთხვევაში.

ავტოფსიქიკური ორიენტაცია — იხ. ორიენტაცია ავტოფსიქიკური.

ავტოქთონური იდეები (ვერნიკე) — ავადმყოფის სურვილის გარეშე წარმოშობილი აზრი, რომელსაც აღიქვამს როგორც უცხო პირისადმი განკუთვნილს.

აზრთა გახშიანება — ავადმყოფს ეჩვენება, რომ ყოველი მისი გაფიქრება ხმამაღლა მეორდება, ისმის თავში განმეორებით.

აზრთა ინკოპერენცია — ასოციაციური პროცესების მაქსიმალური აჩქარების ხარისხი, რომლის დროს მეტყველება გაუგებარია. გვხვდება მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის მანიაკურ ფაზაში.

აზრთა ქარიშხალი — ასოციაციური პროცესების აჩქარება, მოზღვავება. დამახასიათებელია მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის მანიაკური მდგომარეობისათვის.

**აზროვნება აბსტრაქტული** — განყენებული, ცნებითი აზროვნება.

**აზროვნება ალოგიური** (დისლოგიური) — უშინაარსო, გაუგებარი, გაუკვლამართებული აზროვნება.

**აზროვნება არქაული** — აზროვნების პრიმიტიული სტრუქტურა და შინაარსი.

**აზროვნება აუტისტური** — ტენდენციური, სიამოვნების პრინციპით განპირობებული, რეალურის საწინააღმდეგო აზროვნება. ა. ა. არ ეყრდნობა ობიექტურ სინამდვილეში არსებულ კანონებს. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**აზროვნება გაქიანურებული** — მოუკრეფავი ა., ძირითადი აზრის გამოყოფის შეუძლებლობა. გვხვდება ეპილეფსიის, მოხუცებულობითი და ოლიგოფრენიული კეუასუსტობის დროს.

**აზროვნება კონკრეტული** — იხ. აზროვნება ხატოვანი.

**აზროვნება პარალოგიური** — პათოლოგიური აზროვნების ტიპი, როდესაც მსჯელობა თითქოს ლოგიკურ კანონებს ემორჩილება, მაგრამ გამოსავალი დებულება არ არის სწორი; არ შეეფარდება რეალურს, ეწინააღმდეგება სინამდვილეს. ა. პ. ახასიათებს პარანოიას, პარანოიულ ფსიქოპათიას (ამ შემთხვევაში ა. პ. აფექტური, ტენდენციური დაყენებით აიხსნება) და შიზოფრენიას, რომლის დროსაც ა. პ. ატაქსიური აზროვნების მაჩვენებელია.

**აზროვნება პრელოგიური** — იხ. აზროვნება არქაული.

**აზროვნება რეზონიორული** — აზროვნების დეფექტის გარკვეული ფორმა. ავადმყოფი ვერ ახერხებს აზრის გადმოცემას კონკრეტულად

და გასაგებად. მიმართავს მრავალსიტყვიან, მალაღმარლოვან გამოთქმებს, რომელშიც გრამატიკული წყობის დაცვისდა მიუხედავად არავითარი აზრი არ არის. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**აზროვნება სიმბოლური** — თავისებური მნიშვნელობის მიკუთვნება საგნებისა და მოვლენებისადმი. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**აზროვნება ტყეპნითი** — ზედმეტ შეჩერება: წვრილმან, უმნიშვნელო დეტალებზე, ძნელად გადასვლა ერთი აზრიდან მეორეზე. დამახასიათებელია ეპილეფსიისათვის.

**აზროვნება ხატოვანი** — აზროვნების განსაკუთრებული ტიპი, როდესაც აზროვნების მასალა ნათლად წარმოიდგინება, განსხვავებით ცნებითი, აბსტრაქტული ტიპის აზროვნებისაგან.

**ათრეშია** — საწოლიდან ადგომის შეუძლებლობა.

**აილოიომანია** — იხ. სატირიოზი.

**აიკომოფობია** — წვეტიანი და მკრელი საგნების აკვიატებული შიში (ოქსიფობიის სინონიმი). გვხვდება აკვიატებული ნევროზის, ფსიქასთენიის დროს.

**აკაიროია** — სტერეოტიპული ჩამოცილებლობა. ერთი და იმავე მოთხოვნებისა და კითხვების განმეორების ტენდენცია. დამახასიათებელია ეპიდემიური ენცეფალიტის ქრონიკული სტადიისათვის. გვხვდება ნეიროლეფსიური მეთოდით მკურნალობის პერიოდშიც.

**აკალკულია** — ანგარიშწარმოების უნარის დაკარგვა.

**აკაროფობია**, — მუნით დაავადების შიში.

**აკატაგრაფია** — წერის დროს სიტყვების არასწორად განლაგება წინადადებაში.

**აკატაფაზია** — მეტყველებისას სიტყვების არასწორად განლაგება. ზებირმეტყველების პათოლოგია (იხ. აგ რ ა მ ა ტ ი ზ მ ი).

**აკტიზია** — მოტორული მოუცენრობა. ერთსა და იმავე მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნის შეუძლებლობა (დგომა, ჯდომა ან რაიმეს გაკეთება). ხშირად მსგავს სურათს გვაძლევს ფენოთიაზინის მედიკამენტებით მკურნალობა.

**აკვიატებული მდგომარეობა** — ავადმყოფის სურვილის გარეშე წარმოშობილი აზრი, მიზიდულობა, შიში, მოგონებები, მოძრაობა. ამ ზედმეტობის შეგრძნება მთლიანად ფლობს ავადმყოფის ყურადღებას და ხელს უშლის აზროვნების ნორმალურ მიმდინარეობას. აკვიატებული მდგომარეობისადმი ავადმყოფს შენარჩუნებული აქვს კრიტიკული დამოკიდებულება, მაგრამ ვერ ახერხებს მისგან თავის დაღწევას. ა. მ. შინაარსის მიხედვით იყოფა: განცდათა გარეშე და შემაწუხებელ განცდებიან აკვიატებულ მდგომარეობად (განცდათა გარეშე სიტყვების აკვიატებული გახსენება სათანადო განცდით — შემაწუხებელი აკვიატებულურწმუნობა ვინმეს ან რაიმეს მიმართ). დამახასიათებელია ნევროზისათვის (იხ. ფსიქასთენია). შეიძლება თავი იჩინოს შიზოფრენიის დაწყებით სტადიაში.

**აკინეზია** — უმოძრაობა დამბლი-სა და პარეზის გარეშე.

**აკოაზმი** — ელემენტარული სმენითი პალუცინაცია ხმაურის, სტვე-

ნისა და სხვა დაუნაწევრებელი ბგერების სახით.

**აკოკეფალია** — თავის ქალას განვითარების ანომალია. მოგრძო ფორმა, უკან გადახრილი.

**აკოფოზია** — იხ. კ რ ე მ ნ ო ფ ო ბ ი ა.

**აკოციანოზი** — კიდურების სილურჯე. დამახასიათებელია შიზოფრენიის კატატონიური ფორმისათვის.

**აკუმულქტურა** — ჩინური ხალხური მედიცინის მეთოდი (ჩენის მეთოდი). სხეულის გარკვეულ წერტილებში, გარკვეულ სიღრმეზე პლატინის, ოქროს ან ვერცხლის ნემსის ჩხვლეტა. დაავადებისა და სინდრომის მიხედვით ნემსების ჩხვლეტის ადგილი და სიღრმე სხვადასხვაგვარია.

**აკუტა** — მწვავე.

**ალალია** — მეტყველების უნარის დაკარგვა თავის ტვინის ორგანული დაზიანებისას (ან მეტყველების თანდაყოლილი არარსებობა).

**ალალია ფსიქიკური** — მწვავე განცდით გამოწვეული მეტყველების უნარის დაკარგვა.

**ალგეზია** — ტკივილის შეგრძნების მოშლა.

**ალგოლაგნია** — სქესობრივი გაუქუღმართება, როდესაც სქესობრივი აგზნება, დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ ტკივილის საშუალებით. პასიური ა. — მავზონიზმი; აქტიური ა. — სადიზმი.

**ალექსია** — კითხვის უნარის დაკარგვა. ავადმყოფი ვერ ცნობს ცალკეულ ასოს, ვერ იგებს წაკითხულ ტექსტს.

**ალკალოზი** — ორგანიზმში ტუციანობის სიჭარბე.

**ალკოპოლიზმი** — ნერვული სის-

ტემის მოშხამვა სპირტიანი სასმელებით. არჩევენ ალკოჰოლიზმის ორ სახეს: მწვავესა და ქრონიკულს.

**ალკოჰოლიზმი ქრონიკული** — ორგანიზმის რეაქცია ალკოჰოლზე დაქვეითებულია, პიროვნება კი — დეგრადირებული. ვითარდება აბსტინენციური. სინდრომი.

**ალკოჰოლური იუმორი** — დამახასიათებელია ქრონიკული ალკოჰოლიზმისათვის. ეიფორიულ ფონზე ფუქსიატური ოხუნჯობა, რაც პიროვნების გაზერელების, ალკოჰოლური დეგრადაციის მაჩვენებელია.

**ალკოჰოლური მწვავე ფსიქოზი** — ვითარდება ალკოჰოლის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ახასიათებს ცნობიერების დაბინდვა, შიშის აფექტი, უხვი მხედველობითი ჰალუცინაციები (იხ. თეთრი ცხელება).

**ალკჰაიმერის დაავადება** — მოხუცებულობის ფსიქოზის ატიპური ფორმა. მოხუცებულობის ფსიქოზის კლასიკური ფორმისაგან განსხვავებით, დაავადება იწყება შედარებით ადრეულ ასაკში, მიმდინარეობს ავთვისებიანად და ახასიათებს ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული მოშლის ნიშნები.

**ამავროზი** — მხედველობის სრული დაკარგვა.

**ამავროზული იდიოტია** — ნერვული სისტემის პროგრადიენტული, ორგანული დაავადება, რომელიც ბავშვთა ასაკში ვითარდება. ახასიათებს კეუსუსტობა და სიბრმავე.

**ამბივალენტობა** — ორი ურთიერთსაწინააღმდეგო განცდა ერთსა და იმავე დროს. ა. შეიძლება თავი იჩინოს ფსიქიკის ყველა სფეროში: ინტელექტუალურ, ემოციურ და ნე-

ბით სფეროში. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**ამბიდექსტრია** — მარჯვენა და მარცხენა ხელის ერთნაირად ხმარება, შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან სისტემატური ვარჯიშის შედეგი.

**ამენორეა** — მენსტრუალური ციკლის შეწყვეტა (ორსულობის, კლიმაქსის და ზოგიერთი ფსიქოზის დროს).

**ამენცია** — ცნობიერების მოშლის მძიმე ფორმა. გარემოს არასწორი აღქმა. ჰალუცინაციური განცდა მოკლებულია გარკვეულ შინაარსს. დაკავშირებული არ არის ერთიმეორესთან. დამახასიათებელია აზროვნების ინკოპერენტულობა. ბოლოთი აზრები ასევე დაუკავშირებელი და წყვეტილია, ემოციურად არაადეკვატური და არამყარია. ხშირია ქაოსურდ მოძრაობანი.

**ამიზია** — მიმიკის არარსებობა (ნიღბისებრი სახე). დამახასიათებელია პროგრესულ დამბლისათვის.

**ამნეზია** — მეხსიერების დაკარგვა დროის გარკვეულ მონაკვეთში. არსებობს ა. შემდეგი სახეები: ა. ანტეროგრადული (მარკო) — ავადმყოფობის შემდეგ მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების დავიწყება (გვხვდება თავის ქალას ტრავმისა და ეპილფსიური გულყრის შემდეგ). ა. ანტეროგრადული — როგორც დაავადებამდე, ისე მის შემდეგ მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების დავიწყება. ა. პროგრესიული — მეხსიერების პროგრესიული შესუსტება, იწყება ახალი შთაბეჭდილებების დავიწყებით და თანდათან ვრცელდება წარსულზე (დამახასიათებელია ორგანული კეუსუსტობისა-

თვის). ა. რ ე ტ რ ო გ რ ა დ უ ლ ი — დაავადებამდე მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების დაიწყოება. ა. ს ი ს-ტ ე მ უ რ ი — მხოლოდ იმ ფაქტებისა და მოვლენების დაიწყოება, რომლებიც დაკავშირებულია ფსიქიკურ ტრავმასთან (ახსიათებს ისტერიულ ფსიქოზსა და ფსიქონევროზს). ა ფ ი ქ ს ა ც ი უ რ ი — თავგადასავლის უმაღლეს დაიწყოება.

ამნეზიური აფაზია — ის. ა ფ ა ზ -  
ა მ ნ ე ზ ი უ რ ი.

ამნესტიური აბნევა — ის. ც ნ ო -  
ბ ი ე რ ე ბ ი ს ა ბ ნ ე ვ ა.

ამოი — მწვავე, ხანმოკლე ფსი-  
ქოზი, ახსიათებს ცნობიერების შე-  
ცვლა (გაერცელებულია მალაიელებ-  
ში).

ამორფული — ნაკლებად გამოკვე-  
თილი, არათვალნათლივი.

ამუზია — მუსიკალური ნაწარმოე-  
ბის აღქმის ან შესრულების უნარის  
დაკარგვა.

ანალიზატორი — რთული ანა-  
ტომიურ-ფიზიოლოგიური სტრუქ-  
ტურის სისტემა, რომლის საშუალე-  
ბითაც ხდება გარემოდან მიღებული  
მრავალი ვალიზიანების ნატიფი ანა-  
ლიზი. ანალიზატორი სამი ნაწილი-  
საგან შედგება: 1. პერიფერიული ნა-  
წილი ანუ რეცეპტორი; 2. გამტარებე-  
ლი ნაწილი რეცეპტორიდან ცენტრი-  
საკენ; 3. ცენტრალური ნაწილი, ანუ  
თავის ტვინის დიდი ჰემოსფეროს ის  
ნაწილი, რითაც გადაიცემა რეცეპ-  
ტორიდან გამოგზავნილი იმპულსები  
(ანალიზატორის კორტიკალური ნა-  
წილი).

ანალიზი — საგნისა და მოვლენის  
დანაწევრება შემადგენელ ნაწილე-  
ბად.

ანალოგია — მსგავსება, იგივეობა.  
ანამნეზი — ავადმყოფის ცხოვერ-  
ებისა და ავადმყოფობის დაწყების  
ისტორია.

ანანკაში — აკეიტებულობა, ნა-  
ძალადეობა.

ანანკასტი — შფოთიან-იქვენეუ-  
ლი, აკეიტებული აზრებისადმი მი-  
ღრეცილი ხასიათი.

ანართრია — ბგერების გამოთქ-  
მის უნარის დაკარგვა. დამახასიათე-  
ბელია ბუღბარული და ფსევდო-  
ბუღბარული დამბლისათვის.

ანაშიზმი — ნარკოზიანის სახე,  
დაკავშირებული ანაშის ხმარებასთან.

ანგილაგია — სისხლძარღვის კედ-  
ლის ტკივილი.

ანგიოგრაფია — თავის ტვინის  
სისხლძარღვთა რენტგენოლოგიური  
გამოკვლევის მეთოდი.

ანდროფობია — შიში მამაკაცისა-  
დმი.

ანერასტია — სქესობრივი დაუ-  
კმაყოფილებლობა.

ანესთეზია — მგრძნობელობის  
დაკარგვა. სხეულის პერიფერიულ  
ნაწილში მიყენებული ვალიზიანება  
არ აღწევს ცნობიერებამდე (არ შეი-  
გრძნობა).

„ანქსიეტას პრეკორდიალისი“ —  
მძიმე სევდა, რომელიც შეიგრძნობა  
როგორც ტკივილი გულმკერდის არე-  
ში. გვხვდება ენდოგენური დეპრესი-  
ის დროს. წარმოადგენს დეპრესიის  
ფიზიკურ ეკვივალენტს.

ანიზოკორია — გუგების უთანა-  
ბრობა (დიამეტრის სხვაობა). დამა-  
ხასიათებელია ნერვული სისტემის  
ლუესისათვის.

ანიზორეფლექსია — სიმეტრიუ-  
ლი რეფლექსების უთანასწორობა.

ანონიზია — ავადმყოფის მიერ

თავისი სახელისა და გვარის უარყოფა. ნეგატივიზმის ერთ-ერთი სახეა.

ანორექსია — პათოლოგიური უმადობა.

ანოზშია — ყნოსვის შეგრძნების მოსპობა.

ანოქსემია — სისხლში ჟანგბადის უკმარისობა.

ანოქსია — ქსოვილებში ჟანგბადის არარსებობა.

ანტიროგრაფული ამნეზია — იხ. ა მ ნ ე ზ ი ა.

ანტინოზია — წინააღმდეგობა ორდებულებას შორის, რომლებიც ცალკე საესებით სწორაა.

ანტროპოფობია — ადამიანებთან შეხვედრის, ხალხთან ურთიერთობის აკვიტებული შიში.

ანურია — შარდის გამოყოფის შეწყვეტა.

აპათია — ემოციური სფეროს სრული გაუფერულება, ყოველგვარი ინტერესის დაკარგვა როგორც პირადი საქმისადმი, ისე გარშემოყოფების მიმართ. ავადმყოფს არამეტყველი სახე აქვს, ზანტ და ერთფეროვან პასუხებს იძლევა სრულიად მარტივ შეკითხვებზე. ფსიქიკური აქტივობა მკვეთრად და დაქვეითებული.

აპერცეფცია — გაცნობიერებულ ალქმა.

აპერცეფციული კჟუასუსტობა — დამახასიათებელია ეპილეფსიისათვის. ავადმყოფს უკირს მთავარის გამოყოფა შემთხვევითისაგან.

აპლესტია — იხ. ბ ლ ი მ ი ა.

აპოლექსია — სისხლის ჩაქცევა თავის ტვინში.

აპოსტერიორი — ცდისეული, ფაქტებზე დამყარებული.

აპარკსია — მიზანდასახული, ჩვეული მოქმედების უნარის დაკარგვა, მიუხედავად იმისა, რომ კუნთებში ძალა შენარჩუნებულია.

აპრორული — წინასწარ მოცემული. ა. მტკიცება დაფუძნებულია მხოლოდ წინასწარ შემუშავებულ აზრზე და არ ემყარება ცდასა და პრაქტიკას.

აპროვექსია — ყურადღების მკვეთრი დაქვეითება.

აპთალიზმი — ნერწყვის გამოყოფის მოსპობა.

აუიტაცია — ავზნება, შფოთვა, ილუსენერობა.

არაქნოიდიტი — ტვინის ქსელი-სებრი გარსის ანთება.

არაგუმენტაცია — დასაბუთება.

არეფლექსია — რეფლექსების მოსპობა.

არითმომანია — დათვლის აკვიტებული სურვილი. (სრულიად უმიზნოდ ითვლიან ფანჯრებს, აბრებს, წარწერებს, ასოებს, ფილაქნებს და მისთ.). დამახასიათებელია ფსიქსათენიისათვის.

არქაული აზროვნება — პრიმიტიული სტრუქტურა და შინაარსი აზროვნებისა.

ასეშია — ხატვის უუნარობა.

ასთენია — სისუსტე, უღონობა, იხმარება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური სისუსტის აღსანიშნავად.

ასთენიური — უარყოფითი ტონის ძლიერი გრძნობები: შიში, ელდა, ყოყმანი, სევდა, ბოღმა (ა. ზურაბაშვილი).

ასთენიური აფექტი — იხ. ა ფ ე ქ ტ ი ა ს თ ე ნ ი უ რ ი.

ასთენიური განცდა — უარყოფითი განცდა (შიში, ელდა, სევდა, ყოყმანი და მისთ.).

ასთენიური კონსტიტუცია — ფიზიკური აგებულება, რომელსაც ახასიათებს სიგრძეში ზრდა და ვიწრო ღრუები (გრძელი კიდურები, გრძელი კისერი, ვიწრო გულის ყაფაზი, ვიწრო მუცლის ღრუ).

ასთენიური სინდრომი — იხ. სინდრომი ასთენიური.

ასთენიური ფსიქოპათია — იხ. ფსიქოპათია.

ასოციაცია — წარმოდგენათა შორის ისეთი კავშირი, როდესაც ერთი წარმოდგენა (ან აღქმა) უნებურად იწვევს მეორეს.

ასოციაციური ამნეზია — იხ. ცნობიერების ამნეზია.

ასოციაციური (სიტყვიერი) ექსპერიმენტი — კლინიკური ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდი, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდება ავადმყოფის კომპლექსური განცდების გამოვლენა (ბლელიურ-იუნგის მეთოდიკა) და ამავე დროს თავის ტვინში არსებული შეკავების პროცესის სიღრმისა და დონის დადგენა (ივანოვ-სმოლენსკის, ა. ზურაბაშვილის მეთოდიკა).

ასტაზია — დგომის შეუძლებლობა, თუმცა კიდურებში მოძრაობის უნარი შენარჩუნებულია.

ასტაზია-აბაზია — სიარულისა და დგომის შეუძლებლობა (კიდურებში მოძრაობის უნარი შენარჩუნებულია). გვხვდება შუბლის წილის სიმსივნის დროს და ისტერიის შემთხვევაში.

ასტერეოგნოზია — იხ. აგნოზია ტაქტილური.

ასტროფობია — ელვისა და ჰეპატიტის ავადმყოფური შიში.

ატაქსია — მოძრაობათა კოორდინაციის მოშლა. გვხვდება თავისა და

ზურგის ტვინის ზოგიერთი დაავადების დროს (განსაკუთრებით ნათხემის ვესტიბულური აპარატისა და ზურგის ტვინის უკანა სვეტების დასიანებისას).

ატაქსია ინტრაფსიქიკური — ფსიქიკურ ფუნქციათა შორის კოორდინაციის დარღვევა. ასოციაციური გზების სრული დაწყვეტა და გაფხვიერება. შიზოფრენიის ძირითადი სიმპტომია.

ატეტოზი — კუნთების უნებლიე, „კიბიებრი“ შეუქმნევა (მეტწილად თითებისა).

ატოპური — ავადმყოფობის უჩვეულო ფორმა.

აურა — მოულოდნელი, წუთიერი დახშობა ცნობიერებისა შემდგომი ამნეზიით. ხშირად წინ უძღვის ეპილეფსიურ გულყრას.

აურა ვიბრატორი — აურა, რომელიც გამოიხატება შინაგააი ორგანოებიდან სხვადასხვა უსიამოვნო შეგრძნებით.

აურა მოტორული — მოძრაობის ნაირსხვაობა, წარმოებს ავტომატურად.

აუტიზმი — კარჩაკეტილი, დახშული, მოწყვეტილი გარემოს; ავადმყოფი ცხოვრობს მის მიერ შექმნილ არარეალურ სამყაროში.

აფაზია — მეტყველების მოშლა, რაც თავის ტვინის ორგანული დაზიანების მაჩვენებელია. ავადმყოფს დაკარგული აქვს სიტყვებისა და ფრაზების საშუალებით თავისა აზრის გამოთქმის უნარი.

აფაზია ამნეზიური — საგნების სახელწოდების დავიწყება. ავადმყოფი ცდილობს სახელწოდება შეცვალოს საგნის აღწერით. ხშირად დასაწყისი ასოების შესხენება უადუ-



ლებს საგნის სახელწოდების გახსენებას.

**აფექტი** — ხანმოკლე და ძლიერი ემოცია (ემოციური მწვერვალად, ემოციური აფეთქება), რომელიც საესეებით იპყრობს პიროვნებას და შეიძლება ჩაადენინოს მისთვის უჩვეულო საქციელი. აფექტს ყოველთვის თან ახლავს გარკვეული ვეგეტატიური მოვლენები: სისხლის წნევის ზომატება, გულის ცემის აჩქარება, სახის გაწითლება ან გაფითრება, კანკალი, ოფლიანობა და მისთ. იმეა მიხედვით, თუ რა სახისაა ემოცია, აფექტი სხვადასხვაგვარია.

**აფექტი ასთენიური** — ვითარდება ხანმოკლე და მძიმე უსიამოვნო ემოციის (მაგალითად, შიში, მწუხარება) შედეგად და გამოიხატება საერთო სისუსტეში, უმოქმედობაში.

**აფექტ-ეპილეფსია** — ეპილეფსიფორმული გულყრების განვითარება ძლიერი აფექტური მდგომარეობის დროს. სიმპტომური ეპილეფსიის ერთ-ერთი სახეა. ახასიათებთ აკუნებად ფსიქოპათებს.

**აფექტი პათოლოგიური** — ვითარდება გამღიზიანებელთან არაადეკვატურად. ახასიათებს ცნობიერების შეცვლა და აგრესიული მოქმედებანი. ხშირად ა. პ. მთავრდება ძილით, ჩადენილი საქციელის ამნეზიით. პათოლოგიური აფექტი ხანმოკლე ფსიქოზად ითვლება.

**აფექტი სთენიური** — ხანმოკლე, ძლიერი, სასიამოვნო ემოცია (მაგალითად, სიხარული, ექსტაზი). გამოიხატება აქტიურ, ენერგიულ რეაქციებში.

**აფექტი ფიზიოლოგიური** — ვითარდება გარკვეული გაღიზიანების პასუხად. ცნობიერება არ იცვლება.

მოგონება ჩადენილ მოქმედებაზე შენახულია.

**აფექტი შერეული** — იწვევს შერეული ემოცია (მოლოდინი, რისხვა).

**აფექტოგენური** — მძიმე ემოციური დაძაბულობის შედეგად წარმოშობილი დაავადება (ფსიქოგენური, რეაქტიული).

**აფექტური სიცარიელე** — ინტერესების უქონლობა.

**აფონია** — ხმის დაკარგვა, ვითარდება ხმოვანი იოგების ფუნქციის შრომის შედეგად (ბულბარული და ფსევდობულბარული დამბლის შემთხვევაში).

**აფროდიზია** — გაძლიერებული სექსუალური მიზიდულობა.

**აფსიტირია** — მეტყველების უნარის დაკარგვა აღეგებასთან დაკავშირებით. ვითარდება უეცრად, ხანმოკლეა. წარმოადგენს ისტერიის სიმპტომს.

**აქსიროკინეზია** — მოძრაობათა სიღარიბე.

**აქტიური** — მოქმედი, საქმიანი.

**აღქმა** — რთული ინტელექტუალური აქტი. აღამიანი აღქმას ახდენს არა პასიურად, მექანიკურად, ფორტიგრაფიული სიზუსტით, არამედ, შეგნებულად, ამორჩევით, თანახმად პირადი განწყობისა და ინტერესისა. აღქმა იმდენნაირია, რამდენი გრძობის ორგანოც არსებობს (მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, შეხების).

**აღქმის გაუყუღმართება** — იხილუზია, პალუცინაცია, ფსევდოპალუცინაცია.

**აცეფალია** — უთავო ნაყოფი (სიმანხვე).

## ბ

**ბაზოფობია** — სიარულისა და ფეხზე დგომის შიში.

**ბალისტოფობია** — ცეცხლსასროლი იარაღის შიში.

**ბარაფობია** — სიმაღლის აკიატებული შიში.

**ბარესთეზია** — ზეწოლის შეგრძნება.

**ბარიგლოსია** — სიტყვის გამოთქმის გაძნელება.

**ბარითიმი** — უფიქრობა გუნებ-განწყობა.

**ბარილალია** — შეუჩერებელი ლაპარაკი, მეტყველებითი აგზნება.

**ბატარიზმი** — ჩქარი მეტყველებით გამოწვეული ენაბლუობა. მეტყველებითი აპარატის (ყუნთების) ფუნქციის დარღვევის გამო საჭირო ნდება უადგილოდ შესვენება, ამოსუნთქვა.

**ბატოფობია** — სიღრმის, სიმაღლის აკიატებული შიში.

**ბელაში**—1537 წ. ლონდონში დაარსებული ფსიქიატრიული საავადმყოფო, სადაც ადამიანურ მოვლაპატრონობას მოკლებული ავადმყოფები გალიაში ჰყავდათ გამოწყვედულები, სანახაობად გამოყენებული. მიმართავენ მთელ რიგ შემოკლებულ საშუალებებს (ეს ტერმინი დღეს ხმარებაშია როგორც უწყსრიგობის სინონიმი).

**ბერნშტეინის მეთოდი** — შეცულების ფუნქციის გამოკვლევის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური მეთოდი.

**ბინეს მეთოდი** — ყურადღების გამოკვლევის ერთ-ერთი მეთოდი. რაც შეფარდებულ-შეუფარდებელ

წერტილთა დათვლასა და სწორ განლაგებაში მდგომარეობს.

**ბიოლოგოზაცია** — სოციალური მოვლენების ახსნა ბიოლოგიური ფაქტორებით. საუკეთესო მაგალითია იტალიელი მკვლევარის ლომბროზოს მოძღვრება თანდაყოლილ ბოროტმოქმედებაზე (იხ. ლომბროზოს თეორია).

**ბიოპათოგრაფია** — ავადმყოფის ბიოგრაფიული ცნობების ანალიზი მისი პიროვნების დადგენის მიზნით.

**ბიოსტიმულატორები** — ორგანული ბუნების სამკურნალო საშუალება, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის დაკეთი ფუნქციის აქტივაციას (მაგალითად, ფიბსი, ალოე და მისთ).

**ბიექსუალიზმი** — სქესობრივი ლტოლვა როგორც ქალის, ისე მამაკაცისადმი.

**ბლეფაროპტოზი** — ზემო ქუთუთოს დაშვება, მოღუნება. გვხვდება ისტერიის დროს.

**ბოდვა** — ავადმყოფური, მცდარი მსჯელობა, რომლის გადაჭერა არ ხერხდება. ითვლება ფსიქიკური დაავადების ერთ-ერთ არსებით სიმპტომად.

**ბოდვა აბსურდული** — ქუთუთოს სტრუქტურის ბოდვა. გვხვდება შიზოფრენიის შორსწასულ სტადიაში და ორგანული ფსიქოზის დროს (მოხუცებულობის, ათეროსკლეროზული ფსიქოზისა და პროგრესული დამბლისას).

**ბოდვა ავტოფსიქიური** — ბოდვის შინაარსი ეხება მხოლოდ ავადმყოფს, არ ვრცელდება გარშემომყოფ ჰორებზე (თვითდამცირების,

თვითბრალდების, თვითგანდიდების ბოდვები). დამახასიათებელია მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზისათვის.

**ბოდვა აღმოფხვრელი** — ბოდვით მსჯელობაში ყოველთვის იგულისხმება მეორე პირი, რომელიც გარედან მოქმედებს ავადმყოფზე (მოწამელის, დევნის, ფიზიკური ზემოქმედების ბოდვა). დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**ბოდვა აღმოჩენისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ გააკეთა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩენა მეცნიერების ან ტექნიკის დარგში. ატარებს სისტემურ ხასიათს და მსჯელობაში ჩანს აბსურდული ელემენტები.

**ბოდვა განსაკუთრებული მნიშვნელობისა** — დამოკიდებულების ბოდვის მაგვარია. ირგვლივ არსებული ყოველდღიური ცვლილებები სულ სხვა, გაუგებარი მნიშვნელობისა ავადმყოფისათვის.

**ბოდვა გასაგები** — ბოდვის შინაარსი უშუალოდ დაკავშირებულია ავადმყოფის პიროვნებასთან და სიტუაციასთან, რომელიც წინ უძღოდა დაავადების განვითარებას. დამახასიათებელია რეაქტიული ფსიქოზისათვის.

**ბოდვა გაჭურდვისა** — იხ. ბოდვა ზარალისა.

**ბოდვა დამოკიდებულებისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ მის ირგვლივ მყოფთ მასთან გარკვეული დამოკიდებულება აქვთ (ყოველთვის უარყოფითი). მოწამელის, დევნის, ზემოქმედების ბოდვა დამოკიდებულების ბოდვის ცალკეული სახეებია. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**ბოდვა დანაკლისისა** — იხ. ბოდვა ზარალისა.

**ბოდვა დევნისა** (პერსეკუტორული) — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ მას დევნის ერთი ან რამდენიმე პირი, ან მთელი ორგანიზაცია. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**ბოდვა დეპრესიული** — თვითდამცირების, თვითბრალდების, ნიპილისტური, ჰიპოქონდრიული ბოდვა. ვითარდება დეპრესიული გუნებ-განწყობის ფონზე, გვხვდება მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის დეპრესიულ ფაზაში. ხშირია და თითქმის სპეციფიკური ინვოლუციური ფსიქოზისათვის.

**ბოდვა ეროტიკული** — იხ. ბოდვა სიყვარულისა.

**ბოდვა ექსპანსიური** — თვითგანდიდების, აღმოჩენის, სიმდიდრის, სიყვარულის ბოდვა. ვითარდება აწეული გუნებ-განწყობის ფონზე. გვხვდება მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის მანიაკურ ფაზაში, პარაფრენიის და პროგრესიული დამბლის დროს.

**ბოდვა ექვიანობისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ მეუღლე ღალატობს, ამას ამჩნევს მიხვრა-მოხვრაში, გამომეტყველებაში. ყოველწერილმანს განიხილავს როგორც ღალატს.

**ბოდვა ზარალისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ მასთან ახლოს მყოფნი (ოჯახის წევრები, მეზობლები) მატერიალურ ზიანს აყენებენ: ძარცვავენ, ავიწროებენ. გვხვდება ინვოლუციური ფსიქოზის და მოგვიანებულ ასაკში განვითარებული შიზოფრენიის დროს.

**ბოდვა ზემოქმედებისა** — ავადმყოფი განიცდის ფიზიკურ ზემოქმედ-

დებს თავის სხეულზე. დარწმუნებულია, რომ ვიღაც უჩინარი პირი შორიდან მასზე რაღაც ძალებით მოქმედებს და ზიანს აყენებს. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**ბოდვა თეომაწიური** — რელიგიური შინაარსის ბოდვა.

**ბოდვა თვითბრალდებისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ ჩაიდინა დანაშაული, რისთვისაც მოითხოვს სათანადო სასჯელს. გვხვდება ენდოგენური დეპრესიის დროს.

**ბოდვა თვითგანდიდებისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ დიდი დამსახურება აქვს საზოგადოების წინაშე, დაჟილდობებულია დადებითი თვისებებით როგორც ფიზიკურად (ყველაზე ლამაზია, ღონიერია), ისე მორალურად და მატერიალურად. მოითხოვს თავისი ღირსებების დაფასებას და აღიარებას. გვხვდება ორგანული ფსიქოზის დროს. კრიტიკის სრული მოსპობისა და კეუსუსტობის მაჩვენებელია.

**ბოდვა თვითდამცირებისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ ყველაზე დაბალი და უღირსი პიროვნებაა როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. გვხვდება ენდოგენური დეპრესიის დროს.

**ბოდვა ინტერპრეტაციისა** — არსებული ფაქტების, რეალური სინამდვილის და მოვლენების ბოდვითი ახსნა (დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის).

**ბოდვა იპოქონდრიული** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ დაავადებულია მძიმე სომატური სნეულეებით.

**ბოდვა კატათიმური** — წარმოიშობა გარკვეული მძიმე ემოციური განცდის შედეგად.

**ბოდვა კატასთეზური** — შინაგანი ორგანოებიდან წარმოშობილი, ბოდვითად გადამუშავებულ ფიზიკური შეგრძნებები.

**ბოდვა კოლაფსისა** — მწვავე ინფექციური ფსიქოზის დროს, ტემპერატურის კრიტიკული დაცემის პერიოდში განვითარებული დელირიუმი.

**ბოდვა კოტარისა** (აეტორმა 1880 წელს აღწერა) — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ შინაგანი ორგანოები აღარ აქვს, უკვე მკვდარია, ლეშია. თან ერთვის თვითდამცირების, გაძარცვის იდეები. ხშირია პრესენილური ფსიქოზის, უფრო იშვითად შიზოფრენიის დროს.

**ბოდვა მეგალომაწიური** — იხ. ბოდვა თვითგანდიდებისა.

**ბოდვა მეორადი** (ტერმინი იასპერსის) — პირველადი ბოდვისაგან განსხვავებით იქმნება გარკვეული განცდების საფუძველზე.

**ბოდვა მებამოლური** — ობიექტური სინამდვილე ყალბად, გამოიქვლივად ეჩვენებათ (საკუთარი გვარი და სახელიც). გვხვდება შიზოფრენიის დროს.

**ბოდვა მებამორფოზისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ გადაიქცა რომელიმე ცხოველად ან უსულო საგნად, დაკარგა თავისი პიროვნება. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის (სინონიმებია ვალვანთროპია, კინანთროპია).

**ბოდვა მიკრომაწიული** — დაპატარავებულად, დამცირებულად ეჩვენება სხეული, ტანის ყველა ზომა; დამოკლდა, ჩხირივით იქცა.

**ბოდვა მოდავეობის ანუ კვერულანტური** — გაუთავებელი დავა და უსათუძვლო ავადმყოფური ჩივილი.

**ბოდვა მონოთემატური** — ბოდ-

ვის შინაარსი მხოლოდ ერთ თემაზე შეიწერებულა, სხვა შინაარსზე ან სხვა პირზე გაერცელების ტენდენცია არა აქვს. ახასიათებს სისტემატურობა და ყოველი მოვლენის ბოლევითი ინტერპრეტირება.

**ბოლღა მოწამვლისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ წამლავენ საქმლით, ჰაერით ან სხვა საშუალებით. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**ბოლღა ნიჰილისტური** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ არაფერი და არავინ არ არსებობს, ყველაფერი გაქრა, ირგვლივ სიცარიელება, როგორც პიროვნება არ არსებობს, შინაგანი ორგანოები არა აქვს (კოტარის ბოლვის ძირითადი სახეა).

**ბოლღა ორეულისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია იმაში, რომ არსებობს აბსოლუტურად მისი მსგავსი ანუ ორეული როგორც გარეგნული, ისე შინაგანი თვისებებით.

**ბოლღა პარანოიული** — უსისტემო ბოლღა (განსხვავებით პარანოიული ბოლვისაგან), შინაარსი ხშირად მოწამვლის, დევნის, ფიზიკური ზემოქმედებისაა. გვხვდება შიზოფრენიის ბოლევითი ფორმის შემთხვევაში.

**ბოლღა პარანოიული** — ბოლღა, რომელიც იქმნება არსებული ფაქტებისა და მოვლენების ბოლევითი ინტერპრეტაციით, სისტემურ ხასიათს ატარებს (განსხვავებით პარანოიული ბოლვისაგან). პარანოიულ ბოლვას ახასიათებს ექვიანობა, მოღავეობა. გვხვდება პარანოიის დროს და შიზოფრენიის ბოლევითი ფორმის დაწყებით სტადიაში.

**ბოლღა პირველადი** — იქმნება ყოველგვარი მიზეზის გარეშე. მისი

დაშლა და დაყვანა ელემენტებზე არ ხერხდება (განსხვავებით მეორადი ბოლვისაგან), ფსიქოლოგიურად გაუგებარია. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**ბოლღა რეზიდუალური** — მწვავე ფსიქოზის ჩაქრობის შემდეგ შემორჩენილი ბოლევითი აზრები. ფსიქოზის სიმპტომები ჩამქალაია (გვხვდებით ინფექციურ-ინტოქსიკაციური ფსიქოზის ან ეპილეფსიური ფსიქოზის შემთხვევაში).

**ბოლღა რეტროაქტიური** — წარსული ცხოვრების ბოლევითი აღქმა (ბოლევითი აზრების ჩაქსოვით დამახინჯება).

**ბოლღა ხენზიტიური** — დამოკიდებულების, დევნის, ზემოქმედების ბოლევითი აზრები. უფრო ხშირად უვითარდებათ გრძნობამოქარბებულ პირებს, როგორც საკუთარი ექვემდებარების ავადმყოფური გადამუშავება.

**ბოლღა ხენსორული** — ხატოვანი ბოლღა, ვითარდება პალუცინაციების შედეგად. დამახასიათებელია პარანოიული სინდრომისათვის.

**ბოლღა სიმღიდრისა** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ უთვალავი სიმღიდრის მფლობელია, ქონების დიდ ნაწილს პირდება ყველას. მაჩვენებელია ქეუასუსტობის. დამახასიათებელია პროგრესიული დამბლისათვის.

**ბოლღა სისტემური** — ბოლევითი აზრები მოყვანილია ერთ სისტემაში. პარანოიას ძირითადი სიმპტომი.

**ბოლღა სიყვარულისა** — ავადმყოფს ეჩვენება, რომ საწინააღმდეგო სქესის პირს ძალიან უყვარს, აქტიურობს, ესწრაფვას მასთან შეხვედრას. დამახასიათებელია შიზოფრენიისა და ინვოლუციური ფსიქოზისათვის.

**ბოდვა სომატურ-ფსიქიკური** — ბოდვის შინაარსი ეხება მხოლოდ ავადმყოფის ფიზიკურ მდგომარეობას და არ ვრცელდება გარემოზე.

**ბოდვა უსისტემო** — ბოდვით აზრებს შორის არავითარი კავშირი არ არის. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**ბოდვა ფიზიკური ზემოქმედებისა** — დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის. ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ მასზე ფიზიკურ ზეგავლენას ახდენენ სხვადასხვა მეთოდით (ელექტრონით, რენტგენის სხივებით, კიბლოზით და მისთ.).

**ბოდვა ცოდვიანობისა** — რელიგიური შინაარსის ბოდვა (თეოტბრალდების ბოდვის სახეთაგანი): ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ მს. ცოდა და ჯოჯოხეთში წამება მოეცა და (დღეისათვის მსგავსი შინაარსის ბოდვები შემცილებულია).

**ბოდვა ხატოვანი** — ბოდვის შინაარსი მძაფრ, დასურათებულ ხასიათს იღებს. გვხვდება მწვავე ფსიქოზის დროს.

**ბოდვა მოლოტიმური** — მეორადად განვითარებული ბოდვა მძაფრ ექსტრემული მდგომარეობასთან დაკავშირებით (მაგალითად, დეპრესიული შინაარსის ბოდვა ევზოვენური დეპრესიის დროს).

**ბოდვითი აბნევა** — ცნობიერების აბნევის ერთ-ერთი სახე, გარემოს დრეკმა ბოდვის შინაარსის შესაბამისად.

**ბოდვითი განწყობა** — ბოდვა, რომელიც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული გარკვეული მსჯელობის სახით. ატარებს ზოგად, დიფუზურ ხასიათს. გამოიხატება მოვლენების შეცვლილი წარმოსახვით.

**ბოდვითი ფორმა შიზოფრენიისა** — შიზოფრენიის პარანოიდული ფორმა, რომლის წამყვან ფსიქოპათოლოგიურ სურათს ბოდვითი აზრები წარმოადგენს.

**ბოდვის კრისტალიზაცია** — ბოდვითი შინაარსის დაწვეწვა, ჩამოყალიბება (ტრამინი შემოიღო ი. ბალინსკიმ).

**ბოტულიზმი** — მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც იწვევს ნერვეულ-ფსიქიკური მოქმედების მოშლას (საერთო სისუსტე, აღინამია, თავბრუ, ნერვეული სისტემის ორგანული მოშლის ნიშნები, ფტოზი, სტრაბიზმი, ამავროზი, მძიმე შემთხვევაში ცნობიერების დაკარგვა ღრმა კომურ მდგომარეობამდე).

**ბრადიზაზია** — სიარულის შენელება, მოღუწება.

**ბრადიკინეზია** — მოძრაობის შენელება.

**ბრადილალია (ბრადილოგია)** — მეტყველების გაძნელება.

**ბრადიპრაქსია** — მოტორული აქტის, მოქმედების შენელება.

**ბრადიფაზია** — იხ. ბ რ ა დ ი ლ ა ლ ი ა.

**ბრადიურენია** — ფსიქიკური პროცესების საერთო შენელება.

**ბრადიზმი (შოტლანდიელი ექიმი ჯემს ბრაიდი)** — ჰიპნოტიზმის ერთ-ერთ სახელწოდება.

**ბრაქიზაზია** — მოკლე ნაბიჯებით, ააუბედავი სიარული (მოხუცთა სიარული).

**ბრომიდროზი** — მყრალი სუნის ოფლი.

**ბრომიზმი** — ორგანიზმის მოშხამვა ბრომის პრეპარატების ხანგრძლივად მიღების შედეგად. ახასიათებს ძილის მოშლა, დერმატიტი,

ეუკ-ნაწლავის ფუნქციის მოშლა, აპათია (მძიმე შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ფსიქოზი).

**ბრონტოფობია** — ქვეა-ქუხილის ავადმყოფური შიში (იხ. ასტროფობია):

**ბრუტალური** — ტლანქი, უხეში.

**ბულბოკამეინა** — ალკალოიდი,

## ბ

**გაბრუება** — ცნობიერების პირველადი აშლა. ფსიქიკური პროცესები ძლიერ დაკნინებულია. ჩვეულებრივი გამიზიანებელი ვერ აღწევს ცნობიერებამდე, რის გამოც ავადმყოფი დეზორიენტირებულია გარემოში, დროსა და თავის საკუთარ მდგომარეობაში. გაბრუებას საფუძვლად უდევს შეკავება თავის ტვინის ქერქში. გვხვდება ეგზოგენური ფსიქოზის დროს.

**გათანაბრების ფაზა** — იხ. ფაზური მდგომარეობა.

**გალენთროპია** — ზოონთროპიის ერთ-ერთი ფორმა, ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ კატად გადაიქცა.

**გალეროპია** — მხედველობითი აღქმის თავისებური მოშლა; როდესაც საგნები ძლიერ განათებულად აღიქმება (უფრო ხშირად გვხვდება ნახშირორქანით მოწამვლის დროს).

**გალოპური ფორმა** — პროგრესიული დამბლის ყველაზე ავთვისებიანი კლინიკური ფორმა. სწრაფად მიმდინარეობს და მალე ვითარდება ქუთასუსტობა.

**გამბრინიზმი** — ლუდის ქრონიკულად მიღების შედეგად განვითარებული ნარკომანია. კლინიკური გამო-

ორგანიზმში მისი შეყვანა (0,1—0,2) იწვევს კატატონიურ სიმპტომს.

**ბულიმია** — ქამისადმი კარბი მიღრეკილება, გაუმადლობა.

**ბურღონის მეთოდი** — ყურადღების ფუნქციის გამოკვლევის ერთ-ერთი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტობა.

**ხატულება ქრონიკული ალკოჰოლიზმის ანალოგიურია.**

**გამომანია** — იხ. სატირიაზი.

**გამოსავალი მდგომარეობა** — პროგრესულად მავალი ფსიქიკური დაავადების შორსწასული, ფინალური ეტაპი. ხასიათდება პიროვნების დეფექტით.

**განსაკუთრებული მდგომარეობა** (ტერმინი ძირითადად იხმარება სასამართლო ფსიქიატრიაში) — ცნობიერების შეცვლა, რომელიც იწვევება მწვავედ, უეცრად, მიმდინარეობს ხანმოკლედ, ხშირად აგზნებით. მდგომარეობიდან გამოსვლა ხდება ამნეზიით. განსაკუთრებულ მდგომარეობაში იგულისხმება პათოლოგიური აფექტი, პათოლოგიური თრობა, ბინდისებური მდგომარეობა (იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის ეპილეფსიის მიმდინარეობაში განვითარებული ეკვივალენტური მდგომარეობა და მოკლე გადანაცვლების რეაქცია).

**განწყობა** (დ. უზნაძის ფსიქოლოგიური თეორია) — ინდივიდის ის მთლიან-პიროვნული მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია სუბიექტური მოთხოვნილებითა და ობიექტური სიტუაციით. მოცემული

თეორიის თანახმად ყოველი ფსიქიკური მოვლენა განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს. მთლიანი პიროვნული მდგომარეობა სუბიექტში შროთხოვნილებისა და ობიექტური სიტუაციის ზეგავლენით ჩნდება. გ. გაჩოქოშავებისათვის სამი პირობაა აუცილებელი: სუბიექტი, მოთხოვნილება, სიტუაცია.

**გატიური რეაქცია** — ჩაქიდებას, ჩაბლაქებების რეაქცია.

**გარდენალაზმი** — ქრონიკული მოწამელა ლუმინალით. კლინიკური ნიშნები: თავბრუ, სიმთვრალის გრძობა, გულისრევა, მძიმე შემთხვევაში გამოხატულია ვესტაბულოპათია.

**გასაგები კავშირები** — ფსიქოზის შინაარსსა (მაგალითად, ბოდვის შინაარსი) და ფსიქიკურ ტრაიზას შორის არსებული კავშირი, რაც ფსიქიკური დაავადების რეაქტიულ-ფსიქოგენური ბუნების მარჩენებელია ე' გამოთქმა დიაგნოსტიკური მნიშვნელობისაა.

**გატიზმი** — უსუფთაობა, პირადი კიგიენის დაუცველობა.

**გაფალგეზია** — კანზე საგნის ოდნავე შეხებით ტკივილის შეგრძნება. კესნდება ისტერიის შემთხვევაში.

**გაფტოდისფორია** — უსიაპოვნო შეგრძნება საგნის შეხებისას.

**გეზოიდი** — ფსიქოპატი ზნეობრივად მიუღებელი ქცევებით

**გედონალგია** — შერეული გრძობების განცდა ერთდროულად (მაყოფილებისა და დაუქმაყოფილებლობის)

**გედონიზმი** — უჩვეულო ლტოლვა განცხრომისადმი (მანიაკური მდგომარეობის დროს გვხვდება).

**გენეალოგია** — შთამომავლობის

აღწერილობა. ნათესაური კავშირის შესწავლა-გამორკვევა.

**გენერალიზაცია**, ანუ ბოდვის დიფუზია — ბოდვის შინაარსის გაფართოება, გავრცელება. დამახასიათებელია შიზოფრენიული ბოდვისათვის.

**გენი** — მემკვიდრეობითი თვისებების მატარებელი მატერიალური ერთეული.

**გენოტიპი** — ორგანიზმის თვისებები, რომლებიც თანდაყოლილია და მემკვიდრეობით მიღებული.

**გენოტიპური** — მემკვიდრეობით გადმოცემული თვისებები (ვანსხეულებით ფენოტიპური სიგან, რაც ნიშნავს ინდივიდუუმის განვითარების მანძილზე შექმნილ თვისებებს).

**გეოფაგია** — ავადმყოფური ლტოლვა მიწის ქამისადმი.

**გერონტოფილია** — სექსუალური მიდრეკილება ხნიერი პირებისადმი.

**გერონტოფობია** — სიბერის აკვიტებული შიში.

**გილოფაგია** — შუშის ქამა.

**გიგანტიზმი** — სხეულის ნაწილობის პროპორციულ ნორმასზე მეტი გარდა-გადიდება, განსაკუთრებული ზრდა სიმალღეში (მამაკაცები — 2 მ, ქალი — 1,8 მ). ტინის დანამატის კიპერფუნქციის მარჩენებელია.

**გიეროშანი** — იხ. ეითემოგანი.

**გინეკომასტია** — მამაკაცის სარქვევ ჩირკელის უზომო განვითარება.

**გინეკოფილია** — ჰომოსექსუალიზმის ერთ-ერთი სახე, ქალში აღძრული სექსუალური მიდრეკილება ხანში შესული ქალისადმი.

**გინეკოფობია** — აკვიტებული შიში ქალისადმი.

**გიფედონია** — სასიამოვნო გან-



ცდის შეგვრძნების მოსპობა ან დაქვეითება.

**გიფსოფობია** — ის. აკროფობია.

**გლობალური** — ანუ დიფუზური კუუსუსტობა, როდესაც ინტელექტუალური ფუნქციების დაქვეითებასთან ერთად ზიანდება პიროვნების ძირითადი ბირთვი. დამახასიათებელია მოხუცებულობის ფსიქოზისა და პროგრესიული პარალიზისათვის.

**გლოსოლალია** — ბგერების გაუგებარი, უაზრო დაკავშირება.

**გლოსოპლევია** — ენის სრული უმოძრაობა.

**გონაკრატია** — სქესობრივი უძლურება.

**გრანმალი** — დიდი ეპილეფსიური (კრუნჩხვითი) გულყრა.

**გრაოფილია** — იგივეა, რაც გინეოფილია.

**გრაფოლოგია** — ხელწერის შემსწავლელი მეცნიერება (ფსიქიატრიის სინამდვილეში ხელწერის შესწავლას ასოციაციური პროცესისა და ფსიქოპათორულ მთელის დასადგენად მიმართავენ).

**გრაფომანია** — საკუთარი აზრების წერილობით გამოხატვის დაუძლეველი ლტოლვა.

**გრაფოსპაზმი** — წერის სპაზმი, თავისებური მოტორული მოშლილობა, რომელიც ვითარდება წერის

დროს, მაშინ, როდესაც სხვა ყოველგვარი მოძრაობა ხელებით სრულიად თავისუფლად სრულდება.

**გრაფოფობია** — წერისადმი აკეი-ატებული შიში. ავადმყოფს შიშს გერის ფანქრის, კალმისტრის ხელში ალება.

**გრაციის დაკარგვა** (კრებელინი) — პარპონიული მოძრაობის უნარის დაკარგვა. გვხვდება შიზოფრენიის დროს.

**გრეტერის ფორმა** — შიზოფრენიის ალკოპოლური საწყისი.

**გრიპი** — ვირუსული დაავადება (ფრანგული სიტყვაა, შეჭვარებას, გააწვრას ნიშნავს), ახასიათებს სწრაფი ეპიდემიური გავრცელება. კლინიკურ სურათში ფსიქიკური სფეროს მხრივ ხშირია ჩვეულებრივი ასთენია (უფრო ხშირია ასთენურ-დეპრესიული სინდრომი) და ცნობიერების დაბნევა. განსაკუთრებით მძიმე დელირიოზულ — ამენიური სურათი გვხვდება გრიპის ენცეფალური ფორმის დროს. ინფექციური შემდგომი ასთენია ზოგ შემთხვევაში გახანგრძლივებულ დეპრესიულ-იაოქონდრიულ ელფერს იღებს.

**გრძნობა** — ხულიერი მოძრაობები, რომელიც სხვა სულიერ პროცესებსა და შინაარსზე დაუყვანად, დამოუკიდებელ, სპეციფიკურ და შემთავარგულ განცდას წარმოადგენს.

## დ

**დაავადება ბაზედოვის** — დაკავშირებული ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციასთან (სინონიმი თირეოტოქსიკოზი, ჰიპერთირეოზი). ახასიათებს ადვილად აგზნებადობა, გუნებ-

ვანწყობის ცვალებადობა (უფრო ხშირად დეპრესიული, იშვიათად მანიაკური), ადვილად დაქანცვა, ძილის მოშლა და მთელი რიგი ნევროლოგიური ნიშნები.

დაავადება ბეტტერევის — შიში ნერვული პროგრესიული დამბლა (გამოხატება ხერხემლის გაშეშებით, გამრუდებით).

დაავადება ბლეილერის — იხ. შ ი ზ ო ფ რ ე ნ ი ა.

დაავადება ეგზოგენური — გარეგანი მიზეზით განპირობებული დაავადება (განსხვავებით ენდოგენურისაგან). ინფექციის, ინტოქსიკაციის, ფსიქიკური ტრავმის შედეგად განვითარებული ფსიქოზი.

დაავადება ეკონომოსი — იხ. ე ნ ც ე ფ ა ლ ი ტ ი ე პ ი დ ე შ ი უ რ ი.

დაავადება ინტერმისიული — დაავადება, რომელსაც შეტევათა შორის ნათელი შუალედი ახასიათებს.

დაავადება ლისაურის — პროგრესიული დამბლის ატიპური ფორმა. დამახასიათებელია კეროვანი, ორგანული სიმპტომები.

დაავადება მონოსიმპტომური — დაავადება, რომელიც მხოლოდ ერთი პათოლოგიური სიმპტომით ვლინდება.

დაავადება პროგრადიენტული (ანუ პროცესუალური) — დაავადება, რომელსაც ახასიათებს პროგრესიული მიმდინარეობა (მაგალითად, შიზოფრენია, პროგრესიული დამბლა).

დაავადება რემისიული — დაავადება, რომელიც რემისიით მიმდინარეობს (დროებით შეჩერებით).

დაავადება ფსიქოგენური — ფსიქიკური დაავადება, რომელიც შიშვე განცდის შედეგად ვითარდება (ნევროზები და რეაქტიული ფსიქოზები). უფრო ხშირად ავადდებიან ნაკლები ამტანობის პირნი.

დაავადება ფუნქციური — დაავადება, რომელსაც საფუძვლად უდევს

არა ორგანული, არამედ დროებითი ნეაროდინამიკური მოშლა (ნევროზები, ფსიქოგენური რეაქციები).

დალტონიზმი — თანდაყოლილი სიბრძავე ფერების მიმართ — მწვანეს ხედავს წითლად, წითელს მწვანედ. (იხ. დ ე ი ტ ე რ ა ნ ო პ ი ა და პ რ ო ტ ა ნ ო პ ი ა).

დამბლა — ნებისმიერი აქტიური მოძრაობის გამოვარდნა, რომელიც ვითარდება მოძრაობის ცენტრის ან კორტიკომესკულარული გზების დაზიანებისას: მ ო ნ ო პ ლ ე გ ი ა — ერთი კიდურის დამბლა; პ ა რ ა პ ლ ე გ ი ა — ორივე ზედა ან ორივე ქვედა კიდურის დამბლა; ტ ე ტ რ ა პ ლ ე გ ი ა — ორივე ზედა და ორივე ქვედა კიდურის დამბლა (გვხვდება ისტერიის დროს); ჰ ე მ ი პ ლ ე გ ი ა — ნახევარი სხეულის დამბლა.

დამბლა ისტერიული — ფსიქოგენური წარმოშობის დამბლა. ახასიათებს მგრძნობელობის სხვადასხვა სახის მოშლილობა (ანესთეზია).

დამბლა ორგანული — ნებისმიერი, აქტიური მოძრაობის გამოვარდნა, რომელიც ვითარდება ნერვული სისტემის უხეში, სტრუქტურული დაზიანების შედეგად.

დამბლა პროგრესიული — ნერვული სისტემის პარენქიმული ლუესი. ვითარდება ლუესით დაავადების 10—15 წლის შემდეგ. დამახასიათებელია პროგრესიული მიმდინარეობა. კლინიკური გამოვლენა მდიდარია როგორც სომატურ-ნევროლოგიური ნიშნებით, ისე ფსიქოპათოლოგიური სიმპტომებით. იწყება ნევრასთენიული ჩივილებით (ნევრასთენიის პერიოდი). ფსიქოზის გაშლილ სტადიაში ყურადღებას იპყრობს მესხიერების დაქვეითება და ჰქუასუსტური შინა-

არსის ბოდვები (სიმდიდრის ბოდვა). ფსიქოზი იშლება აწეულ გუნებ-ჯანწყობის გაზერგლებულ ფონზე, საბოლოოდ მთავრდება ღრმა კჷუასუსტობით და ფიზიკური განლევით. მკურნალობა დაწყებით სტადიაში ეფექტურია, შორისწასულ პერიოდში პიროვნების აღდგენა არ ხერხდება.

**დაპბლა ფუნქციური** — ნებისმიერი, აქტიური მოძრაობის გამოვარდნა, რომლის დროსაც ნერვულ სისტემაში არ ხდება რაიმე უხეში, სტრუქტურული (ე. ი. ორგანული) ცვლილება. გვხვდება ისტერიის შემთხვევაში.

**დაუნის ავადმყოფობა** — მძიმე ენდოკრინული დაავადება. ახასიათებს თავისებური ფიზიკური ნიშნები და გონებრივი განუვითარებლობა — იდიოტია.

**დაქტილაგია** — ტკივილის შეგრძნება თითებში.

**დაქტილოგია** — მეტყველება თითების საშუალებით (ყრუ-მუნჯთა ენა).

**დაქტიფაზია** — იხ. დაქტილოგია.

**დაცვითი შეკავება** — იხ. ზეზღურბლოვანი შეკავება.

**დებილი** — გონებრივად ჩამორჩენილი, თანდაყოლილი კჷუასუსტობის ანუ ოლიგოფრენიის ყველაზე მსუბუქი ფორმა.

**დებიუტი** — ავადმყოფობის დასაწყისი სტადია. ავადმყოფობის მუწყებელი პირველი სიმპტომები.

**დევენერაცია** — გადაგვარება.

**დეზინტეგრაცია** — მთლიანი მოვლენის ან ფუნქციის დაშლა, დარღვევა. საწინააღმდეგო ინტეგრაციისა (იხ. ინტეგრაცია).

**დეზინტოქსიკაციური თერაპია** —

მკურნალობა, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზმში არსებული მომწამვლელი ნივთიერებების (ტოქსინების) გამოყოფას (გაოგირდით, ინსულინის ციკრე დოზებით მკურნალობა, გლუკოზის ვენაში შეყვანა და სხვ.).

**დეზორიენტაცია** — როგორც გარე სინამდვილეში (დროში, სივრცეში), ისე საკუთარ ვინაობაში ორიენტაციის, გარკვევის უნარის დაკარგვა. ფსიქიატრიაში იხმარება ცნობიერების პათოლოგიის მნიშვნელობით.

**დეზორიენტაცია ავტოფსიქიკური** — საკუთარ ვითარებაში გარკვევის უნარის მოშლა.

**დეითეროსკოპია** — მხედველობითი ჰალუცინაციები (თავის თავს ხედავს ორეულის მაგვარად).

**დეიტერანოპია** — თანდაყოლილი სიბრმავე მწვანე ფერისადმი (დალტონიზმის ერთ-ერთი სახეთავანი).

**დელირანტი** — თეთრი ცხელებით დაავადებული.

**დელირიუმი** — ცნობიერების აშლა. ცნობიერების პირველადი პათოლოგია. გაბრუებულ მდგომარეობაში მყოფი ვერ ერკვევა დროში, გარემოში. მოზღვავებულ, ხატოვნად წარმოსახულ მხედველობით ჰალუცინაციებს თან ახლავს წყვეტილი, შემამრწუნებელი შინაარსის ბოდვითი აზრები (უფრო იშვიათია აღფრთოვანებული, აღტყინებული შინაარსის ბოდვითი აზრები). კლინიკურ სურათს გარკვეულ სახეს აძლევს დაავადების ეტიოლოგია, რომელიც მრავალგვარია: ალკოჰოლური (თეთრი ცხელება); ეპილექსიური დ. დროს მოზღვავებულია ფიზიკური განადგურების, დენითი შინაარ-

სის ბოღვითი აზრები; ი ნ ი ც ი ა -  
 ლ უ რ ი (ინკუბაციური) — ინფექ-  
 ციური დაავადების გამოაშკარავე-  
 ბამდე განვითარებული დ.; დ. მაღალი  
 ტემპერატურისა და ტემპერატურას  
 დაცემის დროს (კოლაფსური, კრიზი-  
 სული); დ. პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი —  
 ცნობიერება აშლილი, ავადმყოფი  
 ასრულებს მისი პროფესიისათვის  
 ჩვეულ მოძრაობებს; დ. ს ე ნ ი ლ უ -  
 რ ი (მოხუცებულობის) — ფსიქოზის  
 მძიმე ფორმა. მხედველობითი კა-  
 ლუტინაცია დამახასიათებელი არ  
 არის. ადვილი აქვს გარემოს ირა-  
 სწორ აღქმას, გაბრუების უმძაფრეს  
 სახეს.

„დელირიუმ ტრემენსი“ — იხ.  
 თ ე თ . რ ი ც ხ ე ლ ე ბ ა .

დემენცია — კუვასუსტობა. ეი-  
 თარდება ორგანული ფსიქოზის  
 დროს (მოხუცებულობის ფსიქოზი,  
 სკლეროზული ფსიქოზი, პროგრესიუ-  
 ლი დამბლა).

დემენცია გლობალური (იგივე  
 ტოტალური) — ღრმა კუვასუსტობა  
 პიროვნების დეგრადაციით (დამას-  
 სიათებელია პროგრესიული დამბლი-  
 სა და მოხუცებულობის კუვასუს-  
 ტობისათვის).

დემენცია ლაკუნალური (ანუ  
 ნაწილობრივი) — ინტელექტის ფუნ-  
 კციები, მეხსიერება, აზროვნება და-  
 კვეითებულია, მაგრამ პიროვნების  
 ბირთვი (მორალურ-სოციალური სა-  
 ხე) შედარებით შენახულია გლობა-  
 ლური დემენციისაგან განსხვავებით.  
 ორგანული კუვასუსტობის ერთ-ერთი  
 სინდრომი, გვხვდება სისხლძარ-  
 ლეოვანი პათოლოგიის დროს (პი-  
 პერტონიული, ათეროსკლეროზული  
 კუვასუსტობა).

დემენცია ორგანული (ინტელექ-

ტურ-მნესტიკური ტერმინი — ეი-  
 თარდება თავის ტვინის ორგანული  
 დაზიანების შემთხვევაში. ხარისხის  
 მიხედვით ორგანული კუვასუსტობა  
 შეიძლება იყოს ნაწილობრივი და  
 სრული. ძირითადი მანევრებელია მე-  
 სიერების დაქვეითება (როგორც  
 ფიქსაციის, ისე წარსულში მომხდა-  
 რი ფაქტების აღდგენის მხრივ). აზ-  
 როვნება დაქვეითებულია. ემოციუ-  
 რად აგზნებულნი ადვილად გადა-  
 დიან აფექტში, იჩენენ უსულგულო-  
 ბას ახლობლების მიმართ.

დემენცია პრეკოკსი — ანუ ნაად-  
 რევი კუვასუსტობა, კრეპელინის  
 მიერ მოწოდებული ტერმინი (იხ.  
 შ ი ზ ო ფ რ ე ნ ი ა).

დემენცია პროგრადიენტული —  
 კუვასუსტობის განვითარების შეუ-  
 ჩერებელი, აღმავალი ფორმა.

დემენცია სტაციონარული — ერთ  
 დონეზე შეჩერებული კუვასუსტობა  
 (არ მიდის აღდგენამდე და არც  
 პროგრესიულია).

დემენცია ფსევდოორგანული  
 (ტერმინი შემოიღო ვ. გილიაროეს-  
 კიმ) — დემენციის ტრანზიტორული  
 სახე. კლინიკური სურათი მოგვაგო-  
 ნებს ორგანულ კუვასუსტობას იმ გან-  
 სხვავებით, რომ აღდგენადია. ზქვს  
 უკუგანვითარების შესაძლებლობა  
 (ე. ი. დროებით განვითარებული  
 კუვასუსტობა შესაძლებელია სრუ-  
 ლიად გაქრეს).

დემენციური აბნევა — იხ. ც ნ ო -  
 ბ ი ე რ ე ბ ი ს ა ბ ნ ე ვ ა .

დემისია, დეპრესია — კავშანი,  
 ბოღმა, ნალეული. ფსიქიკური ფუნქ-  
 ციების საერთო შენელება განვითარ-  
 ებული გარეშე მიზეზთან დაკავში-  
 რებით.

დემონომანია — სიმპტომური

ფსიქიატრიის დროინდელი, რელიგიური შინაარსის ტერმინია „ავი ძალების“, „ეშმაკეულ ძალთა“ შეპყრობის ბოღვა. შემჩნეულია ისტერიით, ეპილესიით დაავადებულებში.

**დემონსტრაციული საქციელო** — ქცევა, რომელიც გამიზნულია ირგვლიემყოფთა ყურადღების მისაპყრობად. ახასიათებს ისტერიულ პიროვნებას.

**დებერსონალიზაცია** — საკუთარი პიროვნების, „მეს“ აღქმის დარღვევა. როგორც სხეული, ისე საკუთარი განცდები აღიქმება უცხო პირად, სხვისად. ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ შინაგანად დაიკალა, ემოციის მთელი შესაძლებლობა დახარჯა, დაცარიელდა. არ ძალუძს გრძნობების მობილზება. ახასიათებს სხვადასხვა სახის დებერსიულ მდგომარეობას:

**დებერსია** — დაწეული გუნებგანწყობა, დაღვრემილი. დაბეჩავებული, ყოველგვარ ინტერესს მოკლებული. დებერსია ვითარდება სხვადასხვა დაავადების პრემორბიდის, მორბიდის და პოსტმორბიდის შემთხვევაში. დ. წინ უძღვის შიში, რეალობის დაქვეითების გრძნობა (ქანე).

**დებერსია აღინამიური** — საერთო ასთენია, უღონობა, არავითარი სურვილები და მისწრაფებანი.

**დებერსია ანესთეზიური** (ფსიქიკური ანესთეზია) — აღექვატურემოციური რეაქციების მკვეთრი დაქვეითება.

**დებერსია აფიტიური** — მოტორული მოუსვენრობა, აგზნება, შფოთვა, წუხილი, დამახასიათებელია ინვოლუციური ფსიქოზისათვის (იხ. დებერსია შფოთიანი).

**დებერსია დისფორიული** — დაუ-

კმაყოფილებლობის და ნაღვლიანობის გრძნობა. ავადმყოფი მიდრეკილია მძვინვარებისა და აგრესიისადმი.

**დებერსია ვიტალური** (ანუ გუნებგანწყობის ენდოგენური დაქვეითება) — ვითარდება უმიზნოდ, თანდათანობით ღრმავდება. მკაფიოდ გამოხატულია სხვა ფსიქიკური პროცესების — აზროვნების, მოქმედებისა და ინსტინქტების (ვანსაკუთრებით სიცოცხლის ინსტინქტის) შენელება. დამახასიათებელია მანიაკურ-დებერსიული ფსიქოზის დებერსიული ფაზისათვის.

**დებერსია თვითბრალდების** — ავადმყოფს უვიითარდება თვითბრალდების ბოღვით აზრები, რომ ჩაიდინა უმსგავსობა, ვერაგობა, შესცოლდა და მისთ.

**დებერსია ირონიული** — რეალურად გამოხატული მძიმე დებერსიის მიუხედავად, ავადმყოფს სახეზე ღიმილი უქრათის.

**დებერსია რეაქტიული** (ანუ ფსიქოგენური) — დაწეული გუნებგანწყობა, მძიმე განცდა, უძილობა, მადის დაქვეითება. ვითარდება უსიამოვნებასთან დაკავშირებით. განცდათა სიმძიმე ინდივიდუალურია.

**დებერსია სტუმპროზული** — მასიური შეკავება.

**დებერსია შფოთიანი** — მიმდინარეობს მოტორული მოუსვენრობით, შფოთით, წუხილით, თან სდევს მრავალგვარი უსიამოვნო შეგრძნება. დამახასიათებელია ინვოლუციური ფსიქოზის დებერსიული ანუ მეღანქოლური ფორმისათვის.

**დებერსია ცრემლიანი** — რეაქციებში ჰარბობს სუსტსულოვნება.

**დებერსიული სინდრომი** — აფექ-

ტური, იდეატორული და მოტორული შეკავება. ატარებს ვიტალურ ხასიათს. გაძნელებულია აზროვნების პროცესი. დამახასიათებელია გუნებ-განწყობის დაქვეითება, უხალისობა, უსიამოვნო შებოქვის შეგრძნება გულის არეში. აეადმყოფები ლაპარაკობენ დაბალი ხმით, ჩვეულებრივ ვერ იტანენ ოხუნჯობას, იუმორს, მუსიკას, განვილ ცხოვრებას იგონებენ უმადურად (თითქოს ისე არ გაატარეს, როგორც ეკადრებოდათ). გვხვდება მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის, დეპრესიული ფაზის, ინვოლუციური მელანქოლიის, რეაქტიული დეპრესიის დროს.

**დეპრესიული ფაზა** — დეპრესიული მდგომარეობის პერიოდი-მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის მიმდინარეობაში (იხ. მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზი):

**დეპრესიულ-პარანოიდული სინდრომი** — მწვავე ხასიათის დეპრესიული სურათია. დეპრესიული მდგომარეობა, გართულებული დამოყიდებულების შინაარსის (დევნის, მოწამელის, ზემოქმედების) ბოდიშით აზრებით. შეიძლება განვითარდეს

ცნობიერების ონეიროიდული დაწისვლა. გვხვდება ატიპურად მიმდინარე მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის დეპრესიული ფაზის დროს.

**„ღებავიუ“** (უკვე ნანახი) — მესიერების გაუქმდმართების თავისებური ფორმა, როდესაც უცნობ აგანს ან მოვლენას განიცდის როგორც „უკვე ნანახს“.

**დერვალიზაცია** — გარემოწრე აღიქმება როგორც უცხო, ხელოვნურად შექმნილი, უფერული, შორეული. დარღვეულია თვით დროის ფაქტორი (ეჩვენებათ დროს სწრაფი ან

ნელი სვლა). დ. ახასიათებს „უკვე ნანახის“ სიმპტომი (უცხო ადგილს აღიქვამენ როგორც ნანახს) და „ახლად ნასულის“ სიმპტომი (ჩამდენ-ჯერმე ნანახი ადგილი მიაჩნიათ უცხოდ). საკუთარი მდგომარეობის შესახებ დაწვრილებით გეაწვდიან ცნობებს, უკვირთ, განიცდიან, რატომ შეიცვალა ყველაფერი მათ ირგვლივ.

**დერმალიგია, დერმოლინია** — ტიპილის შეგრძნება კანში (არა კანზე).

**დერმოგრაფიზმი** — კანის კაპილართა რეაქცია მექანიკურ გაღიზიანებაზე. დერმოგრაფიზმი შეიძლება იყოს შემდეგი სახის: წითელი დ. — გაღიზიანების შედეგად წარმოიქმნება წითელი ზოლი; თეთრი დ. — გაღიზიანების შედეგად წარმოიქმნება თეთრი ზოლი; ედემატოზური დ. — გაღიზიანების შედეგად წარმოიქმნება წითელი დერმოგრაფიზმი, რომელსაც თან ახლავს ამავე არის შემუშება. დერმოგრაფიზმი ვეგეტატიური ნერვული სისტემის აგზნებადობის მაჩვენებელია. გვხვდება ნევროზის დროს.

**დერმოლონია** — იხ. დერმოგრაფიზმი.

**დესტრუქციული პროცესი** — დარღვევა, დაშლა.

**დებერმინიზმი** — მოძღვრება ყველა მოვლენის აუცილებელი კავშირისა და მათი მიზეზობრივი განპირობებულობის შესახებ. დიალექტიკური მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი (იდეალისტები დებერმინიზმს უპირისპირებენ ინდეტერმინიზმს, უარყოფენ რ: მოვლენათა შორის მიზეზობრივ ურთიერთკავშირს).

**დებერიორაცია** — ემოციური — მწვავე ფსიქიკური დაავადების შემ-

დღე დარჩენილი ემოციური ტონუსის დეფექტი.

**დეფექტური მდგომარეობა** — მძიმე, პროგრადიენტული ფსიქიკური დაავადების (შიზოფრენიის) საბოლოო, ანუ გამოსავალი, მდგომარეობა.

**დეფორმაცია გუგებისა** — თვალის გუგების ფორმის შეცვლა (სინონიმი დისფორია), დამახასიათებელია ნერვული სისტემის ლუესისათვის.

**დიდაქტოგენია** — ფსიქოგენიის ერთ-ერთი სახე. როდესაც ნევროზული მდგომარეობა ვითარდება რომელიმე ავადმყოფობის შესახებ მოსმენილი ლექციის ან პოპულარული ლიტერატურის წაითხვის შემდეგ (უფრო ხშირად გვხვდება აკვიატებული ნევროზის, ჰიპოქონდრიის სახით).

**დიზორთრია** — მეტყველების მოშლა. გაძნელებულია სიტყვებში მარცვლების შეკავშირება, ცუდად გამართების ცალკეული ბგერები, წარმოთქმული სიტყვა ძნელად გასაგებია (დამახასიათებელია პროგრესიული დამბლისათვის).

**დიფესთეზია** — მგრძობელობის გაუქმდმარტება, მავალითად, სითბო შეიგრძობა როგორც ტკივილი.

**დიკეფალა** — სიმანინჯის ერთ-ერთი სახე (ორთავიანი ნაყოფი).

**დინოფობია** — თავბრუს აკვიატებული შიში (იხ. ვერტიგოფობია).

**დიპლოპია** — მხედველობის დეფექტი, საგნის ორად დანახვა.

**დისთიმია** — ხანმოკლე შეტევის სახით განვითარებული გუნებ-განწყობის დაქვეითება.

**დისიმულაცია** — ავადმყოფური მდგომარეობის (ან რომელიმე სიმპ-

ტომის) დაფარვის სურვილი. ხშირია ბოღვის დისიმულაცია.

**დისლალია** — სიტყვის გამოთქმის გაძნელება.

**დისლექსია** — კითხვის გაძნელება.

**დისლოგია** — მეტყველების აბნევა (იხ. შიზოფრენია).

**დისმეგალოფსია** — საგნის გაუქმდმარტებული ხედვა (ნახევრად გადიდებული, ნახევრად მომცრო, ხან მხოლოდ ცალმხრივ გადიდებული).

**დისმენორეა** — თვიურის რეგულარული ციკლის მოშლა. გვხვდება კლიმაქსის პერიოდში და ზოგიერთი ფსიქიკური დაავადების დროს (დიფესთეზიური ფსიქოზი, შიზოფრენია).

**დისმიზია** — მიმიკური მოძრაობის მოშლა.

**დისმორფოფობია** — ფიზიკური სიმანინჯის, არასიმეტრიული აგებულების აკვიატებული შიში.

**დისომნია** — ძილის ფუნქციის გაუქმდმარტება: დისით ძილი და ღამე უძილობა (ახასიათებს ეპიდემიურ ენცეფალიტს და მოხუცებულობის ფსიქოზს).

**დისოციაცია** — დაშლა; დარღვევა.

**დისპანსერი ფსიქონევროლოგიური** — ფსიქონევროლოგიური დახმარების ძირითადი სახე. მისი ფუნქციები ძალიან ფართო და მრავალმხრივია (ფსიქოპათიკური, პროფილაქტიკური და სანიტარულ-განმანათლებელი მუშაობის ორგანიზაცია; ევალება ფსიქიატრიული, სამხედრო, შრომითი, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა). ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ფუნქციაში შედის ფსიქიკურად დაავადებულთა დინამიკური აღრიცხვა და სტატისტიკური მო-

ნაცემების მეცნიერული ანალიზი, ფსიქიატრიული სტაციონარიდან გამოწერის შემდეგ ავადმყოფთა რეაბილიტაციურ-რეადაპტაციური ღონისძიება, რაც გულისხმობს საავადმყოფოში ყოფნის დროს შეჩერებული შრომითი პროცესებას აღდგენას, რეაბილიტაციას და, საკრთოდ, შრომითი — სოციალური საკითხების მოგვარებას.

**დისპლაზია** — არაპროპორციულობა.

**დისპლასტიკური** — იხ. დისპლაზია ფიზიკური აღნაგობის უთანაბრობა, შეუფარდებლობა.

**დისფაგია** — ყლაპვის გაძნელება. ყლაპვის დროს საკვები ხედება ცხვირის ღრუში ან სასულეში. ადგილი აქვს ბუღბარული დამბლის შემთხვევაში.

**დისფორია** — გუნებ-განწყობის უმიზნოდ შეცვლა, რომელიც შეტევით ხასიათს ატარებს. შეტევის ხანგრძლივობა რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე. გუნებ-განწყობის ძირითადი ემოციური ტონი შეჩეულია დეპრესიისა და აგზნებადობის სასით. ახასიათებს ეპილეფსიას.

**დისფრაზია** — მეტყველების მოშლა (იხ. შიზოფრენია).

## ე

**ებრიეტასი** — ჩვეულებრივი სიმთვრალე.

**ეგზალტაცია** — აღფრთოვანება, აღტაცება, ენერჯის მოზღვაება, ხმაშალალი მიმართვები (დღეს პათოლოგიად არ ითვლება).

**ეგზაცერბაცია** — რემისიის პერიოდში ფსიქოზური სიმპტომების გამწვავება.

**დისფუნქცია** — ფუნქციის მოშლა. რამდენიმე ორგანოს თანაფარდობის, ჰარმონიულობის დარღვევა. **დიფსომანია** — ალკოჰოლიზმი, როქელსაც პერიოდული გაბმითი ხასიათს აქვს. ხშირად წინ უძღვის უძილობა, გუნებ-განწყობის დაქვეითება, უმადობა.

**დიფუზური** — განფენილი პროცესი, განსხვავებით ადგილობრივი, კეროვანი პროცესისაგან.

**დოლიქოკეფალია** — წერილი და მოგრძო მოყვანილობის თავის ქალა.

**დოლიქოკრანია** — იხ. დოლიქოკეფალია.

**დომინანტა** — ა. უხტომსკის მიერ აღწერილი (1909) თავის ტვინის ქერქში დროებით შექმნილი ინერტული აგზნების კერა.

**დომომანია** — უმიზნო ხეტიალის, მოგზაურობისადმი დაუძლეველი, აკვიატებული ლტოლვა. ეხედვით ფსიქოპათიისა და აკვიატებული ნეეროზის დროს.

**დრუზები სენილური** (სენილური ფოლაქები) — მოზუცებულობის ფსიქოზისათვის დამახასიათებელი ორგანული კერები თავის ტვინის რუს ნივთიერებაში.

**ეგზოგენური** — გარედან შემოქრილი ფაქტორი (ენდოგენურის საწინააღმდეგო).

**ეგზოფაგოსპაზმი** — საყლაპავი მილის კუნთების სპაზმური შეკუმშვა. ეხედვით ისტერიისა და სპაზმოფილიის შემთხვევაში.

**ეგზოფტალმი** — თვალის კაკლების წინ წამოწევა. გვხვდება თირეო-



ტოქსიკოზის, ტვინის სიმსივნისა და ჰიდროცეფალიის შემთხვევაში.

**ვგოფონია** — მთრთოლვარე ხმა (ისტერიული ფსიქოზის, პროგრესიული დამბლის დროს).

**ვღმებატოზური დერმოგრაფიზმი** — იხ. **დერმოგრაფიზმი**.

**ვეგენია** — ღღისათვის მიუღებელი მეცნიერული მიმართულება. შეუღლების დროს მხოლოდ შთამომავლობის გათვალისწინება.

**ვენუქოალიზმი** — სასქესო ჭირკვლების ფუნქციის უკმარისობის შედეგად განვითარებული სინდრომი. მამაკაცებისათვის დამახასიათებელია თხლი, უთმო მფარავი ქსოვილი, ცხიმოვანი ქსოვილის გენლაგება სარძევე ჭირკვლებთან, მენჯის მიდამოში, მაღალი, ქალური ხმა, გრძელი კიდურები. ქალებისათვის ნიშანდობლივია სარძევე ჭირკვლების განუვითარებლობა, ამინორეა.

**ვერისტიკა** — თეორიული ძიების დროს ლოგიკური და მეთოდური სისტემის მიკვლევა.

**ვიდეტიზმი** — განსაკუთრებული უნარი ხატის ცხოვლად აღდგენისა მას შემდეგ, რაც საგანი ფიზიკურად აღარ მოქმედებს გრძნობათა ორგანოებზე.

**ვიქსია** — იხ. **ვიფორია**.

**ვითანაზია** — სიკვდილის წინ სასიამოვნო სიმსუბუქის განცდა.

**ვითემომანია** — რელიგიური შინაარსის ბოდვა.

**ვითიზია** — კარგი გუნებ-განწყობა.

**ვისტეზია** — კარგი თვითგრძნობა (ეიფორიას მიაგავს).

**ვიტონია** — ფიზიკური კმაყოფილების სასიამოვნო გრძნობა.

**ვიფორია** — დადებითი ტონი,

აწეული გუნებ-განწყობა კმაყოფილებისა და უზრუნველობის ელფერით, განსხვავებით პიომანიაკური და მანიაკური მდგომარეობისაგან, თან არ ასლავს ასოციაციური პროცესების აჩქარება და აქტიურობა, პირიქით, პასიურობით და უმოქმედობით ხასიათდება. უფრო ხშირად გვხვდება ორგანული ფსიქოზის მიმდინარეობისას (პროგრესიული დამბლა, თავის ტვინის ათეროსკლეროზი, თავის ტვინის სიმსივნე).

**ვიკვალენტი** — ცნობიერების ზანმოკლე შეცვლა (ეპილეფსიის დროს სპონტანური ხასიათისა).

**ვილაპსია** — ორსულთა ტოქსიკოზის მძიმე ფორმა. ახასიათებს ფსიქოზური მოვლენები, ეპილეფსი-ფორმული გულყრები, ცნობიერების შეცვლა, პალუცინატიები, ფსიქომორტორული ავზნება. მძიმე შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს კომური მდგომარეობა.

**ვიმენზია** — წარსულში მომხდარ შემთხვევათა ღღევანდელ სინამდვილეში გადმოტანა (ფსევდორემინესცენციის მაგვარია).

**ვიფორია** — დაეწყებული სახის ან მოვლენის უეცარი აღდგენა მზსიერებაში.

**ვილექტროენცეფალოგრაფია** — ობიექტური კვლევის მეთოდი, რომლის საშუალებით ხდება თავის ტვინის ელექტრული აქტიუობის (ბიოპოტენციალების) რეგისტრაცია.

**ვილექტროკრუნჩხვითი მკურნალობა** — იხ. **ელექტროშოკი**.

**ვილექტროძილი** — ძილის გამოწვევა წყვეტილი გაღვივებული დენის საშუალებით. ელექტროდები ედება თვალ-კეფის არეში, ტარდება ღენი (იმპულსების სისხირე 1—20 წამი,

დენის ძალა 6—12 მ. ა.), პირველ სე-  
ანსზე არა უმეტეს, 15—20 წუთი,  
შემდეგ შეიძლება გახანგრძლივდეს  
2—3 საათამდე.

**ელექტროშოკი** — კრუნჩხვითი  
მკურნალობის მეთოდთაგანი. ავად-  
მყოფის თავში ტარდება ცვალებადი  
დენი, ელექტროდები ედება ბიტემ-  
პორალურად; დენის ძაბვა უნდა  
იყოს 50-დან 120 ვოლტამდე. ექს-  
პოზიცია — 0,5-დან 1 წამამდე. ვი-  
ლებთ ეპილეფსიფორმულ დიდ გულ-  
ყრას, ანუ შოკს. მკურნალობის კურ-  
სი 8—20 შოკამდე.

**ემოცია** — სულიერი მდგომარეო-  
ბა, რომელიც პიროვნების განცდას  
ღრობით მთლიანად ავსებს და  
მთელ დანარჩენ სულიერ ცხოვრებას  
იმორჩილებს (ე. შტერნი).

**ემოციის პოლუსურობა** — სრუ-  
ლიად საწინააღმდეგო ემოციათა შე-  
რწყმა. ერთსა და იმავე დროს სპე-  
კატრე, ბოროტება, შურისძიება და  
გადაკარბებული პატივისცემა, მომ-  
სასურება, აღერსიანობა.

**ემოციურად ლაბილური ფსიქო-  
პათი** — იხ. ფსიქოპათია.

**ემპირიული მეთოდი მკურნალო-  
ბისა** — მკურნალობა, რომელიც  
ეყრდნობა მხოლოდ უშუალო გამოც-  
დილებას და არა რაიმე წინასწარ მი-  
ღებულ თეორიულ მოსაზრებას.

**ემფაზია** — აღფრთოვანება.

**ენაჩლუნგობა** — მეტყველების  
დეფექტი, როდესაც ცალკე ბგერები,  
მარცვლები ჩაინაცვლება სხვა მარცვ-  
ლებით. ენაჩლუნგობის სახეებია: სი-  
გმატიზმი, როტაციზმი, ლაბდაციზმი.

**ენდოგენური დაავადება** — ენ-  
დოგენურისაგან განსხვავებით შინა-  
განი მიზეზებით განპირობებული და-

ავადება, მაგალითად, მინიაკურ-დემ-  
რესიული ფსიქოზი.

**ენდოფაზია** — შინაგანი მეტყვე-  
ლება. მეტყველების აქტის განცდა  
ბგერითი განობატულების გარეშე.

**ენკოპროზი** — უნებლიე დეფეკა-  
ცია, ფიზიოლოგიური მოვლენაა  
ჩვილ ასაკში, სრულასაკონენებში  
შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკურმა  
დეფექტმა ან ფსიქოგენურმა ფაქ-  
ტორმა, ფსიქიკურმა დეგრადაციამ.

**ენურეზი** — უნებლიე შარდვა,  
გვხვდება ბავშვთა ასაკის ნევროზე-  
ბის დროს.

**ენცეფალიტი** — თავის ტვინის ან-  
თება.

**ენცეფალიტი ეპიდემიური** — თა-  
ვის ტვინის დაზიანება ფილტრში  
გამავალი ვირუსით (აღწერილია ეკო-  
ნომოს მიერ 1916—1917 წწ.). ფსი-  
ქიკის მხრივ აღინიშნება საერთო მო-  
თენთილობა, ძილის დარღვევა, ცნო-  
ბიერების დაჩრდილვა. შესაძლოა  
განვითარდეს სტუმორის მაგვარი  
მდგომარეობა, მინიაკური სინდრო-  
მიც კი.

**ენცეფალიტი ლეტარგიული** —  
ეპიდემიური ენცეფალიტი.

**ენცეფალოგრაფია** — თავის ქა-  
ლას კონტრასტული რენტგენოგრა-  
ფია თავის ტვინის პარეჩქებსა და  
სუბარაქნოიდურ სივრცეში ჰაერის  
შეყვანის შემდეგ.

**ენცეფალოპათია** — თავის ტვი-  
ნის ორგანული დაავადების შემდეგ  
(ენცეფალიტი, ოპტიათა თავის  
ტვინზე) ნერვული სისტემისა და  
ფსიქიკის მოშლა, რომელიც მყარ  
და არააღდგენით ხასიათს ატარებს.

**ენცეფალოპათია ტრავმული** —  
ნარჩენი მოვლენები თავის ტვინის  
ტრავმული დაზიანების შემდეგ. და-

მასსიათებელია ნერვული სისტემის ორგანული მოშლის სიმპტომები ზოგადი ასთენიის ფონზე, ინტელექტური ფუნქციების დაქვეითება, ემოციური სფეროს მხრივ ლაბილობა, ადვილი აგზნებადობა, შრომის უნარის დაქვეითება.

ეპიკანტუსი — თვალსა და ცხვირს შორის უჩვეულო ნაოჭი, რომელსაც ავიწროებს თვალის კუთხეს, ემსგავსება დამატებით ქუთუთოს. გვხვდება მონგოლოიდური იდიოტიის დროს.

ეპიკრიტული მგრძნობელობა — მაღალი დიფერენცირებული მგრძნობელობა. თავის ტვინის ქერქის ფუნქციას წარმოადგენს.

ეპილეფსია, გენუინური — შპიკ, ქრონიკული დაავადებაა. მიზეზი დაუდგენელია. რთული და მდიდარი კლინიკური სიმპტომებითაა ცნობილი. ე. გულყრას ახასიათებს ცნობიერების დაკარგვა და ხანმოკლე ფსიქოზური შეტევები. დიდი გულყრა მიმდინარეობს კრუნჩხვებით, მცირე გულყრა — კრუნჩხვების გარეშე. ავთვისებიანი მიმდინარეობა იწვევს პირონების დაქვეითებას, მესხერების მკვეთრ შესუსტებას და, საბოლოოდ, კუთასუსტობას. (იხ. ეპილეფსიური გულყრა).

ეპილეფსია იდიოპათიური — იხ. ეპილეფსია გენუინური.

ეპილეფსია კრიპტოგენური — იხ. ეპილეფსია გენუინური.

ეპილეფსია რეფლექტორული — ეპილეფსიური მდგომარეობის (კრუნჩხვითი გულყრის ან ხანმოკლე ფსიქიზის) განვითარება რაიმე გარეშე გამღიზიანებელი მოქმედების, მაგალითად, სინათლის, მუსიკალური მელიოდის, გარკვეული სუნის ან ტემ-

პერატურის სწრაფი შეცვლის შედეგად.

ეპილეფსია სიმპტომური — მეორადი ეპილეფსია, როდესაც ეპილეფსიფორმული გულყრები ვითარდება რომელიმე სხვა დაავადების მიმდინარეობისას (მაგალითად, ათეროსკლეროზი, თავის ქალის ტრავმა, თავის ტვინის ლუესი და მისთ.).

ეპილეფსია ფოტოგენური — რეფლექტორული ეპილეფსიის სახე-საგანი, როდესაც ეპილეფსიურა სინდრომი ვითარდება სინათლით გაღიზიანების შედეგად.

ეპილეფსია ფსიქოსენსორული — კლინიკური სურათითა და პათოგენური ბუნებით განეკუთვნება განსაკუთრებულ მდგომარეობათა ქვესახეს. მკვეთრადაა გამოხატული დროის, სივრცის, რიცხვის და სხეულის სქემის აღქმის გაუქვლმართება (დეპერსონალიზაციის, დერეალიზაციის კლინიკა).

ეპილეფსიური გულყრა, დიდი გულყრა — ეპილეფსიის ყველაზე აშკარა კლინიკური სინდრომი. ვითარდება უეცარი ცნობიერების დასშობა, რასაც თან სდევს წონასწორობის დაკარგვა და კრუნჩხვები. თავდაპირველად ვითარდება ტონური კრუნჩხვები, რომლებიც 30—40 წამს გასტანს, შემდეგ კრუნჩხვები რიტმულ ხასიათს ღებულობს და გადადის კლონურ კრუნჩხვებში, გრძელდება 3—5 წუთს. კლონური კრუნჩხვების გავლის შემდეგ ავადმყოფი თანდათან გამოდის მდგომარეობიდან ან გადადის ფიზიოლოგიურ ძილში. მთლიანად გულყრა 5—7 წუთს გრძელდება. გულყრიდან გამოსვლისას აღინიშნება გაბრტევა და გულყრის ამნეზია.

**ეპილეფსიური ლიფორია** — გუნებ-განწყობის ცვალებადობა, მერყეობა, გრძელდება რამდენიმე დღე ან კვირა.

**ეპილეფსიური მწვავე ფსიქოზი** — იწყება მწვავედ, ევზოგენური მიზეზის გარეშე, თავდება კრიტიკულად. გაშლილია ცნობიერების პათოლოგიის ფონზე (ბინდისებრ-დელირიული ან სიზმრისებური მდგომარეობა). ავადმყოფები დეზორიენტირებული არიან, მათთან კონტაქტის დამყარება შეუძლებელია.

**ეპილეფსიური სტატუსი** — ეპილეფსიის მიმდინარეობაში განვითარებული მძიმე მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება გულყრების ხშირ და განუწყვეტელ თანმიმდევრობაში. მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას.

**ერაზნოფობია** — შიში ქირურგის, ოპერაციის.

**ერეთიული** — მოძრაი, აგზნებადი პიროვნება.

**ერეთიზმი** — აგზნებადობა (უფრო სწრაფ იხმარება ბავშვთა ფსიქიატრიაში).

**ერიტროფობია** — გაწითლების აკვიატებული შიში. გვხვდება აკვიატებული მდგომარეობის, ნევროზის დროს.

**ეროგენული ზონები** — სხეულის გარკვეული ადგილები, რომლის გაღიზიანება იწვევს სქესობრივ დაჰამყოფილებას.

**ეროტიზმი** — სექსუალური თავდაუქცერლობა.

**ეროტომანია** — პათოლოგიური სიყვარული.

**ეფებოფილია** — მამაკაცის ჰომოსექსუალური ლტოლვა ბიჭებისადმი.

**ექოთიმია** — ავადმყოფის მიერ გარშემოწყოფთა ემოციური ტონის ვადმოლება.

**ექომიზია** — სხვისი მიმიკის გამოჩაერება. მიმსგავსება, გამეორება.

**ექოპარქსია** — სხვისი მოქმედების სარკისებრი გამეორება.

**ექსკვიზიტური** — საჩვენებელი, დამახასიათებელი.

**ექსპანსიური** — ცეცხლოვანი, ემოციური, მოძრავი, მუდამ აწეული გუნებ-განწყობა.

**ექსპერტიზა ფსიქიატრიული** — პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლა. ე. ფ. სხედასხვა სახისაა: ექსპერტიზა სასამართლო — ფსიქიატრიული — ინიშნება საგამომძიებლო ორგანოების მიერ იმ შემთხვევაში, თუ

გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური ჯანმრთელობა ეჭვს იწვევს. ე. მიზანია გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენა ქმედობის მომენტში და, აქედან გამომდინარე,

მისი პასუხისმგებლობის, შეურაცხადობის საკითხის გადაწყვეტა. ე. წარმოება ევალება ექიმ-ფსიქიატრთა კომისიას. დასკვნა აქტის სახით იგზავნება სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებში.

**ექსპერტიზა ფსიქიატრიული სამხედრო** — ე. მიზანია ფსიქიკური ჯანმრთელობის შემოწმება სამხედრო სამსახურში ვარჯისიანობის-თვალსაზრისით. ექსპერტიზა ფსიქიატრიული შრომითი — ე. მიზანია გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის შემოწმება მისი შრომისუნარიანობის დადგენის მიზნით.

**ექსპლოზიური** — აგზნებადი. თავდაუქცევბელი.

ექსპრესიული — სპონტანური, თავისთავად აღმოცენებული, შინაგან სამყაროზე აგებული განცდა.

ექსპრესიული მოძრაობანი — გამომსახველი მეტყველი მოძრაობანი.

ექსტრავერტული ტიპი — საზოგადოების მოყვარული, გულღია, განსხვავებით ინტრავერტულისაგან.

ექსტაზი — აღტაცების გამომსახველი განსაკუთრებული აფექტური

მდგომარეობა, რომლის დროსაც ადგილი აქვს ცნობიერების შევიწროებას. გვხვდება ისტერიული რეაქციის, ეპილექსიური ფსიქოზის და შიზოფრენიის მწვავე პალუცინაციურ-ბოლევითი მდგომარეობისას.

ექსზიზციონიზმი — სქესობრივი დაკმაყოფილება სასქესო ორგანოების გაშიშვლებითა და მოწინააღმდეგე სქესისადმი ჩვენებით.

### 3

ვაგობონდაჟი — იხ. დრომომანია.

ვაგოტონია — ევგეტატიური ნერვული სისტემის პარასიმპათიკური ნაწილის ტონუსის მომატება, სიმპტომები: ბრადიკარდია, ათეროპიპოტენზია და სხვ.

ვაზომოტორული რეაქცია — სისხლძარღვთა მოულოდნელი ვაფართობა ან შევიწროება ფიზიკურ, ფსიქიკურ გაღიზიანებაზე.

ვალეს წერტილები — საჭლოში ნერვის საპალპაციო წერტილები (საჭლოში ნერვის ანთების შემთხვევაში მტკივნეულია).

ვაშირიზმი — სექსუალური დაკმაყოფილების მიზნით სისხლის ღერისადმი მიდრეკილი (ვაშირი — ტრუმორწმუნეთა გაგებით მოჩვენება, მიცვალებული, რომელიც მძინარე ადამიანს სისხლსა სწოვს).

ვიგეტოლისტონია — იხ. ვეგეტატიური ნევროზი.

ვიგეტობათია — იხ. ვეგეტატიური ნევროზი.

ვენტრიკულოგრაფია — თავის ქალას რენტგენოგრაფია სუბარაქნოიდულ სივრცეში ჰაერის შეყვანის შემდეგ.

ვერაგუტის ნაოქი — ენდოგენური დეპრესიისათვის დამახასიათებელი მიმocyური ნიშანი (ზემო ქუთუთოს შიგნითა მესამედი აწეულია ზემოთ).

ვერზიგერაცია (კალბაუმი) — სიტყვების ხშირი და სტერეოტიპული (არაიშეიათად რიტმული) გამეორება. შინაარსი უმეტესად უაღვილოა და უაზრო. გვხვდება შიზოფრენიის კატატონიური ფორმის დროს.

ვერზომანია — იხ. ბარილილია.

ვესტიბულოპათია — თავის ტკივილის, თავბრუს და გულის რევის მოვლენების განვითარება სწრაფად მოძრავ საგნებზე დაკვირვების დროს (მატარებლიდან მზერის, კინოში სურათის ყურების და სხვ.).

ვესტიგოფობია — თავბრუს შიში.

ვესტალდის ფსევდოსტუორი — პალუცინაციურ-ბოლევითი წარმომოების სტუპორის მსგავსი მდგომარეობა.

ვიგილაბულიზმი — მოხეტიალე, ხეტიალისადმი მიდრეკილება.

ვირილიზმი — იხ. მასკულინიზმი.

ვომიტოფობია — პირღებინების შიში.

## ზ

**ზეზღურბლოვანი შეკავება** — შეკავება, განეითარებული თავის ტვინის ქერქში ისეთი ძლიერი გაღიზიანების შედეგად, რომელიც აღმატება თავის ტვინის უჯრედის აგზნების შესასაღებლობას და უქადის დაზიანებას. ზეზღურბლოვანი შეკავება. თავის ტვინის უჯრედებს იცავს განადგურებისაგან, რისთვისაც ამ შეკავებას აგრეთვე დაცვითი შეკავება ეწოდება.

**ზეღირებულოვანი იდეა** — აზრი, რომელსაც სუბიექტი ემოციურად განიცდის და ცენტრალურ ადგილს იკავებს მის ცნობიერებაში. ბოლევითი აზრისაგან განსხვავებით გასაგებია და პიროვნებასთან უშუალო კავშირშია.

**ზონა ეპილეპტოგენური** — რეფლექტორული ეპილეფსიის გარკვეული დამახასიათებელი უბანი, რომლის გაღიზიანება ყოველთვის იწვევს

ეპილეფსიურ კრუნჩხვით გულყრას. **ზონესტეზია** — ქამრის, ღვედის შემოქერის გრძნობა, რომელსაც სინამდვილეში ადგილი არ აქვს.

**ზოონთროპია** — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ გადაიქცევა რომელიმე ცხოველად.

**ზოოერასტია** — იხ. ზოოფილია.

**ზოოეროზია** — იხ. ზოოფილია.

**ზოოფილია** — სექსუალური პათოლოგია (სინონიმი ზოოერასტია, ზოოეროტია, სოდომია). ცხოველებისადმი მიზიდულობა სექსობრივი დაკმაყოფილების მიზნით.

**ზოოფობია** — ცხოველთა მიმართ არაბუნებრივი, აკვიატებული შიში.

**ზოოფსია** — მხედველობითი პალუცინაცია (ცხოველების, ფრინველების, მწერების სახით).

## თ

**თეთრი დერმოგრაფიზმი** — იხ. დერმოგრაფიზმი.

**თეთრი ცხელება** „დელირიუმ ტრემენს“ — ფსიქოზი, რომელიც უეითარდება ქრონიკულ ალკოჰოლიკებს (უფრო ხშირად დამით). ახასიათებს უძილობა, დელირიული ტიპის ცნობიერების შეცვლა (უმეტესად ქარბობს მხედველობითი ხასიათის შემზარავი, სცენიური შინაარსის პალუცინაციები). ფსიქოზი მიმდინარეობს აგზნებით, შიშით, სხეულის საერთო კანკალით, ხშირად ტემპერატურის აწევით. მდგომარეობიდან გა-

მოსვლა ხდება კრიზისით, უეცრივ. ავადმყოფი კრიტიკულია გადატანის მიმართ. ფსიქოზი გრძელდება რამდენიმე დღე ან კვირა.

**თეიზმი** — კოფეინიზმი.

**თერმონესთეზია** — ტემპერატურის მგრძნობელობის დაკარგვა.

**თერმონალგეზია** — სითბოს შეგრძნების დაკარგვა.

**თერმოსთეზია** — ტემპერატურის მგრძნობელობა.

**თიმოპათია** — ემოციური ფსიქოპათია (იხ. ჰიპოთიმია და ჰიპერთიმია).

თიმოფსიკია — ფსიქიკის დაბალი დონე, ინსტინქტებისა და მიზიდულობის სფერო.

თირაკოლონია — ტყვილის შეგრძნება გულმკერდის მიდამოში.

თირეოტოქსიკოზი — იხ. და ა ე ა დ ე ბ ა ბ ა ზ ე დ ო ვ ი ს .

თრობა პათოლოგიური — ხანმოკლე ფსიქოზი, რომელიც ვითარდება მწვავედ ალკოჰოლის მიღების შემდეგ (ხშირად საკმარისია ალკოჰოლის მცირე რაოდენობა). იწყება უეცრად, გრძელდება ერთ ან რამდენიმე საათს. მდგომარეობიდან გამოსვლა ხდება პათოლოგიური ძილის შემდეგ, ამნეზიით. კლინიკური გამოვლინების მხრივ პათოლოგიური თრობა ხასიათდება ცნობიერების აშლით (ეპილეპტიფორმული, ბინდისებრი ცნობიერების აშლა ან ბოდვითი შევიწროება ცნობიერებისა). არ არის ჩვეულებრივი სიმთვრალისა-

თვის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნები. პათოლოგიური თრობის დროს ჩადენილი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩამდენს არ ეკისრება, დანაშავე ითვლება შეურაცხადად.

თრობა ფიზიოლოგიური (ანუ ჩვეულებრივი) — ვითარდება დიდი რაოდენობით ალკოჰოლის თანდათანობით მიღების შემდეგ. ცნობიერების შეცვლას ადგილი არა აქვს, ძლიერ გამოხატულ სიმთვრალეს თანახლავს ფიზიკური ნიშნები: მეტყველების მოშლა, ატაქსიური სიარული. მდგომარეობიდან გამოსვლა ხდება ჩვეულებრივი ძილის შემდეგ. ამნეზიას არა აქვს ადგილი. ფიზიოლოგიური თრობის დროს ჩადენილი ქმედობა არ ათავისუფლებს დანაშაულის ჩამდენს პასუხისმგებლობისაგან.

## 0

იატროგენიზი — ექიმის ან საექიმო პერსონალის მიერ ავადმყოფის გასინჯვისას დაუკვირებლად გამოთქმული აზრის შედეგად განვითარებული ფსიქოგენური ზეგავლენა. ვითარდება იპოქონდრიული მდგომარეობა (არაიშვიათად დეპრესია), შიში მოურჩენელი ავადმყოფობისა.

იდეატორული — აზრობრივი.

იდეატორული შეკავება — ჩუმი, ნელი მეტყველება.

იდენტიფიკაცია — საკუთარი მესგავიგეება სხვის პირიყენებაში.

იდიოპათიური — გარკვეულ მიზეზთან დაუკავშირებელი, პირველა-

დი, თავისთავად წარმოშობილი და ავადება.

იდიოპსიკიაზია — ევგეტატიური ნერვული სისტემის აწეული მგრძობელობა ზოგიერთი ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორის მიმართ. ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს.

იდიოტია — თანდაყოლილი ქუუასესტობის ანუ ოლიგოფრენიის ყველაზე დაბალი საფეხური. მეტყველება და იზროვნება არ ვითარდება.

იდროზოფობია — უცხო საზოგადოებაში გაოფლიანების აკეიატებუ-ლი შიში.

**იეროფობია** — ეკლესიის მსახურთან შესვედრის აკვიატებული შიში.

**იზოკორია** — თვალის გუგების თანაბრობა.

**იზოლატია** — განაალექეება, გამოყოფა.

**ილოგიზმი** — ლოგიკური მსკელობის სისუსტე.

**ილუზია** — რეალურად არსებული საგნის გაუქუღმართებული აღქმა (კლასიკური მაგალითია ჩაითსაესე ფინჯანში კოხის გადაღუნვა). ილუზია იყოფა ემექტოგენურ, ვერბალურ და პარეიდოლურ ნაწილად: **ი. აფექტოგენური** — წარმოიშობა ძლიერ განცდებთან დაკავშირებით (შიში, მოლოდინით გამოწვეული დეღვა და მისთ.); **ი. ვერბალური** — მცდარი აღქმა, როდესაც სრულიად ნეიტრალურ საუბარს აღიქვამს ისე, თითქოს მას ლანძღვენ, ავინებენ; **ი. პარეიდოლური** — ნამდვილად არსებული აღიქმება უცნაურად (მაგალითად, შუქფარის ჩრდილი უზარმაზარ ხელიად და მისთ.). ილუზია არსებობს იმდენი სახის, რამდენიც ნორმალური აღქმაა: სმენითი, მხედველობითი, გემოვნების, ყნოსვის და შეხების.

**იმბეცილობა** — თანდაყოლილი ქუთასუსტობის, ანუ ოლიგოფრენიის საშუალო ხარისხი. იდიოტიისაგან განსხვავებით, მეტყველება ვითარდება, მაგრამ იფარგლება მეტად მცირე და კონკრეტული სიტყვების მარაგით.

**იმპოტენცია** — სქესობრივი უძლურება.

**იმპულსური მანიფესტაცია** — უეცრად წარმოშობილი დაუძლეველი სურვილი, რომელსაც პიროვნე-

ბა პასიურად ემორჩილება. იმპულსური მანიფესტაცია შორის უფრო ხშირია დროშომანია, კლექტომანია.

**იმპულსური ქცევა** — მოულოდნელი, დაუსაბუთებელი მოქმედება, რომელიც ელვისებურად წამოიჭრება წინასწარი გააზრების გარეშე და ასევე წყდება (ითვლება კატატონიის სიმპტომად).

**ინანცია** — ორგანიზმის ფიზიკური განლევა დაკავშირებული კვების უქმარისობასთან.

**ინდეტერმინიზმი** — დეტერმინიზმის საწინააღმდეგო, მიზეზსუდეგობრივი კანონზომიერების უარყოფა.

**ინდიფერენტული** — გულგრილი, განურჩეველი.

**ინდუცირება** (ინდუცირული აქტილობა) — სიტუაციური, ფსიქოგენური რეაქციის სახეა, რომელიც ორ ან მეტ პირთა შორის გამოწვევების ან თვითშთაგონების გამო ვითარდება.

**ინვერსიული** — თავისთავისადმი მიმართული.

**ინვოლუტია** — მოხუცებულობის წინა პერიოდი 45 წლიდან 65 წლის ასაკამდე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გერონტოლოგთა დღევანდელ აზრს, რომელთა გაგებით როგორც ინვოლუტია, ისე სიბერე ვითარდება 10 წლით უფრო მოგვიანებით). ინვოლუტიას საფუძვლად უდევს უკუგანვითარების მთელი რიგი ბიოლოგიური პროცესები (ძირითადად ენდოკრინული; ეპიგენტური ხასიათის).

**ინვოლუტური დეპრესია** — ინვოლუტური ფსიქოზის ძირითადი კლინიკური ფორმა, იწყება მცირე ფსიქოგენიასთან დაკავშირებით ნერვოზული პერიოდით. გაშლილი ფსიქოზი მიმდინარეობს შფოთიანი დეპ-



რესის ფონზე. დადებითი ფსიქოპათოლოგიური ნიშნებიდან დამახასიათებელია ბოღეები, რომლის შინაარსი ძირითადად მიმართულია მომავლისაკენ და გულისხმობს მოსალოდნელ უბედურებას. მიმდინარეობს სანგრძლივად. გამოსავალი კარგია. ნაჩვენებია. მკურნალობა ანტიდეპრესანტებით ნეიროლექსიურ სპეციალებთან კომბინაციაში. განსაკუთრებით ეფექტურია ელექტროკონხეითი მკურნალობა.

**ინვოლუციური ისტერია** (აღწერა გეიგრმა) — ინვოლუციურ, კომპლექსურ ასაკში განვითარებული ნევროზული მდგომარეობა. კლინიკური სურათი ახლოს დგას ისტერიულ ნევროზთან, მაგრამ არსებითად სხვა გენეზია და სხვა სპეციფიკური შეგრძნებები.

**ინვოლუციური კატატონია** — ინვოლუციური ფსიქოზის კლინიკური ფორმა. ახსიათებს კატატონიური გამოვლინება. შიზოფრენიისაგან განსხვავებით მიმდინარეობს არა განურჩეველ ემოციურ, არამედ ინვოლუციური ფსიქოზისათვის დამახასიათებელი შფოთიანი დეპრესიის ფონზე.

**ინვოლუციური მოგვიანებული მელანქოლია** — მაიერ-გროსის მისედვიტ, კლინიკური მიმდინარეობით ბევრად წააგავს ინვოლუციურ დეპრესიას (მეხსიერების დაქვეითება, პიროვნების შეცვლა, კეუსუსტობა). ფანტასტიკური მელანქოლიის დროს ადგილი აქვს ბოღეითი შინაარსის განცდებს და გამოთქმებს.

**ინვოლუციური ფსიქოზი** — ფსიქიკური დაავადება ინვოლუციურ ასაკში, გენეზურად დაკავშირებულია უძუგანვითარების ბიოლოგიურ პროცესებთან. კლინიკური გამოვლი-

ნების მხრივ არჩევენ შემდეგ ფორმებს: — 1. ინვოლუციური დეპრესია, 2. ინვოლუციური ბოღეითი ფორმა. (ინვოლუციური პარანოია, ინვოლუციური პარაფრენია), 3. ინვოლუციური ისტერია და 4. მოგვიანებული კატატონია.

**ინვოლუციური ფსიქოზის ბოღეითი ფორმა** — ინვოლუციური ფსიქოზის კლინიკურად მნიშვნელოვანი ფორმა. ბოღეები თავისი შინაარსით ცხოვრებისეულია — გაძარცვის, დეენის, მოწამლის, ექვიანობის და სხვა ბოღეითი სინდრომის სტრუქტურისა და განვითარების თავისებურების მიხედვით გამოყოფილია ი. პარანოია — ბოღეა სისტემურ ხასიათს ატარებს, ფაქტების თუ მოვლენების ბოღეითი გადამუშავება პიროვნებასთან კავშირშია და ამავე დროს არ არას გართულებული ქალუცინაციებით; ი. პარანოიდი — ბოღეა უსისტემო ხასიათისა; ი. პარაფრენია — ბოღეითი სინდრომი პარაფრენიული ხასიათისაა (იხ. პარაფრენია). ინვოლუციურ ბოღეით ფსიქოზებს, ინვოლუციური მელანქოლიისაგან განსხვავებით, უფრო მძიმე მიმდინარეობა აქვს და მკურნალობას ძნელად ემორჩილება. ნაჩვენებია შოკური მკურნალობა (ინსულინი).

**ინკოპერენტია** — გაუგებარი მეტყველება, ასოციაციური კავშირების დარღვევა.

**ინსოლიაცია** — მზის დაკვრა.

**ინსოზნია** — იხ. აგრიპნია.

**ინსტინქტი** — რთული უპირობო რეფლექსი. ძირითადი ინსტინქტებია: კვების, გამრავლების და თვალაქვის.

**ინსულინური, შოკური მკურნალობა** — შემოღებულია 1933 წ. ზაკელის მიერ ფსიქოზთა მკურნალობისათვის. ითვლება შიზოფრენიის

მკურნალობის აქტიურ ბიოლოგიურ მეთოდად. მკურნალობა იწყება 4—8 საერთაშორისო ერთეული ინსულინის შეყვანით კანქვეშ (უხმოლ), ყოველდღე ინსულინის დოზის თანდათანობითი მატებით (2—4 ს. ე.), სანამ არ განვითარდება ჰიპოგლიკემიური კომა, ანუ შოკი. შემდეგ დღეებში ყოველდღე უკეთდება შოკური დოზა, კომური მდგომარეობიდან გამოყვანა ხდება 20—40 წუთის შემდეგ 40-პროცენტიალი გლუკოზის ენაში შეყვანით (20—40 გ). ინსულინით მკურნალობის კურსად ითვლება 20—30 შოკი, ზოგიერთ შემთხვევაში — 60 შოკამდე. ი. შ. განსაკუთრებით ნაჩვენებია შიზოფრენიის ახალ შემთხვევაში, ყველაზე ეფექტურია ბოლევითი ფორმის დროს.

ინსულტი ბემორაგიული — სისხლის ჩაქცევა ტვინის ქსოვილში, რომელიც ვითარდება თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწკვევე მოშლის შედეგად. ახსიათებს სხვადასხვა სიღრმით და ხანგრძლივობით ცნობიერების დაკარგვა. ნევროლოგიური ნიშნები: თავის ქალასშივა წნევის და არტერიული წნევის მომატება, ბრადიკარდია, სტარტეოროზული სუნთქვა, ზოგიერთ შემთხვევაში მენინგეალური მოვლენები.

ინტეგრაცია — ცალკეული ელემენტების ფუნქციის გათლიანება, შეერთება, არა მექანიკური შეჯამება, არამედ ერთ მთლიან ფუნქციურ სისტემაში მოყვანა.

ინტელექტი — გონება. გულისხმობს მნესტიკურ და შემეცნებით ფუნქციებს, რომლის საშუალებითაც ხდება ცოდნის, გამოცდილების დაგროვება და სათანადო პრაქტიკული გამოყენება.

ინტელექტუალური გრძნობა (ა. ზურაბაშვილი) — ცრემლები, დაკავშირებული ღრმა და რთულ ემოციურ ძვრებთან.

ინტერკურენტული — დაადება, განვითარებული უკვე არსებული სხვა დაადებების მიმდინარეობისას.

ინტერმისია — ფსიქოზურ შეტევებს შორის არსებული შუალედი, რომლის დროსაც ხდება პიროვნების ფსიქიკური ფუნქციების და შრომისუნარიანობის სრული აღდგენა.

ინტერნირება — სააედმყოფოში მოთავსება.

ინტეროკუპტორები — რეცეპტორები, რომელნიც გაღიზიანებას იღებენ შინაგანი ორგანოებიდან.

ინტეროკუპტული შეგრძნება — შეგრძნება შინაგანი ორგანოებიდან.

ინტერპრეტაცია — ახსნა, განმარტება. არსებობს ავადმყოფური ინტერპრეტაცია, რაც ხშირია შიზოფრენიით დაავადებულთა შორის.

ინტოლერანტობა — ინდივიდუალური მიუღებლობა, აუტანლობა რომელიმე ნივთიერების მიმართ (მაგალითად, მედიკამენტის, ალკოჰოლის).

ინტოლერანტული — სუსტი ანტანობის, სუსტი გამძლეობის.

ინტოქსიკაცია — ორგანიზმის მოშხამება, მოწამვლა.

ინტოქსიკაცია ფილოსოფიური — ავადმყოფის მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომელშიც არა აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება: უხშირესად ეხება ზოგად, აბსტრაქტულ პრობლემებს. მსჯელობა ატარებს დაუსაბუთებელ ულოგიკო ხასიათს. გამოთქმის ბოლევისებური დამაჩერებლობით, ხშირად წერილობითი ფორმით. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

**ინტრავერტული პიროვნება** — არასაზოგადობრივი, თავისი საკუთარი ინტერესებით შემოფარგლული, გულჩახვეული პიროვნება (საწინააღმდეგო ექსტრავერტულისა).

**ინტრაყრანიალური** — ქალასშიგა.

**ინტრანატალური** — მეცლად-ყოფნის პერიოდი.

**ინტრასპექცია** — თვითდაკვირვება.

**ინტრაფეტაცია** — სიმახინჯე, ნორმალურ ნაყოფთან შეზრდილი განუვითარებელი შვიორე, მახინჯი ნაყოფი, რომელსაც არა აქვს საკუთარი მოძყოლი.

**ინფანტილური** — ფიზიკურად განუვითარებელი, მოუშწიფებელი, სპასმორტო ასაკს ჩამორჩენილი. ინტელექტის სათანადო განვითარების მიუხედავად ახასიათებს უსუსურობა, დაბნეულობა, მერყეობა.

**ინფერიორი** — არასრულფასოვნობის, უკმარისობის გრძნობა.

**ინცესტი** — სისხლის შერევა, ქორწინება ახლო ნათესაეებს შორის.

**იოფობია** — აკვიატებული შიში შხამებით მოწამვლისა.

**იპოქონდრია** — დაუსაბუთებელი ტკივილის შეგრძნება, ერთთავად მის ირგვლივ ლაპარაკი. დაავადების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს როგორც პიროვნების სტრუქტურული თავისებურება, ისე ეგზოგენური ფაქტორები. იპოქონდრიული სინდრომი შეიძლება იყოს აკვიატებული, ზელირებულყოფანი და პარანოიდული ხასიათის.

**ირადიაცია** — გავრცელება.

**ისტერია** — ნევროზის სახეთაგანი, ვითარდება ფსიქიკური ტრავმის შედეგად. ახასიათებს როგორც ნევროლოგიური, ისე ფსიქოპათოლოგიური ხასიათის მრავალფეროვანი სიმპტომები. ნევროლოგიური სიმპტომებიდან ხშირად ვხვდებით მოძრაობის და მგრძნობელობის თავისებურ მოშლას (ანესთეზია, პარეზი, ასტაზია-აბაზია, მუტიზმი). ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომებიდან დამახასიათებელია სომნამბულური ტიპის ცნობიერების შეცვლა, პუერელიზმი, ფსევდოდემენცია, პანხერის სინდრომი (ეს სინდრომები ითვლება ისტერიულ რეაქციებად).

**ისტერია ინვოლუციური** — იხ. ინვოლუციური ისტერია.

**ისტერიული აფონია** — ხმოვანი იოგების ისტერიული, ფუნქციური დამბლის შედეგად განვითარებული აფონია.

**ისტერიული გულყრა** — ვითარდება უეცრად, ფსიქიკური ტრავმის შედეგად. ატარებს ძლიერ ინდივიდუალურ ხასიათს. ეპილექსიური გულყრისაგან განსხვავებით, ადგილ არა აქვს ტონურ და კლონურ კრუნჩხვებს, ცნობიერება არ არის დაზარალებული, მხოლოდ შეიწროებულ იმეორებაშია, რეფლექსები შენასუსლია, გრძელდება რამდენიმე საათი. გარეგანი გამოვლინება: მიღებულ ფსიქიკურ ტრავმასთან შეფარდებული გარკვეული ემოციის გამოხატვა.

**ისტერიული რეაქცია** — ახასიათებს მთელი რიგი სიმპტომები: ანესთეზია, პარეზი, დამბლა, ცნობიერების შეიწროება, ფსევდოდემენცია პუერილიზმი (თავდაცვითი რეაქცია). ვითარდება ფსიქოტრავმების შედეგად.

**ისტერიული სტიგმები** — გარკვეული ფიზიკური ნიშნები, რომელიც ახასიათებს ისტერიულ რეაქციებს: ფუნქციური დამბლა, პარეზი — ლორწოვანი გარსის, ხახის, კონიუნქტივის, რქოვანას რეფლექსების მოსპობა, დაქვეითება.

ისტერიული სტუმორი — იხ.  
ს ტ უ პ ო რ ი.

ისტერიული ხასიათი — ფსიქო-  
პათიური პიროვნება, განწყობილი  
ისტერიული რეაქციებისადმი. ისტე-  
რიული ხასიათის პათოფიზიოლოგიურ  
საფუძველს წარმოადგენს ინსტინქტე-  
ბისა და პირველი სასიგნალო სისტე-  
მის უპირატესობა მეორე სასიგნალო  
სისტემაზე. ისტერიული პიროვნების  
ცხოვრების ძირითად გეზს განსაზღვ-

### კ

კაიროფია — აკვიტებული ში-  
ში, რომელიც წარმოიშობა გარ-  
კვეულ სიტუაციაში. კაიროფობიის  
სახეებია აგროფობია, კლაუსტრო-  
ფობია, ნიქტოფობია.

კაზუისტიკა — საკითხის გადასა-  
პრელად გამოცდილებისა და მეცნი-  
ერული კვლევების გათვალისწი-  
ნება.

კაკოგევზია — არასასიამოვნო  
გემოს შეგრძნება.

კაკოსმია — ყნოსვის გაუქულ-  
მართება. უსიამოვნო სუნის შეგრ-  
ძნება, ანუ ყნოსვის ჰალუცინაცია  
(გვხვდება შიზოფრენიის დროს).

კანცეროფობია (კარცინოფობია) —  
კიბოთი დაავადების აკვიტებული  
შიში.

კაპილაროსკოპია — კაპილარული  
ქსელის შესწავლის მეთოდი. გამოი-  
ყენება სისხლძარღვოვანი და ინვო-  
ლუციური ფსიქოზით დაავადებში  
დროს.

კარდინალური — ძირითადი, უმ-  
თავრესი.

კარუს — ცნობიერების შეცუ-  
ლის სახე. არავითარი ღონისძიებით  
არ ხერხდება გაღიზიანებაზე სათანა-  
დო ფსიქიკური რეაქციის მიღება.

რავს სურვილები და ინსტინქტები.  
ახსიათებს ყურადღების ცენტრში  
ყოფნა და მიდრეკილება ფანტაზიე-  
ბისადმი.

იხსოფონია — სუსტი, განლეუ-  
ლი ხმა.

იხსოფონია — ენაბლუობა.

ინტერაცია — განმეორება.

იუვენალური — ჭაბუკური.

იშემია — სპაზმური ანემია.

„კასკა ნევრასთენიკის“ — ნეე-  
რასთენიისა და ნევრასთენიული სინ-  
დრომისათვის დამახასიათებელი თა-  
ვის ტკივილი, რომელიც გამოიხატე-  
ბა გარედან სალტის შემოქერის შე-  
გრძნებაში.

კატათიმია — ემოციური ფაქტო-  
რების ზეგავლენა ფსიქიკურ პროცე-  
სებზე.

კატალეფსია — კუნთების ცვილი-  
სებრი მოქნილობა, კატატონიური  
ფორმის მოქნილობა. გვხვდება ში-  
ზოფრენიის დროს.

კატაშნეი — ცნობები ავადმყო-  
ფის მდგომარეობის შესახებ საავად-  
მყოფოდან გაწერის შემდეგ. კატაშ-  
ნეზს დიდი მნიშვნელობა აქვს კლი-  
ნიკური ფსიქიატრიისათვის.

კატარზისი — ექიმს ავადმყოფი  
გადაჰყავს ღრმა ჰიპნოზის მდგომა-  
რეობაში და ახდენს დავიწყებული  
ფსიქიკური ტრავმის რეპროდუქცი-  
ას, განცდას (განტვირთვის მიზნით).

კატატონია ექსპერიმენტული —  
კატატონიური მოვლენები, გამოწვე-  
ული ორგანიზმში ფსიქოდისლექტი-  
ური ნივთიერების ხელოვნურად  
შეყვანით.

**კატატონია ინვოლუციური** — ინვოლუციური კატატონია.

**კატატონია ლუციდური** — შიზოფრენიის კატატონიური ფორმის კლინიკური ვარიანტი. კატატონიური სიმპტომი (კატატონიური სტუპორი ან კატატონიური აგზნება) მიმდინარეობს ნათელი ცნობიერების ფონზე. ახასიათებს პროგრესიული მიმდინარეობა, სპონტანურ რემისიებს არ იძლევა (განსხვავებით ონეიროიდული კატატონიისაგან). მკურნალობას ძნელად ემორჩილება.

**კატატონია მეორადი** — კატატონიური მოვლენები სტუპორის ან აგზნების სახით, რომელიც ვითარდება შიზოფრენიის პალუცინაციურბოდვითი ფორმის გვიან სტადიაში (ახასიათებს ხანგრძლივობა).

**კატატონია მოგვიანებული** — ინვოლუციური ფსიქოზის კლინიკური ფორმა. პირველად ინვოლუციურ ასაკში ვითარდება კატატონიური სინდრომი, კატატონიური სტუპორი ან კატატონიური აგზნება შფოთიან, დეპრესიულ ფონზე. არის შემთხვევა აგრეთვე თავის ტვინის ორგანული დაზიანების დროს განვითარებული მოგვიანებული კატატონიისა.

**კატატონია ონეიროიდული** — შიზოფრენიის კატატონიური ფორმის კლინიკური ვარიანტი. კატატონიური სიმპტომები (უხშირესად სტუპორი ან სუბსტუპორი) მიმდინარეობს ონეიროიდული ცნობიერების ფონზე. ახასიათებს პერიოდული მიმდინარეობა, ხშირად იძლევა სპონტანურ რემისიას. განსხვავებით ლუციდური კატატონიისაგან შედარებით კეთილთვისებიან ფორმად ითვლება.

**კატატონიური სტუპორი** — ინსტუპორი.

**კატაფლექსია** — კუნთთა ტონუსის უეცარი სისუსტე, რომელიც ვითარდება შეტევის სახით აფექტთან ან ძლიერ გაღიზიანებასთან დაკავშირებით, გასტანს 2—3 წუთს. ამ დროს ცნობიერება არ არის გამოთიშული, მაგრამ მეტყველების მაშობრავებელი აპარატის სისუსტის გამო ავადმყოფი ვერ ლაპარაკობს. შეტევის დროს და უშუალოდ შეტევის შემდეგ ადგილი აქვს ბრადიკარდიას, სახის ჰიპერემიას, ჰიპერჰიდროზს. გვხვდება ეპიდემიური ენცეფალიტის, თავის ქალას ტრავმის, ისტერიისა და ეპილეფსიის შემთხვევაში.

**კატაფორა** — აფექტური დამბლა, კუნთთა ტონუსის აფექტოგენური ბლოკადა. ვითარდება უეცრად, შეტევის მსგავსად, ძლიერ აფექტთან დაკავშირებით (შესაძლოა გამოიწვიოს თავშეუკავებელმა სიცილმა, რის გამოც სიცილის დარტყმას უწოდებენ).

**კაუზალური** — მიზეზობრივი.

**კაფარი** — მწვავე ფსიქოზური მდგომარეობა ცნობიერების შეცვლით და აგრესიული ხასიათის მოტორული აგზნებით. ვითარდება ტროპიკულ ქვეყნებში მზის დაკვირის შედეგად.

**კენოფობია** — ცარიელ შენობაში ყოფნის შიში.

**კვალიტეტი** — თვისება.

**კვერულიანტი** — მოდავეობისადმი მიდრეკილი ფსიქოპათიური პიროვნება.

**კვიწყეს ნიშანი** — გაშლილ თითთა ტრემორი, რომელიც შეიმჩნევა მხოლოდ მაშინ, როდესაც პაციენტი თითებს მიაბჯენს გამოკვლევის ხელის გულს. ადგილი აქვს ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს.

**კინანთროპია** — ზოანთროპიის

სახეთაგანი, ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ ძალღად გადაიქცევა.

კინორექსია — იხ. ბუღიშია.

კინოფობია — ძალღის შიში.

კლაუსტროფობია — დაკეტილი კარის აკვიატებული შიში. გვხვდება აკვიატებული მდგომარეობის ნევროზის დროს.

კლაუზომანია — აკვიატებული ბუტბუტი.

კლაუსტროფილია — ღია კარის შიში, აკვიატებული სურვილი კარების, ფანჯრების ჩაეკეტისა.

კლემატოზია — დაუძლეველი ლტოლვა სხვისი ნივთების მისაკუთრებისა, უზშირესად სრულიად გამოუსადეგარის. იმპულსური მიზიდულების ფორმათაგანია.

კლემატოფობია — გაქურდვის აკვიატებული შიში.

კლიმაქსი (ბერძნულად საფეხურს ნიშნავს) — სასქესო ჭირკვლების ფიზიოლოგიური განლევის და პორმონების გადასხვაფერების პერიოდი. ხშირად თან ახლავს ვაზოვეგეტატიური ლაბილობა, ხასიათის ცვალებადობა (განსაკუთრებით ნაადრევი და მოგვიანებული კლიმაქსის დროს). ფსიქიკური ძვრების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ეგზოგენური ფაქტორები, პიროვნების პრემორბიდული მონაცემები და წარსულში გადატანილი მძიმე ავადმყოფობა (განსაკუთრებით თავის ქალას ტრავმა).

კლინოფრაზია — წოლითი რეჟიმო.

კლინოცეფალია — უნაგირისებურად ჩაზნექილი თავის ქალა.

კლიტროფობია — იხ. კლაუსტროფობია.

კლონური კრუნჩხვა — ანტაგონისტურ კუნთთა სერიული, ხანმოკ-

ლე, სწრაფი, ნაძალადევი შეკუმშვა და მოღუნება. კლონურ კრუნჩხვას იწვევს თავის ტვინის ქერქის მოტორული ზონის უჯრედთა გაღიზიანება. გვხვდება ეპილექსიური გულყრის დროს.

კლონუსი — კუნთების რიტმული და თანაბარი ამპლიტუდით შეკუმშვა. ასევე რეფლექსების აწვევის თანხლებისა და პირამიდული გზების დაზიანების მაჩვენებელი.

კლონუსი ფუნქციური — განსხვავებით ორგანული კლონუსისაგან, კუნთების შეკუმშვა წარმოებს არიტმულად და ცვალებადი ამპლიტუდით. ყურადღების აცილებისას ფუნქციური კლონუსი ქრება. გვხვდება ნევროზული მდგომარეობის დროს.

კოკაინიზმი — ნარკოზომანია (კოკაინის მიჩვევა ყნოსვით ან ინექციის სახით).

კოლაფსი — გულ-სისხლძარღვთა ტონუსის მკვეთრი დაქვეითება. ახასიათებს შემდეგი კლინიკური ნიშნები: დაქვეითებული არტერიული წნევა, სახე ფერმკრთალი, ჰიპოთემია. ჰიპერპიდროზი, მაჭა შენელებული ან მთლიანად გამოთიშული.

კოლაფსი ორთოსტატიკული — კოლაფსური მდგომარეობა, რომელიც ვითარდება სხეულის მდგომარეობის უეცარი შეცვლისას, მაგალითად, პორიზონტალური ან წოლითი მდგომარეობიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში გადასვლის დროს. გვხვდება ჰიპოტონიური დაავადების შემთხვევაში და ამინაზინით მკურნალობის პირველ დღეებში.

კოლიზია — სხვადასხვა სურვილის შეხვედრა-შეჯახება.

კომა (კომური მდგომარეობა) — გაბრუნება, ცნობიერების სრული დახშვა, რეაქცია როგორც ძლიერ, ისე

აქსტ გამიზიანებელზე მოსპობი-  
ლია, რეფლექსები არ გამოიწვევა.  
აფუძვლად უდევს უ. ნ. მოქმედების  
ზრმა შეაკება. გვხვდება თავის ტვი-  
ნის შერყევის დროს, აგრეთვე ინსუ-  
ლინით მკურნალობისას.

კომოციო — თავის ტვინის შერ-  
ყევა.

კომპენსატორული პარგედონია —  
პომოსეკსუალიზმი, გამოწვეული სა-  
წინააღმდეგო სქესთან დაკმაყოფი-  
ლების შეუძლებლობით (მაგალითად,  
მონასტრებში, საპატრიარქოებში).

კომპენსაცია — არსებული დე-  
ფექტისადმი შეგუება, ფუნქციათა  
მოწესრიგება.

კომპლექსი — განცილის უტყუო  
განცდა. კომპლექსური განცდა მუდამ  
სევდიანია.

კონგენიტალური — თანდაყოლი-  
ლი.

კონდიციონალიზმი — იდეალის-  
ტური მიმართულება ბუჩქუაზიული  
ფილოსოფიისა, რომელიც უარყოფს  
მოვლენების მიზეზობრივ დასაბუთე-  
ბას, ყოველგვარი მოვლენის არსე-  
ბობას და მათ შორის დაავადებას  
უკავშირებს სხვადასხვა შინაგანი და  
გარეგანი პირობის შემთხვევით თან-  
ხედრას. ფსიქიატრიასა და მედიცინა-  
ში, საერთოდ, კ. გამოიხატება ნოზო-  
ლოგიური პრინციპის უარყოფაში.

კონვერსია ემოციური — ემოცი-  
ური, ფსიქოტრავმული რეაქციის გა-  
მოვლენა ფიზიკური სიმპტომის სა-  
ხით. მაგალითად, ისტერიული დამბ-  
ლა.

კონსტელაცია — ურთიერთმოქმე-  
დი ფაქტორების თანაარსებობა.

კონსტიტუცია — ორგანიზმის  
თანდაყოლილი და შექმნილი ფიზი-  
კური და ფსიქიკური თვისებები,  
რომლებიც ნაწილობრივ განაპირო-

ბებენ მის ფუნქციურ და რეაქცე-  
ულ შესაძლებლობებს.

კონსტიტუციური პარგედონია —  
პომოსეკსუალური ტენდენცია, გამო-  
წვეული სომატოფსიქიკური თავისე-  
ბურებით.

კონტინუა — უცვლელი, მყარი.

კონტუზია — თავის ტვინის და-  
ჟევეა.

კონფაბულაცია — მეხსიერების  
თავისებური პათოლოგია, ცრუ მო-  
გონება. არარსებული ამბის მოგონება  
როგორც განცილის. გვხვდება კორ-  
საკოვის ფსიქოზისა და ორგანული  
ფსიქოზის დროს (მოხუცებულობის  
ფსიქოზი, პროგრესიული დამბლა).

კოორდინაციული ნევროზი —  
ენაბორძიკობის სახეთაგანი.

კოპრაკრაზია — განავლის შეუ-  
კავებლობა.

კოპროლაღია — უწმარული სიტ-  
ყვების წარმოქმნის აკვიატებული  
სურვილი.

კოპროფაგია — კვების ინსტინქ-  
ტის წახდენა, მიდრეკილება საკუთა-  
რი ექსკრემენტების ჭამისადმი.  
გვხვდება შიზოფრენიის შორსწასულ  
შემთხვევაში და ეპილეფსიური ქუუ-  
სუსტობისას.

კორესკოპია — თვალის გუგის  
გამოკვლევა.

კოროფილია — ქალთა პომოსექ-  
სუალიზმის სახეთაგანი. მოზრდილ  
ქალთა სექსუალური ლტოლვა გოგო-  
ნებისადმი.

კოსმიური განცდები — ხატოვანი,  
პალეონატორული განცდები (ქვეყ-  
ნის დაღუპვა ადამიანთა ამოწყვეტის  
სახით).

კოპერენცია — წარმოდგენათა  
შორის ლოგიკური, აზრობრივი კავში-  
რი (საწინააღმდეგო ინკოპერენციი-  
სა).

**კრემოფობია** — უფსკრულის, სიმალლიდან გადმოხედვის აკვიატებული შიში.

**კრეტინიზმი** — ფარისებრი ჭირკვლის განუვითარებლობის შედეგად გამოწვეული ქუთასუსტობა.

**კრიესტეზია** — სიცივისადმი გადაჭარბებული მგრძობილობა.

**კრიზი** — ავადმყოფური სიმპტომების მწვავე შეტევა, მაგალითად, კრიზი სისხლძარღვოვანი.

**კრიზი სისხლძარღვოვანი** — მიმდინარეობს მწვავედ რამდენიმე წამის ან წუთის განმავლობაში, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლას შედეგად (სპაზმი ან სტაზი), გასტანს რამდენიმე საათს ან დღეს. შეიძლება განვითარდეს ცნობიერების ნაწილობრივი დაბინდვა, აფაზიის მოვლენები, პარეზი, შესაძლებელია სრული აღდგენა, მძიმე შემთხვევაში — ინსულტი.

**კრიბტომენია** (ბლეილერი) — მებსიერების გაუქვლმართება. ნანახს, გაგონილს და წაკითხულს ავადმყოფი განიცდის როგორც მის ცხოვრებაში მომხდარს.

**კრიტერიუმი** შეურაცხადობის (მედიცინური) — 1. ქრონიკული ფსიქიკური დაავადება, 2. ფსიქიკური სფეროს დროებითი აშლა, 3. ფსიქიკური

სფეროს ის პათოლოგიური მოვლარეობა, რომელიც თავის გამოვლინებით ზემოთ აღნიშნულის თანაბარია.

**კრიტერიუმი შეურაცხადობის** (იურიდიული) — 1. არ შეუძლია თავის მოქმედებას ანგარიში გაეწიოს. 2. არ შეუძლია თავის ქმედებას უსელმძღვანელოს.

**კროციდიზმი** — თითების თავისებური მოძრაობა საბანზე, ბალიშზე (თითქოს კრეფს რაიმე წვრილ საგნებს). გვხვდება ცნობიერების ამნციური აშლის დროს.

**კსანტოფსია** — ირგვლივ არსებული საგნების ყვითელ ფერებში დაწნახვა (გვხვდება ნახშირორთქანგით, სანტონინით და სხვ. მოწამვლის შემთხვევებში).

**კტონომანია** — პათოლოგიური ლტოლვა მომავლად ცხოველთა ხილვისადმი.

**კუმულაცია** — თანდათანობითი დაგროვება.

**„კურც შლუზი“** — ანუ მოკლე გადაწველების რეაქცია. სწრაფი უეცარი რეაქცია გაღიზიანებაზე ცნობიერების, გააზრების გარეშე. წარმოადგენს „განსაკუთრებული მდგომარეობის“ ერთ-ერთ უმძიმეს სახეს.

## ლ

**ლაბილობა** — გუნებ-განწყობის ადვილი ცვლებადობა, მერყეობა. უმეტესად ახასიათებს თავის ტვინის ათეროსკლეროზს და პროგრესიულ დამბლას (გვხვდება საერთო ასთენიის დროსაც).

**ლაგოფტალმია** — ფართოდ გახსნილი, გადმოკარკული თვალი. გვხვდება პროგრესიული დამბლის დროს.

**ლაკუნალური** — კეროვანი, ნაწილობრივი, ნერვული სისტემის ლაკუნალური დაავადება, გარკვეული უბნის დაზიანება.

**ლაკუნალური ქუთასუსტობა** — განსხვავებით გლობულარული ქუთასუსტობისაგან, ადგილი აქვს ინტელექტური ფუნქციების დაქვეითებას, მაგრამ პიროვნების ბირთვი შენახუ-



ლია. დამასსიათებელია სისხლძარღვოვანი ფსიქოზური დაავადებისათვის (ჰიპერტონიული, ათეროსკლეროზული ფსიქოზი).

**ღაღოპათია** — იხ. დიზართრია.

**ღაღოფობია** — ლაპარაკის უში (უფრო ხშირად ენაბლუს, ენაბორძაკს ემართება).

**ღამბდაციოზი** — მეტყველების დეფექტი, რომელიც მდგომარეობს ასო ლ-ს არასწორად, გაურკვეველად გამოთქმაში.

**ღატენტური პერიოდი** (ანუ ფარული პერიოდი) — პერიოდი დაავადების ამჟამად გამოკლინებადღე.

**ღატერაოფლსიო** — სხეულის უნებლიე გადახრა გვერდზე (იხ. პარკინსონიზმი).

**ღაქტაციური ფსიქოზი** — ლაქტაციის პერიოდში განვითარებული ფსიქოზი (მოძველებული ტერმინია).

**ღეთარგია** — ხანგრძლივი ძილი, ზამთრად ცხოველების ძილად მივარდნის ჩავვარი. შინაგანი ორგანოების ფუნქციები მინიმუმამდეა დაქვეითებული. ლ. ქილის დროს საყვების მოთხოვნილება მეტად უმნიშვნელოა.

**ღეიკოთომი** — სპეციალური იარაღი ლეიკოთომიისათვის.

**ღეიკოთომია** — ფსიქიკურ ავადმყოფთა მკურნალობის ჭირურგიული მეთოდი (შემოღებულია 1932 წ. მონიკის მიერ). სპეციალური იარაღით, ლეიკოთომით ახდენენ თალამოკორტიკალური გზების ან ერთმხრივ, ან ორმხრივ გადაკვეთას. საბჭოთა კავშირში ლეიკოთომია აკრძალულია როგორც უხეში მეთოდი, რომელიც იწვევს არააღდგენად ორგანულ ცვლილებებს.

**ღესხიური სიყვარული** — ქალთა

შორის სექსუალური კავშირი (იხ. გინეკოფილია).

**ღესხენია** — აჩქარებული ლაპარაკი. მრავალსიტყვიანობა.

**ღეფთომენინგიტი** — ტვინის რბილი გარსის ანთება.

**ღეფთოსომური აღნაგობა** — გამხდარი, ნაკლებად განვითარებული ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემა (მოძველებული ტერმინია).

**ღიბილო** — სექსუალური მიზიდულობა.

**ღიკანთროპია** — შგლად ვადაქცევის შიში.

**ღიკორექსია** — გაუმძღრობა.

**ღიპემანია** — მელანქოლიური მდგომარეობა (დღეისათვის მოძველებული ტერმინია).

**ღიპმანის ფენომენი** — თვალზე ხელის დაქვრით გამოწვეული მხედველობითი პალუცინაციები მწერებ-ს, ცხოველების სახით (გვხვდება თეთრი ცხელების დროს).

**ღიპოთიმია** — ცნობიერების ხანმოკლე დაკარგვა.

**ღიოსოფობია** — ცოფით დაავადების შიში.

**ღიტერალური პარათაზია** — იხ. პარაფაზია.

**ღიქვორი** — თავ-ზურგტვინის სითხე.

**ღობოთომია** — იხ. ლეიკოთომია.

**ღოგავნოზია** — ნათქვამი ან დაწერილი სიტყვის გავების გაძნელება ან სრული შეუძლებლობა.

**ღოგოკლონია** — ერთი და იგივე ბევრის ხშირი გამეორება. გვხვდება პროგრესიული დამბლის და თავის ტვინის ათეროსკლეროზის დროს.

**ღოგონევეროზი** — მეტყველების მოშლა, ავადმყოფი კრიტიკულად

აფსებს თავის მდგომარეობას და განიცდის დეფექტს.

**ლოგოპედი** — სპეციალისტი ექიმი ან პედაგოგი, რომელიც ლოგონეროზით დაავადებულთ მეტყველებას უსწორებს.

**ლოგოპედია** — მედიცინის და პედაგოგიის სპეციალური დარგი, რომელიც სწავლობს მეტყველების მოშლის ეტიოლოგიას, დიაგნოსტიკას, კლინიკას და თერაპიას.

**ლოგორეცია** — ასქარებული მეტყველება. ეხვდებით მანიაკური მდგომარეობის დროს (იხ. აზრთა ქარიშხალი).

**ლოკალური** — ადგილობრივი, შემოფარგლული, გარკვეული უბნის დაზიანების შემთხვევები.

**ლომბროზოს თეორია** — ბოროტ მოქმედების ახსნა მეგკვიდრობით შექმნილი ბიოლოგიური თვისებებით. აღზრდისა და სოციალური ფაქტორების მნიშვნელობის სრული უგულ-

ებეღყოფა. როგორც მეცნიერულად, ისე იდეოლოგიურად დღეისათვის მიუღებელი თეორიაა.

**ლოქსოფტალმია** — ის სტრამბიზმი.

**ლუეზი კონგენიტა** — თანდაყოლილი სიფილისი. ნაყოფი დაავადებული ჩასახვის პერიოდში, ან დაბადების დროს.

**ლუნატიზმი** ანუ მთვარეულობა — ძილში. უხშირესად ღამის მეორე ნახევარში, ადამიანი ღებება და იწყებს ავტომატურ მოქმედებას. აღნიშნული მუგომარეობა გრძელდება რამდენიმე წუთს, რის შემდეგ ავადმყოფი აგრძელებს ჩვეულებრივ ძილს. ესვდებით ნევროზულ ბავშვებში, ინტერიის და ეპილეფსიის დროს. ავადმყოფისათვის აღნიშნული მოქმედება ამწვზირებულია.

**ლუციდური კატატონია** — იხ. კატატონია ლუციდური.

## მ

**მაკრომელია** — კიდურთა გადიდების შეგრძნება.

**მაკროსომია** — იხ. გიგანტიზმი.

**მაკროფსია** — საგნების პროპორციულად გადიდებულად აღქმა, აკომოდაციის დარღვევის გარეშე.

**მალთუიზმი** — ინგლისელი მოძღვრის მიერ მოწოდებული თეორია (1798 წ.), რომლის მიხედვით, სამყაროს ტევადობასა და ადამიანთა მომრავლებას შორის შეუფარდებლობაა. ადამიანთა რიცხვი მერტად იზრდება. მალთუსის გაგებით, სიღატაკის, უმუშევრობისა და ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად ომიანობა აუცილებელია და გარდაუვალი (თეორია მიუღებელია).

**მანია** — ბერძნული სიტყვაა და

**მანოზიზმი** — სექსუალური გაუკლებარება (დაკავშირებულია ავსტრიულ მწერალ ზახერ-მანოზთან), სექსუალური ავზნება და ღეკმაყოფილება სორციელდება საწინააღმდეგო სქესის მიერ ფიზიკური ტკივრლის მიყენებით (პოზიტიურია სადიზმი-სა), გეზვდება ფსიქოპათიის შემთხვევაში.

**მაკროგემია** — სხეულის სქემის დარღვევა. შეგრძნება, თითქოს გაეზარდა სხეულის რომელიმე ნაწილი ან მთლიანად აღნაგობა.

**მაკროგირია** — თავის ტვინის განსაკუთრებული ფართო ხვეულები.

**მაკროეფალია** — დიდი თავის ქალა.

ნიშნავს თავშეუკავებელ ლტოლვას, სწრაფვას, გრძობათა სიკარბეს.

**მხიარული მ.** — შეუჩერებელი, ხალისიანი აფორიაქება; სევდის მ.

— ავადმყოფის გაღიზიანებული, სასოწარკვეთილი მდგომარეობა;

**განდიდების მ.** — ყოვლად გაუგებარი, მკვეთრად გამოხატული განდიდების შინაარსის ბოღებით აზრები;

**ონეიროიდული მ.** — მანიაკური სინდრომის ერთ-ერთი სახე, არანათელი ცნობიერების დროს დაუკავშირებელ აზრთა მოზღვავება;

**სენილური მ.** — ხანდაზმულ ასაკში პირველად წარმოშობილი მანიაკური სინდრომი, ქვეასუსტობის გარეშე (მაიერ გროსი); მ.

**პურიბლანდა** — მანიაკური აგზნების უმაღლესი წერტილი, რომელიც დანარჩენი მანიებისაგან განსხვავდება ქაოტური აგზნებით და მოუხვეწრობით.

სტუმორი მეტენცეფალიტური — გვხვდება ეპიდემიური ენცეფალიტის ქრონიკულ სტადიაში. ავადმყოფი დიდხანს წევს ერთსა და იმავე მდგომარეობაში (გამომეტყველება შეუცვლელი და უტყვი).

სტუმორი მოტორული — იხ. სტუმორი კატატონიური.

სტუმორი ნეგატიური — აქტიური ან პასიური ნეგატივიზმით გამოწვეული სტუმორი.

სტუმორი რეცეპტორული — სტუმორის, ანუ სრული უმოძრაობის, მექანიზმი მხედველობითი ან სმენითი ანალიზატორის აგზნებაში მდგომარეობს (მაგალითად, პალუცინაციების მოზღვავება, ონერიოიდული ცნობიერება), რის გამო უმოძრაობასთან ერთად ადგილი აქვს გარემო სინამდვილისაგან სრულ გამოთიშვას.

სტუმორი ფსევდოკატატონიური — იხ. სტუმორი ისტერიული.

სტუმორი ფსიქოგენური — ვითარდება მწვავედ, ძლიერ და მოულოდნელ ფსიქოტრავმასთან დაკავშირებით (უზშირესად კატასტროფული ხასიათის). ავადმყოფი უეცრივ შეშდება იმ მდგომარეობაში, როგორშიც იყო ტრავმის მიღების დროს. დამახასიათებელია სრული უმოძრაობა, ცნობიერების შეცვლა მკვეთრად გამოხატული ვეგეტატიური მოვლენებით. ხანგრძლივობა —

რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე. მდგომარეობიდან გამოსვლა ხდება უეცრივ, სრული ან ნაწილობრივი ამნეზიით. ს. ფ. შეიძლება განუვითარდეს მანამდე სრულიად ჩანბრთელ პიროვნებას. წარმოადგენს შოკური რეაქციის ფორმას.

სტუმორი ფსიქოპათოლოგიური (ანუ მელანქოლიური) — ვითარდება თანდათანობით, ფსიქიკის ყველა სფერო პარამონიულადაა შეკავებული. სრულ უმოძრაობას თან ახლავს მძიმე მწუხარება, სევდა, წარმოადგენს მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის დეპრესიული ფაზის მაქსიმალურ გამოხატულებას. ამ დროს მოსალოდნელია თვითმკვლელობა, რადგან სიცოცხლის ინსტინქტი შეკავებულია.

სტუმორი „ცარიელი“ — ხელშემწყობი, ამაღლებელი ფაქტორის გარეშე განვითარებული სტუმორი (გვხვდება შიზოფრენიის დროს).

სტუმორი ჰიპერტონიული — იხ. სტუმორი კატატონიური.

სუბლიმაცია — ინსტინქტური ენერჯის (ფროიდით, სექსუალური ენერჯის) გადანაცვლება ფსიქიკის მაღალ საფეხურზე, რაც გამოიხატება რაიმე სასარგებლო საქმიანობის (მეცნიერული თუ პროფესიული) აქტიურ განვითარებაში.

სუგესცია — შთაგონება.

სუგესციური თერაპია — თერაპია შთაგონებით. ფსიქოთერაპიის სახე-თაგანი.

სულდოროფობია — გაოფლიანების აკვიატებული შიში.

სუიგენური — წარმოშობითი.

სუიციდიუმი — თვითმკვლელობა. ხშირია მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის დეპრესიული მდგომარეობის დროს.



სუციდომანია — ლტოლვა თვით-  
მკვლელობისადმი.

სულფოზინოთერაპია — ანუ  
მკურნალობა გოგირდით. ითვლება  
პიროგენული მკურნალობის ერთ-  
ერთ მეთოდად. შემოღებულია 1929  
წ. სრედერის მიერ. 1% -იანი წმინდა  
გოგირდი (ატმის ზეთში გახსნილი)  
შეჰყავთ კუნთში. მკურნალობა იწ-  
ყება ნახევარი ან ერთი გრამიდან.  
ყოველ მესამე დღეს დოზას ემატე-  
ბა თითო გრამი, მაქსიმალური დოზა  
8 გრამია. მკურნალობის კურსად ით-  
ვლება 30 გრამი გოგირდის ხსნარი.  
მკურნალობის შექანიზმი ორგვარია:  
პიროგენული და დეზინტოქსიკაციუ-

რი. ს. თ. ნაჩვენებია ლუესური ფსი-  
ქოზის შემთხვევებში (განსაკუთრე-  
ბით, პროგრესიული დამბლის დროს,  
როდესაც მალარიით მკურნალობის  
ჩატარება არ ზერხდება) და შიზოფ-  
რენიის მწვავე დაწყების სტადიაში.

სურდომოტიზმი — ისტერიული  
რეაქცია, რომელიც ფსიქიკური ტრავ-  
მის შედეგად სმენისა და ვერტევე-  
ლების მოსპობაში მდგომარეობს.

სუსპიციო — ეჭვის შიშა (იგუ-  
ლისხმება რაიმე მძიმე დაავადებაზე).

სუქცესიურა — თანმიმდევრული.

სინტილატია — სიმპტომა ტიმ-  
კომი (არსებობა, ჩაქრობა).



ტაბესი ზურგის ტვინის — ნერ-  
ველი სისტემის ლუესის მოგვიანე-  
ბული ფორმა. ექტოდერმული, ანუ  
პარენქიმული, ლუესის ლოკალიზა-  
ცია (ანთებით-დეგენერაციული) ზურ-  
გის ტვინის უკანა სვეტებსა და უკა-  
ნა ფესვებში. ვითარდება ლუესით  
დაავადების 15—20 წლის შემდეგ.  
ნაადრევ სიმპტომებს წარმოადგენს  
პარესთეზიები, მწვავე ტკივილი, რო-  
მელიც ძლიერდება ღამე. დამახასი-  
ათებელია მთელი რიგი ორგანული  
მოშლის ნიშნები: არეფლექსია, არ-  
გილ-რობერტსონის სიმპტომი, ატაქ-  
სია, კუნთთა პიოტონია, მწვავე ტკი-  
ვილი შინაგან ორგანოებში (ვისცერა-  
ლური კრიზები) და ამავე დროს  
პიპერესთეზიები. ფსიქიკის მხრივ —  
ყურადღების და მესხიერების შესუს-  
ტება, ემოციური ლაბილობა. მიმდინ-  
არეობა ხანგრძლივია.

ტაბოპარალიზი — ნერვული სის-  
ტემის ლუესის მოგვიანებული ფორ-  
მა. დამახასიათებელია ზურგის ტვი-

ნის ტაბესისა და პროგრესიული და-  
მბლის კლინიკური სიმპტომების კომ-  
ბინაცია (არეფლექსია, ატაქსია, კუნთ-  
თა პიოტონია, ვისცერალური კრი-  
ზი, მეტყველების მოშლა, ემოციური  
გულჩეილობა, ქუუასუსტობა).

ტაბოფობია — დაავადების აკვია-  
ტებული შიში (ამ შემთხვევაში ზურ-  
გის ტვინის ტაბესის დაავადების).

ტანატოფობია — უეცარი სიკე-  
დილის აკვიატებული შიში.

ტარანტიზმი — მასიური ფსიქო-  
გენიის გამოსახულება. პირველად  
ადგილი ჰქონდა გერმანიაში (XIV—  
XV სს.), შემდეგ — იტალიაში  
(XVI—XVII). შემოსეულ ტარანტუ-  
ლას (ობობას მაგვარი შხამიანი მწე-  
რია) კბენის თავიდან ასაცდენად შა-  
რაგზაზე გამოსული ბრბოს ისტერიუ-  
ლი როკვა.

ტასიკინეზია — მუდმივი მოძრაო-  
ბის დაუძლეველი მოთხოვნილება.  
ვხედებით ნეიროლეპტიკურ საშუა-

ლებათა დიდი დოზებით ხმარებისას (იხ. აკატიზია).

**ტაფეფობია** — ცოცხლად დამარხვის აკვიატებული შიში.

**ტაქილალია** — მეტეველების აჩქარებული რიტმი.

**ტაქიპნოე** — აჩქარებული სუნთქვა, ქოშინი.

**ტაქიფაგია** — სულით ავადმყოფთა მიერ საკვების სწრაფი კამა, სწრაფი ყლაპვა.

**ტელეპათია** — აზრის გადაცემა შორი მანძილიდან რეცეპტორების გარეშე (მეცნიერულად არაა დადასტურებული).

**ტემპერამენტი** — პიროვნების სტრუქტურის ერთ-ერთი აუცილებელი მხარე. ტ. ძირითადად განპირობებულია ბიოლოგიური ფაქტორებით და განსაზღვრავს ადამიანის ფსიქიკური რეაქტიუბის ტემპს, ინტენსივობას, გუნებ-განწყობის თავისებურებას. ცნობილია ჰიპოკრატეს ტემპერამენტის კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ბიოლოგიური სითხის (სისხლი, ნაღველი, ღორწო) სიქარბე. გამოყოფს შემდეგ ტემპერამენტს: სანგვინიკური, ქოლერიკული, ფლეგმატური და მელანქოლიური, ჰიპოკრატეს სწავლება ეყრდნობა იმ დროისათვის პროგრესიულ-მატერიალისტურ, ჰუმორალურ თეორიას.

ტემპერამენტის მეცნიერული დასაბუთება ეკუთვნის ი. პავლოვს, რომელიც უმაღლესი ნერვული მოქმედების ძირითადი პროცესების (აგზნება, შეკავება, ძვრადობა) მიხედვით გამოპყოფს ნერვული სისტემის გარკვეულ ტიპებს: სუსტი ტიპი (ანუ მელანქოლიური), ძლიერი, წონასწორი, კარგი ძვრადობის (ანუ სანგვინიკური), ძლიერი წონასწორი — სუს-

ტი ძვრადობის (ანუ ფლეგმატური) და ძლიერი უწონასწორო (ანუ ქოლერიკული).

**ტენდენცია** — მიდრეკილება.

**ტენიოფობია** — ნაწლავების კიებით დაავადების აკვიატებული შიში.

**ტერატოფობია** — სიმახინჯის აკვიატებული შიში.

**ტერმინალური** — საბოლოო, გამოსავალი მდგომარეობა.

**ტეტრაპლეგია** — იხ. პანკლეგია.

**ტიკი** — ავტომატიზებული, ჩვეულებად ქცეული, სწრაფი კონვულსიური სტერეოტიპული მოძრაობა.

**ტ. ნაძალადეგ ხასიათს ატარებს** (ქუთუთობის ხამხამი, წარბების მოქმუხუნა და აწევა და სხვ). გვხვდება ნევროზების შემთხვევაში.

**ტიპი უმაღლესი ნერვული მოქმედებისა** — უმაღლესი ნერვული მოქმედების ძირითადი პროცესების (აგზნება, შეკავება) თავისებურების (ძალა, წონასწორობა, ძვრადობა) და სასიგნალო სისტემების გამოხატულების მიხედვით ი. პავლოვი გამოპყოფს წმინდა ადამიანურ სამ ტიპს:

1. აზროვნების ტ. — დამახასიათებელია მიდრეკილება აბსტრაქციისადმი, ემოციური სფერო სუსტად არის გამოხატული, რეალობა აღიქმება მსჯელობისა და აზროვნების გზით. ასეთი ტიპის ნეიროდინამიკურ საფუძველს წარმოადგენს მეორე სასიგნალო სისტემის უპირატესობა პირველ სასიგნალო სისტემაზე; 2. მხატვრული ტ. ხასიათდება საწინააღმდეგო თვისებებით, რეალობასთან ახლოს დგას, ემოცია ამუხრუჭებს აზროვნებას, მიუთითებს პირველი სასიგნალო სისტემის უპირატესობაზე; 3. შერეული ტ. — ორივე სასიგნალო სისტემა თანაბრად ძლიერაა გან-

ვითარებული (ამ ტიპს პავლოვი იდი-ალურ ტ. უწოდებს).

**ტიფოიდი** — ორგანიზმის რეაქცია ინფექციური აგენტის შეჭრაზე. სინდრომი წააგავს იმ კლინიკურ სურათს, რომელსაც იძლევა ტიფით დაავადება (მაგალითად, პარტახტინანი): საერთო სისუსტე, მოთენთილობა, თავის ტკივილი, ძილის მოშლა, გაოგნება, ტემპერატურის მომატება და მ.ჯისციების აჩქარება.

**ტოლერანტობა** — ინდივიდუალური ამტანობა რომელიმე ნივთიერების მიმართ (მედიკამენტების, ალკოჰოლის და სხვ.).

**ტონიზირება** — გუნებ-განწყობის სთენიური რეაქციების შექმნა.

**ტონოგრაფი** — კენტთა დაძაბულობის, ანუ ტონუსის, ჩამწერი აპარატი.

**ტონუსი** — დაძაბულობა.

**ტოპალგია** — ტკივილის უსაფუძვლო შეგრძნება. კანის გარკვეულ ადგილზე. გვხვდება ისტერიის, ნეერასთენიის შემთხვევაში.

**ტოპოფობია** — გარკვეული ადგილსამყოფელის აკვიატებული შიში.

**ტორპიდული** — უმოქმედო, ზანტი რეაქციების მქონე.

**ტოქსიკომანია** — იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების (ყველა სახის) ქარბი და სისტემატური მიღება.

**ტოქსოპლაზმოზი** — ტოქსოპლაზმით დაავადება შეიძლება განვითარდეს ინტრანატალურად, აგრეთვე პოსტნატალურ პერიოდში. ახასიათებს განვითარების ანომალიები — ჰიდრო- ან მაკროცეფალია, გულყრები. ფსიქიკის მხრივ გონებრივი ჩამორჩენილობა (დებილობა, იმბეცილობა, იდიოტია).

**ტრავმა** თავის ქალასი (დახურული) — განსხვავებული უნდა იქნეს ორი ფორმა: 1. შერყევა, ანუ კომოციო და 2. დაევევა, ანუ კონტუზიო. (ხშირად კომბინირებული სახითაა). შერყევის დროს ადგილი აქვს სხვადასხვა ხარისხის ცნობიერების დაკარგვას: მსუბუქი — სომნოლენციო, საშუალო — სოპორი და მძიმე — კომა. მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ყველა შემთხვევაში აღინიშნება რეტროგრადული ამნეზია, ანუ ტრავმამდე მომხდარი ფაქტების დავიწყება. ადგილი აქვს აგრეთვე ასთენიას, აღინამიას, თავის ტკივილს, ადვილ აგზნებადობას. აღნიშნული მოვლენები არ არის მყარო, ყველაზე დიდხანს რჩება ეგვეტატიური დისტონიის მოვლენები (არტერიული წნევის რყევადობა, ოფლიანობა, თერმორეგულაციის მოშლა და სხვ.). ზოგიერთ შემთხვევაში კომოციური მდგომარეობიდან გამოსვლა ხდება მწვავე ფსიქოზით, ცნობიერების შეცლით, დელირიული ან ამენციური მდგომარეობის სახით. აღნიშნული მწვავე ფსიქოზი ხანმოკლეა — რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე. გარდა ზოგადი ცერბერალური მოვლენებისა, რომელსაც ადგილი აქვს შერყევის დროს, დაევევისათვის დამახასიათებელია აგრეთვე თავის ტვინის კეროვანი მოშლის ნიშნები (პარეზი, მგრძნობელობის მოშლა). თავის ქალას ტრავმა იძლევა შორეულ შედეგებს (იხ. ენცეფალოპათია ტრავმული).

**ტრანზიტივიზმი** — ავადმყოფის მიერ საკუთარი შეგრძნებების და განცდების გადატანა ირგვლივ მყოფ ჯანმრთელ პირებზე, რომელნიც ავადმყოფად მიაჩნია.

**ტრანკვილიზატორები** — ფსიქო-

ლექსიური საშუალებანი სუსტად გამოხატული სედატიური მოქმედებით (ანდაქსინი, ტრიოქსაზინი და სხვ.).

**ტრანსვესტიტიზმი** — სექსუალური გაუქვლმართება (სექსუალური დამკმაყოფილება საწინააღმდეგო სქესის ტანსაცმლის ჩაცმით).

**ტრანსი** — ფსიქიკური ავტომატიზმი.

**ტრანსფორმაცია** — ბოღეის გარდაქმნა. (ერთი შინაარსის მეორე შინაარსის ბოღეაში გადასვლა).

**ტრემორი** — კანკალი.

**ტრემორი ილიოპათიური** — მემკვიდრეობითი დაავადება. უფრო ხშირია კისრისა და ხელების ტრემორი. დამახასიათებელია კანკალის გარკვეული რიტმი (3—10 მოძრაობა წამში).

**ტრემორი სტატიკური** — მცირე ამპლიტუდის, რიტმული, სწრაფი, სტერეოტიპული მოძრაობები (ეკუთენის ჰიპერკინეზებს). გვხვდება ნევროზის, ქრონიკული ალკოჰოლიზმის, ბანდოვის დაავადებისა და ნერვული სისტემის ინტოქსიკაციის სხვა შემთხვევებში.

**ტრიადა ზღვიღერის** — ქრონიკულად მიმდინარე შიზოფრენიისათვის დამახასიათებელი სამი სიმპტომი: ემოციური გაუფერულება, გასადავება, ნებითი სფეროს დარღვევა (პიობულია) და აზროვნების დეფექტი ე. წ. ვახლუჩილობა.

**ტრიადა დეპრესიული** — ფსიქიკის ყველა ფუნქციის პარმონიული შეკავება: 1. ასოციაციური შენელება;

2. დაქვეითებული გუნებ-განწყობა;

3. მოქმედებების (მოტორიკის) შენელება (იხ. სინდრომი დეპრესიული).

**ტრიადა მანიაკური** — ფსიქიკის ყველა ფუნქციის პარმონიული აგზნება: 1. აჩქარება ასოციაციური; 2. აწეული გუნებ-განწყობა; 3. აჩქარებული მოქმედებები (იხ. სინდრომი მანიაკური).

**ტრიადა პელაგრისა** — ანუ „სამიღ“: 1. დერმატიტი; 2. ღიარეია და 3. ღემენცია.

**ტრიადა პროტოპოპოვის** — 1. ტაქიკარდია; 2. მიდრიზიზი; 3. ყაბზობა. გვხვდება მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის დროს, უხშირესად დეპრესიულ ფაზაში.

**ტრიადა სიმპტომების** — ამა თუ იმ დაავადებისათვის დამახასიათებელი სამი სიმპტომი.

**ტრიადალია** — ჰომოსექსუალიზმი სამ ქალ შორის (იხ. ლესბიული სიყვარული).

**ტრივიალური მეტყველება** — ბავშვური მეტყველება.

**ტრიზმი** — საღეკი კუნთების ტონური კრუნჩხვა. წარმოადგენს ტეტანუსის ნაადრევ სიმპტომს.

**ტრიპლეგია** — სამი კიდურის ერთდროული დამბლა (ხელები და ფეხი ან ფეხები და ხელი).

**ტრიომანია** — თეთრი ცხელება.

**ტრისკაიდეკაფობია** — აკვიატებული შიში 13 რიცხვისადმი.

**ტრისტიმანია** — სევდიანი გუნებ-განწყობა.

**ტრიქალგია** — აწეული მგრძობელობა. თმებზე ხელის შეხება იწვევს ტკივილის შეგრძნებას. გვხვდება ისტერიულ პირთა შორის.

**ტრიქოტილომანია** — სხეულის სხვადასხვა ნაწილზე თმების ამოგლეჯის დაუძლეველი სურვილი.

**ტურბულენტური** — მოძრაი, მოუსვენარი, აგზნებული.

## უ

**უქმარისობის განცდა** — პირადი შესაძლებლობის არასწორი შეფასება. დაურწმუნებლობა თავის შესაძლებლობებში, მოქმედებებში. ხშირად რაიმე უმნიშვნელო ფიზიკური დეფექტის გადაჭარბებული განცდა.

**ულტრა** — უკიდურესი, მეტრისმეტი.

**ულტრაპარადოქსული ფაზა** — იხ. ფაზური მდგომარეობა.

**ურაკრატია** — შარდშეუქავებლობა (იხ. ენურეზი).

**ურანიზმი** — ორ მამაკაცთა შორის სქესობრივი კავშირი (იხ. კომოსექსუალიზმი).

**ურნიცა** — პომოსექსუალიზმით დაავადებული ქალი.

**ურნიცა** — პომოსექსუალიზმით დაავადებული მამაკაცი.

**უროლოგნია** — მუხობისმის ერთერთი სახე.

**უროფობია** — შარდზე გასვლის აკეიატებული შიში.

## ფ

**ფაგოფობია** — ლუკმით, ნერწყვის გადაყლაპვით დაღრჩობის შიში.

**ფაზური ანუ პერიოდული** — ფსიქიკური დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია არა უწყვეტი, არამედ პერიოდული მომდინარეობა (მაგალითად, მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზი).

**ფაზური მდგომარეობა** — თავის ტვინის ქერქის აგზნების მდგომარეობიდან შეკავების მდგომარეობაში გადასვლის საფეხური. არჩევენ შემდეგ ფაზურ მდგომარეობას: გათანაბრების ფაზა, როდესაც დღი და მცირე გამლიზიანებელი იძლევა თანაბარი სიძლიერის აგზნებას; პარადოქსული ფაზა, როდესაც ძლიერი გალიზიანება იწვევს მცირე აგზნებას და, პირიქით, სუსტი გალიზიანება იწვევს ძლიერ აგზნებას; ულტრაპარადოქსული ფაზა, როდესაც გამლიზიანებელი, რომელმაც უნდა გამოიწვიოს აგზნება, იწვევს შეკავებას და, პირიქით, გამლიზიანებელი, რომელმაც უნდა გამოიწვიოს შეკა-

ვება, იწვევს აგზნებას. ფაზური მდგომარეობა საფუძვლად უდევს სხვადასხვა ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომს (მაგალითად, პალუცინაციას, ბოდვას).

**ფალსიფიკაცია** — ანამნეზის არასწორი გადმოცემა. ტენდენციური ანამნეზი. ითვლება სიმულაციის სახეობად. გვხვდება სასამართლო-ფსიქიატრიულ შემთხვევებში.

**ფანტაზია ბოდვისმაგვარი** (ბირნბაუმი, მანიანი) — მწვავედ, ხანმოკლედ მომდინარე რომანულ-ფანტასტიკური ბოდვითი აზრები. გვხვდება ფსიქოპათურ პირებში, მწვავე პარანოიდის სახეთაგანია.

**ფანტაზმი. მებსიერების** — ცრუ მოგონებები არსებულ თავგადასავალზე, ნივთებზე (იხ. ფსევდორემინისცენცია).

**ფანტომური განცდა** — არარსებული, მოკვეთილი ორგანოს შეგრძნება და განცდა როგორც არსებულის. ხშირად ვლინდება ძლიერი ტყვილის სახით.

**ფასცინაცია** — ღრმა კიპნოზის სტადია.

**ფემინიზმი** — ქალის ფიზიკური აღნაგობა, სმა, მანერები მამაკაცის.

**ფენომენოლოგიური მიმართულება** — იდეალისტური მიმართულება ფსიქოპათოლოგიაში (ამ თეორიის წარმომადგენლებია იასპერსი, გრულე და სხვ.). ფსიქიკას განიხილავენ მატერიალური საფუძვლებისაგან დამოუკიდებლად და აქედან გამომდინარე ფსიქოზის შესწავლისას ფსიქოლოგიური ანალიზით და ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების აღწერით კმაყოფილებიან.

**ფენოტიპი** — ორგანიზმის სომატური, ფსიქიკური თვისებების ჯამი, რომელიც თანდაყოლილია, შთამომავლობით გადმოცემულია და შექმნილია ინდივიდის გენეოთარების მანძილზე.

**ფეტიშიზმი** — სქესობრივი გრძნობის გაუკუღმართება, რომელიც ელინდება მოწინააღმდეგე სქესის სხეულის რომელიმე ნაწილის ან ტანსაცმლისადმი სქესობრივ მიზიდულობაში. დამახასიათებელია ფსიქოპათიის გარკვეული ფორმისათვის.

**ფიზიკური ილუზია** — საგნის მცდარი აღქმა, რასაც საფუძვლად უდევს გარკვეული ფიზიკური კანონები, მაგალითად, სწორი ქოხი წყალში გვეჩვენება გადატეხილად და სხვ.

**ფიზიოლოგიური ილუზია** — საგნის მცდარი აღქმა, რომელსაც საფუძვლად უდევს გარკვეული ემოციური, დაძაბულობა, მაგალითად, შიში, ლოდინი ან ძილისმაგვარი (ფაზური) მდგომარეობა.

**ფილოგენეზი** — წარმოშობა, ბიოლოგიური ტიპის განვითარების ისტორია.

**ფიქსაცია** — დამახსოვრების უნარი, მეხსიერების ფუნქციის აუცილებელი ელემენტი.

**ფლემბატური** — მოღუნებული, უმოქმედო.

**ფობია** — შიში.

**ფობოფობია** — შიშით დაავადების აკვიატებული შიში. გვხვდება აკვიატებული მდგომარეობის ნევროზისა და ფსიქასთენიის დროს.

**ფონემა** — ელემენტარული სმენითი პალეონაცია, რომელიც არადიფერენცირებული ბგერების ხასიათს ატარებს.

**ფონოზანია** — შველლობისადმი აკვიატებული ლტოლვა.

**ფოტალგეზია** — ტკივილს შეგრძნება სინათლეზე.

**ფოტოფსია** — ელემენტარული მხედველობითი პალეონაცია სინათლის, ცეცხლის ალის, ღრუბლის, სხვადასხვა წერტილის ან ფერის სახით.

**ფრეიდიზმი** — იხ. ფსიქოანალიზი.

**ფრიგილობა** — სქესობრივი ავზნების სისუსტე, სქესობრივი სიცივე.

**ფსევდოდემენცია** — ფსიქოგენურად განვითარებული ცრუ, ყალბი ქუასუსტობა. ისტერიული რეაქციის რიგით ფორმად ითვლება. ახასიათებს უკიდურესად უაზრო, მიუღებელი ქცევები და პასუხები ცნობიერების ნათელ ფონზე. (გრძელდება რამდენიმე დღე ან რამდენიმე კვირა).

**ფსევდოჰიპოგრაფიული** — ცრუ, მოგონილი, ყალბად შედგენილი.

**ფსევდოკატალეფსია** — კიდურის განზრახ გაჩერება ერთსა და იმავე მდგომარეობაში. გვხვდება ისტერიის შემთხვევაში.

**ფსევდოლოგია** — იხ. ში ფ ო მ ა ნ ი ა.

**ფსევდორემინესცენცია** — ცრუ.

მოგონება, არარსებულის გახსენება როგორც განცდილის. მებსიერების პათოლოგიის სახეა.

**ფსევდოპალუცინაცია** (აზრთა აღდგრა) — პალუცინაციის თავისებური სახე, როდესაც, განსხვავებით კემარითი პალუცინაციისაგან, ავადმყოფი პალუცინაციურ ხატს ხედავს ან ისმენს არა ვარე სიერცეში, არამედ თავის ორგანიზმში. ე. ი. არ ხდება პალუცინაციის პროექცია სიერცეში. აღწერილია კანდინსკის მიერ. გვხვდება შიზოფრენიის გარკვეული ფორმის დროს.

**ფსიქასთენია** — ნევროზი, რომელიც ხშირად უეითარდება თავის თავში დაურწმუნებელ, შფოთიან პიროვნებას, ხასიათდება აკვიტებული აზრებისა და მდგომარეობისადმი მიდრეკილებით (სხვა აკვიტებული მდგომარეობიდან გამოყოფილი და აღწერილია პ. ჯანეს მიერ).

**ფსიქიკური ავტომატიზმი** — ცნობიერების შეცვლა. მიზანშეწონილი, რთული მოქმედება შეუგნებლად, ცნობიერების მონაწილეობის გარეშე, რის შესახებ ავადმყოფს შემდეგ არაფერი ახსოვს. გვხვდება ეპილეფსიის დროს.

**ფსიქიკური ალალია** — იხ. ალალია. ფსიქიკური ი.

**ფსიქიკური ბალიზმი** — იხ. „ჰაფეროვანი“ ბალიზმი.

**ფსიქიკური ეკვივალენტი** — ეპილეფსიის დროს ხანმოკლე, მწვავე ფსიქოზური მდგომარეობა, რომელიც ცნობიერების აშლის სახით მიმდინარეობს (იხ. ცნობიერების აშლა, ბინდისებური ცნობიერება, განსაკუთრებული მდგომარეობა). ითვლება სოციალურად საშიშ მდგომარეობად.

**ფსიქიკური ინფანტილიზმი** — ემოციურ, ნებითი სფეროს განვითარების

შეჩერება მცირეწლოვანთა საფეხურზე.

**ფსიქიკური ონანიზმი** — სქესობრივი ავზნების მიზნით წარმოსახვითი საუბარი სექსუალურ თემაზე.

**ფსიქოანალიზი** — ზ. ფრეიდის თეორია, რომელიც ყოველგვარ ფსიქიკურ ანომალიას ხსნის ადამიანის ადრინდელი სექსუალური განვითარების ერთ-ერთ ფაზაზე შეჩერებით და შემდგომ ფსიქიკური ტრავმის გამო ამ დონემდე რეგრესით.

**ფსიქოანალიზური, მეთოდი** — ფსიქოთერაპიის მეთოდთაგანი, ეყრდნობა ზ. ფრეიდის თეორიას და ნევროზის სიმპტომებს განიხილავს როგორც ცნობიერებისაგან განდევნილ კონფლიქტურ განცდას. აქედან გამომდინარე, მკურნალობის მიზნად მიიჩნია ამ განდევნილი განცდის გასწავლება ავადმყოფისათვის. განსხვავებით კატარზისის მეთოდისაგან, მიმართავს თავისუფალი ასოციაციების მეთოდს, სიზმრების და შეცდომების ახსნას, გაანალიზებას.

**ფსიქოგენური პუერილიზმი** — ბავშვურ ქცევებში გამოხატული ისტერიული რეაქცია.

**ფსიქოგრაფია** — პიროვნების განვითარებისა და სტრუქტურის ფსიქოლოგიური აღწერა.

**ფსიქოზი ათეროსკლეროზული** — ფსიქიკურ დაავადება, ვითარდება თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის შედეგად.

**ფსიქოზი დიენცეფალური, პერიოდული** — შუამდებარე ტვინის (დიენცეფალონი) ტრავმული ან ინფექციური დაზიანებისას განვითარებული ხანმოკლე ფსიქოზი, რომელიც მიმდინარეობს ცნობიერების შეცვლით.

**ფსიქოზი ინვოლუციური** — იხ. ინვოლუციური ფსიქოზი.

ფსიქოზი კორსაკოვის — ანუ ალკოჰოლური პოლინეურიტული ფსიქოზი. უკეთარდებათ ქრონიკულ ალკოჰოლიკებს. ახასიათებს მენსიერების თავისებური მოშლა (იხ. სინდრომი კორსაკოვის).

ფსიქოზი ლაქტაციური — ლაქტაციის, ანუ ძუძუსწოვის, პერიოდში განვითარებული ფსიქოზი.

ფსიქოზი მოხუცებულობის (სენილური) — თავის ტვინის პროგრესიული ატროფიის შედეგად განვითარებული ფსიქოზი მოხუცებულობის ასაკში (70 წ. და ზევით), მიმდინარეობს პიროვნების თანდათანობითი დაქვეითებით. გვხვდება: დელირიული ფორმა — მოხუცებულობითი აბნევა, კეუასუსტობა, პრესბიოფრენიის მწვავე ფორმა. დელირიუმში ძლიერდება საღამოობით. პალუცინაციები, ფანტასტიკური განსვლები მცირე, ღარიბია; მოხუცებულობითი კეუასუსტობა გართულებული ათეროსკლეროზით, მიმდინარეობს აგზნებით (აეიტაციით) — გაკრული ფუთით მიღან, მიემგზავრებიან, საქმროს მოვლიან და მისთ. ხშირია გაქურდვის, გაძარცვის შინაარსის ბოღვითი აზრები (იხ. სინდრომი კოტარის).

ფსიქოზი ორგანული — იგულისხმება ფსიქიკური დაავადება, რომელიც ვითარდება თავის ტვინის ორგანული დაზიანების შედეგად, მაგალითად, ათეროსკლეროზული, მოხუცებულობის და თავის ქალას ტრავმის შედეგად განვითარებული.

ფსიქოზი პრესენილური — იხ. ინვოლუციური ფსიქოზი.

ფსიქოზი რეპტითული — დაავადება, რომელიც ვითარდება ფსიქიკურ განცდასთან დაკავშირებით. ფრ. დროს ხდება პიროვნების ფსი-

ქოფიზიკური ნიადაგის შესაძლებლობის დემონსტრირება.

ფსიქოზი სიმპტომატური — სომატური დაავადების შედეგად განვითარებული ფსიქიკური დაავადება.

ფსიქოზი სომატოგენური — როგორც შენაგანი ორგანოს დაავადების შედეგად განვითარებული ფსიქოზი.

ფსიქოზი ტრავმული — თავის ქალას ტრავმის შედეგად განვითარებული ფსიქოზი.

ფსიქოზის მანიფესტაცია — ფსიქოზის აშკარა გამოვლენა, გაშლა.

ფსიქოზური კომპლიკაცია — ფსიქოზური დაავადების გართულება მეორე ფსიქოზური დაავადებით (მაგალითად, ეპილეფსიური ფსიქოზით დაავადებულის პროგრესიული დამბლით დაავადება. ამით კლინიკური სურათი რთულდება).

ფსიქოპათია — ზსიათის პათოლოგია. გამოიხატება ფსიქიკის სფეროთა შორის დისპარმონიაში. ითვლება ნორმასა და ფსიქიკურ დაავადებას შორის მოსაზღვრე მდგომარეობად. ყველაზე ხშირად ფ. შემდეგ ფორმებს ვხვდებით: აგზნებადი ფ. ხასიათდება გადაქარბებული აგზნებადობით, განწყობილია მძინვარე აფექტებისადმი; ასთენიური ფ. ხასიათდება განსაკუთრებული მგრძნობელობით, ვერ იტანს ვერც გონებრივ და ვერც ფიზიკურ დაძაბვას, გაუბედავია, ადვილად იბნევა უცხო გარემოში; ეპილეპტოიდური ფ. დამახასიათებელია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებების თანაარსებობა: ერთი მხრივ, გადაქარბებით ტკბილი, პირმოთნე და ამავე დროს მკაცრი, მრისხანე, მზაკვარი, დაუზოგავი; პარანოიდული ფ. ხასიათდება გადაქარბებუ-



ლი ექვიანობით, თავის შესაძლებლობაზე დიდი წარმოდგენით, ადვილად ექმნება ზედირებულთა იდეები, საკუთარი აზრების და იდეების ფანატრიკოსია.

**ფსიქოპათოლოგია** — კლინიკური ფსიქიატრიის ძირითადი დარგი, რომელიც გულისხმობს ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების სტატისტიკურ და დინამიკურ შესწავლას.

**ფსიქოპროფილაქტიკა** — ზოგადი პროფილაქტიკის უბანი, რომელიც გულისხმობს ღონისძიებათა სისტემას ფსიქიკური ჩანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

**ფსიქოტროპული საშუალებანი** — მედიკამენტები, რომლებიც მოქმედებენ ნერვული სისტემის უმალეს ფუნქციებზე. იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად (ა. სნენენესკის კლასიფიკაციით): **ფსიქოლეფსიური** — დამამშვიდებელი საშუალებანი; **ნეიროლეფსიური** — ფსიქომოტორული აგზნების მომხსნელი (ამინაზინი, პროპაზინი, სტელაზინი, მაქეპტილი, პალოპერიდოლი, რეზერპინი და მისთ.); **ტრანკვილიზატორები** (სუსტად გამოხატული ანტიფსიქოზური ეფექტით) — მოქმედებენ შიშის, დაძაბულობის და

შინაგანი მოუსვენრობის წინააღმდეგ (ანდაქსინი. ელანიუმი, სედექსინი, ამიზოლი, ლიბრიუმი); **ფსიქოანალეფსიური საშუალებანი** — სტიმულატორები (ბენაზინი, ტრანსამინი, ტოფრანილი — იგივე მელიპრამინი და სხვ.); **ფსიქომპათონიზირებელი საშუალებანი**, ანუ „მცირე სტიმულატორები“. კარგ შედეგს იძლევიან ნევროზული (არაფსიქოზური) დეპრესიის შემთხვევაში (ფენამინი, პერვიტანი, ცენტელრონი და სხვ.).

**ფსიქოპიგიენა** — პიგიენის უბანი, რომელიც იმუშავეებს ფსიქიკური ჩანმრთელობის განსამტკიცებელ ღონისძიებებს.

**ფტორიაზი** — პედიკულოზი, დატილიანება.

**ფუგა** — უეცარი, სრულიად გაუგებარი ლტოლვა გაქცევისაღმისწრაფების შეცულის მდგომარეობაში. გვხვდება ისტერიისა და ეპილეფსიის დროს. ეპილეფსიის ფუგას ადგილი აქვს ან გულყრის წინარე მდგომარეობაში (აურას სახით), ან გულყრის ჩათავების შემდეგ.

**ფუგისებური** — კლინიკური სურათი თავისი გამოსახულებით წაავსებს ეპილეფსიურ ფუგას.

### 3

**ჭაშუოცეფალია** — ბრტყელი მოყვანილობის თავის ქალა.

**ჭეროშანია** — იხ. ეიფორია.

**ჭეირომეგალია** — ხელის მტეენისა და თითების გაზრდა-გადიდება (გვხვდება აკრომეგალიის დროს).

**ჭეიროფობია** — წერის აკვიატებული შიში.

**ჭეიროლოგია** — აზრების გადაცემა, კონტაქტის დამყარება სპეცია-

ლური ექსტ-მიმიკური მოძრაობებით (მიმართავენ ყრუ-მუნჭები და ლოკოპედები).

**ჭორეია ინფექციური** — რევმენეცეფალიტის შედეგად ვითარდება ქორეული მოძრაობანი. ახასიათებს ეუნთთა ტონუსის დაქვეითება და ფსიქიკის მხრივ შემდეგი მოვლენები: ადვილი აგზნებადობა, ემოციური ლაბილობა, მესხიერების და-

ქვეითება, აპათიურობა, როგორც ყოველი ინფექციური დაავადების დროს, შეიძლება განვითარდეს მწვავე ფსიქოზური მოვლენები (დელირიული, ამენციური, შიზოფრენიის მაგვარი მდგომარეობა).

**ქორეა ქრონიკული პროგრესიული** — გადაიციმა შთამომავლობით. ხიანდება თავის ტვინის ქერქქვეშა კვანძების უჯრედები.

**ქორეული მოძრაობა** — სხეულის სხვადასხვა ნაწილის, სხვადასხვა ჩვეულის კუნთთა სწრაფი, უწყესრიგო, უნებლიე ხასიათის და ფართო ამპლიტუდის მოძრაობა. გვხვდება ქერქქვეშა სისტემის დაზიანებისას.

**ქრომატოფოზია** — ფერთა შიში. ღია ფერის აკვიატებული შიში.

**ქრომოფსია** — ფერადი მხედველობა. საგნები აღიქმება სხვადასხვა ფერში.

**ქრონაქსიმეტრია** — ქსოვილის აგზნებადობის გამოკვლევის მეთოდი გამლიზიანების მოქმედებასთან დაკავშირებით.

**ქსანტოფსია** — საგნების აღქმა ყვითელ ფერებში. გვხვდება სანტონინით მოწამელის, სიყვითლის დროს და ზოგჯერ ეპილეფსიის შემთხვევაში.

**ქსანტოქრომია** — თავ-ზურგტვინის სითხის მოწითალო, ყვითელი ფერი (შედეგია მასში სისხლის არსებობისა).

**ქტონოფოზია** — გაუკუღმართებული მიზილოლობა მიწის ქამისადმი.

## შ

**შიზოიდი** — გულჩათხრობილი, გამოუთქმელი, აუტისტურად განწყობილი.

**შიზოფაზია** — გაუგებარი, დარღვეული მეტყველება, ხშირად მრავალსიტყვიანი, აჩქარებული, დაუმთავრებელი სიტყვების და წინადადების სახით. ვხვდებით შიზოფრენიის შირსწასულ ეტაპზე.

**შიზოფრენია** (კრეპელინით, ნადარევი კეუასუსტობა, ბლოილერმა ბერძნული ტერმინი „ფსიქიკის გახლეჩილობა“ უწოდა) — იწყება ახალგაზრდა ასაკში. მიმდინარეობს პროგრესიულად, ხშირად ფსიქიკური დეფექტით (იხ. გამოსაჯელი მდგომარეობა). შიზოფრენიის გამომწვევი მიზეზი არ არის ცნობილი. არავალდებულები მნიშვნელობისაა პათოლოგიური მემკვიდრეობა. ადგილი აქვს

ტოქსიკოდეგენერაციულ ცვლილებებს ნერვულ სისტემაში, რომელიც პროცესის დასაწყისში დინამიურ ხასიათს ატარებს; შორსწასულ პერიოდში პათოლოგიური ცვლილებები ორგანულ დესტრუქციულ ხასიათს იღებს, ამიტომ შიზოფრენიის აღრეულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

შიზოფრენიის დროს გვხვდება დაუკავშირებელი მეტყველება, აზრთა გახლეჩილობა, გარემოდან მოწყვეტა და კარჩაკეტილობა. ვითარდება ემოციური სიციფე და პარადოქსულობა, ქრება ინტერესები, თანდათან ქვეითდება ფსიქიკური აქტივობა. სიმპტომთა ეს მრავალსახეობა ყალბდება თანდათან — პიროვნების ოდნავი ცვლილებებიდან (რომელიც ჯერ კიდევ შეუმჩნეველი ხდება გარემო-

მყოფთათვის) ღრმა შეცვლამდე, როდესაც აუცილებელია მათი სტაციონირება.

შიზოფრენიის კლინიკური სიმპტომატოლოგია სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაა. ამასთან დაკავშირებით მოწოდებულია ოთხი ტიპური კლინიკური ფორმა (კრეპელინის კლასიფიკაცია): მარტივი — შემპარავალ იწყება და ვითარდება. მარტივი ეწოდება სიმპტომთა სიმციროს გამო. დაავადებას ამჩნევენ მხოლოდ მაშინ, როდესაც თვალნათლივ იგრძნობა ამათია, შოდუნება, ემოციური განურჩევლობა. ამ მდგომარეობაში მყოფნი ტოვებენ ჩვეულ საქმიანობას, ეთიშებიან ამხანაგებს, ვითარდება ინტრაფსიქიკური ატაქსია, პათოლოგიური უცნაურობა და აზროვნების გაფხვიერება, პროგნოზი მძიმეა; კატატონიური — ხასიათდება გაუგებარი აგზნებით ან მოტორული შეკავებით (კატატონიური სტუპორი). მიმდინარეობისა და პროგნოზის მიხედვით არჩევენ ორი სახის კატატონიურ ფორმას — ონეიროიდულს და ლუციდულს (იხ.). ითვლება შიზოფრენიის ერთ-ერთ ძირითად ფორმად; პარანოიდული — იწყება მოგვიანებით. ახასიათებს ნელი მიმდინარეობა. ცნობიერების ნათელი ფონზე ვითარდება უხვი ბოდვითი პროდუქციები, პალუცინაციები (მომეტებულად სშენით). რემისიები იშვიათია. თანდათან ვითარდება ქეუასუსტობა; პეგეფრენიული (კაბუჯური) — ავთვისებიანად, უწყვეტად, პროგრადიენტულად მიმდინარე შიზოფრენია. უმეტესად ქვეყნე შეტევით იწყება და თანდათან ვითარდება. გვხვდება ახალგაზრდა ასაკში (16—18 წლები), დამახასიათებელია უაზრო სიცვლქე, ქარა-

ფშუტობა, მანერიანობა, გონებრივი სიცარიელე, რაც ქეუასუსტობაში გადადის.

შიზოფრენიის ატიპური ფორმები გამოირჩევა როგორც მიმდინარეობით, ისე კლინიკური თვისებებით: შ. ალკოჰოლური დემიუტიონ — იწყება თეთრი ცხელებით ან ალკოჰოლური სხვა სახის შეტევით (აგზნება, აგრესიულობა), რომლის ჩათაეებას შიზოფრენიული ფენომენოლოგიის გაშლა მოადევს; შ. ცირკულარული (პერიოდული, რემისიული, რეკურენტული) — შეტევით ხასიათს ატარებს, პიროვნების დეფექტი შედარებით ნელა ვითარდება. ავადმყოფი საგუებელია ოქახში, სამსახურში (გარკვეულ ძვრებამდე). შეტევები მანიაკური ან დეპრესიულია. ყოველი ახალი შეტევა აღრმაეებს შიზოფრენიისათვის დამახასიათებელ სიმპტომატიკას. მოკლდება ფაზებში ინტერვალის, იცულება კლინიკა (მანიაკურ მდგომარეობაში თავს იჩენს პარანოიდული ელემენტები). დეპრესია თავიდანვე შერეული ხასიათისაა. არაიშვიათად ადგილი აქვს კატატონიურ გამოვლინებას. პიროვნება ქვეითდება; შ. პერიოდული, პიპერტოქსიკური — საფუძვლად უდევს ავტონიტოქსიკაიური კრიზები. იწყება მწვეედ ფსიქომორტორული აგზნებით, ბოდვებით; პალუცინაციებით, შიშის აფექტიით (ახასიათებს სომატური სფეროს ჩათრევა, ტემპერატურის მომატება). რემისიის პერიოდში ავადმყოფი განაგრძობს შრომით საქმიანობას (პიროვნების ბირთვი შენახულია); შ. ფსიქასთენიურ-პიპოქონდრიული — დამახასიათებელია აკვიატებული სტერეოტიპული

მოქმედებანი, სომატოფრენიული შეგრძნებები; შ. ქალუცინაციურ ბოლვიითი — დამახასიათებელია სმენითი ქალუცინაციები და ბოლვიითი აზრები.

შიზოფრენია ბავშვთა — იწყება 2—5 წლის ასაკში, ეცვლება ხასიათი, ეკარგება ინტერესი, ხდება აუტისტური, ირღევეა დამოკიდებულება მშობლებთან (ბოლვიითი აზრები, ქალუცინაციები არ ითვლება დამახასიათებლად). მიმდინარეობს პროგრესიულად. შ. მოგვიანებული — ხნიერ ასაკში ვითარდება. ქარბობს ბოლვიითი აზრები, ადგილი აქვს ონეიროიდულ ეპიზოდებს, აფექტური ფონის ცვლილებებს. იძლევა რემისიებს. პიროვნების სპეციფიკური შიზოფრენიული შეცვლა მოგვიანებით ხდება.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სტატიკურ სინდრომოლოგიურ დიფერენცირებას დაემატა შიზოფრენიის დიფერენცირება. მიმდინარეობის მიხედვით: უწყვეტად მიმდინარე — ნელა, შეუმჩნევლად იწყება და თანდათან იხსნება (ნევროზისმაგვარ მდგომარეობას ემატება ბოლვიითი აზრები, ვითარდება ქალუცინაციები, პეფერენული და კატატონური სინდრომი); დუნედ მავალი (იწყება ახალგაზრდა ასაკში) — გამოირჩევა მეტად ნელი მიმდინარეობით და პიროვნების თანდათან შეცვლით. არაიშვიათია განდიდების ბოლვიითი აზრები; ქალუცინაცი-

ურ-პარანოიდული — მიმდინარეობა პროგრადიენტულია. კლინიკური სურათი მძიმეა და რთული; ავთვისებიანად მიმდინარე — ბავშვთა და ქაბუჯურ ასაკში გვხვდება. გამანადგურებლად ზიანდება ინტელექტური სფერო. კარგადაა გამოხატული ნეგატივიზმი; რეკურენტული (იგივე პერიოდული, ციკლულარული) — შიზოფრენიისათვის დამახასიათებელი კლინიკური სურათი მიმდინარეობს იმდენად ხანგრძლივი რემისიით (განსაკუთრებით დაავადების პირველ პერიოდში), რომ შესაძლებელი ხდება საქმიანობის გაგრძელება. ესოდენი კლინიკური ძიება შიზოფრენიისა სამკურნალო საშუალებათა დადგენის და გაუმჯობესების, რეაბილიტაციურ-რეადაპტაციის კენაა მიმართული.

შიზოფრენიის მაგვარი რეაქცია — ეგზოგენური ან ფსიქოგენური წარმოშობის ფსიქოზი, რომლის კლინიკურ გამოვლინებაში ადგილი აქვს შიზოფრენიისათვის დამახასიათებელ ზოგოვრთ კლინიკურ სიმპტომს.

შერუნჯი — აზროვნების პროცესის უეცარი, ხანმოკლე შეწყვეტა. დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის.

შფოთიანი ექვიანი ხასიათი — (ტერმინი სუხანოვის) — თავის მოქმედებაში დაურწმუნებელი. ყოყმანისა და ექვიანობისადმი მიდრეკილი.

## ჩ

„ჩავარდნა“ — იგულისხმება ნერვული სისტემის ხანმოკლე, დროებითი მოშლა ნევროზის ან ხანმოკლე

ფსიქოზის სახით. ემართებათ ფსიქოპათიურ პიროვნებებს (ტერმინი ი. პაელოვის).

## G

**ცენესთეზია** — დებერსონალიზაცია, საკუთარი მეს შეგარძნების დაკარგვა.

**ცენესტოპათია** — უსიამოვნო დიფუზური შეგარძნება მთელ სხეულში (იხ. სენესტოპათია).

**ცერებრასტენია** — მყარი ასთენიური მდგომარეობა, რომელიც ვითარდება ტვინის დაზიანებისა და რემატული ენცეფალიტის შედეგად. ფსიქიკური ფუნქციების საერთო სისუსტის და განღვინის გარდა თან ახლავს ნერვული სისტემის მოშლის მთელი რიგი სიმპტომები: ჰიპერარელექსია, თითებისა და ენის წვერის ტრემორი, ვესტიბულური მოშლა, თავ-ზურგტვინის სითხის წნევის მომატება.

**ცერებროპათია** — იხ. ენცეფალოპათია.

**ცეფალალგია** (იხ. ცეფალგია, ცეფალეია) — თავის ტკივილი.

**ცეფალალგიური ფსიქოზი** — თავის ძლიერი ტკივილით გამოწვეული მწვავე ფსიქოზური მდგომარეობა, რომელიც ხშირად ბინდისებური მდგომარეობით მიმდინარეობს.

**ციკლოთიმია** — მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის მსუბუქი ფორმა, ახასიათებს გუნებ-განწყობის ცვალებადობა (დეპრესიული მანიაკური ფაზების სახით).

**ციკლოსომია** — ციკლოთიმის დებრესიული ფაზის ექვივალენტური მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება მხოლოდ ფიზიკური ნიშნებით: მადის დაკარგვა, ძილის მოშლა, თავის ტკივილი, თავბრუ, სენესტოპათიური შეგარძნებები (შეიძლება არ

ახლდეს გუნებ-განწყობის დაქვეითება).

**ციკლოფრენია** (რიბაკოვის ტერმინი) იხ. მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზი.

**ცინორექსია** — იხ. ბულიმია.

**ცისტენცეფალია** — იხ. ჰიდროცეფალია.

**ცნობიერება** — ორიენტაციის უნარი ადგილში, დროში, გარემოში, საკუთარ აზრებში. ცნობიერების აბნევის (მეორადი პროცესი) სახეებია: აბნესტიური აბნევა — დამოკიდებულია მეხსიერების მოშლასე. ახალ შთაბეჭდილებათა და წარსულ წარმოდგენათა შორის კავშირის სრული გაწყვეტა; ასოციაციური აბნევა — იდეათა უთავბოლო შეუღლება; აფექტური აბნევა — ცნობიერების შეცვლა მძაფრად გამოხატული აფექტური მდგომარეობის ზეგავლენით; ბოღეითი აბნევა — გარემოს არასწორი გაგება და შეფასება ბოღეითი იდეების შინაარსის გავლენით; დემენციური აბნევა — მიღებულ შთაბეჭდილებიდან დასკვნის გამოტანის შეუძლებლობა, წარმოდგენათა და ცნებათა მარაგის თანდაყოლილი სიღარიბისა და შემდეგ გაღარიბების გამო; მანიაკური აბნევა — საკუთარ აზრებში ორიენტაციის შეუძლებლობა ასოციაციური პროცესების აჩქარების გამო; პალუცინაციური აბნევა — გარემოს არასწორი გაგება პალუცინაციითა სიუხვის გამო.

**ცნობიერების აშლა** (პირველადი პროცესი) — არასრული ნათელი ცნობიერება, გარემოსთან კონტაქტის დამყარების შეუძლებლო-

ბა; ბინდისებური ცნობიერება — გარემოს აღქმა ჰალუცინაციურად ან ილუზორულად; სომნამბულური ცნობიერება — ცნობიერება შეცვლილია ფსიქიკური ტრავმის რეპროდუქციის გამო; სიზმრისებრი ცნობიერება — შინაგანი კავშირის თითქმის სრული გაწყვეტა სინამდვილესთან, სამყარო მოქმედებს სუბიექტზე როგორც გარეშე გამლიზიანებელი ფაქტორი; ცნობიერების ღრმა დასშობა — გარეშე გალიზიანებაზე რეაქციათა სრული მოსპობა; ცნობიერების შეცვლა — გამოწვეული ფიზიკური ფაქტორით (სოპორი, კომა და მისთ.).

ცნობიერების დაბინდვა — ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის განვითარება უეცრივ: ორიენტაციის მოშლა, ილუზიები, ჰალუცინაციები, ცხოვრებისეული ბოღებითი აზრები (ავადმყოფი საშიშია გარემო წრისათვის).

წერის სპაზმი ანუ ქეიროსპაზმი — ხელის მტევნის კუნთების კრუნჩხვა, ვითარდება უეცრად, წერის დროს.

ჰაეროვანი ბალიში — ერთ-ერთი სიმპტომი კატატონიისა. ავადმყოფს თავი გაჩერებული აქვს ბალიშის ზემოთ ისე, თითქოს ბალიშზე უდევს. დამახასიათებელია შიზოფრენიის კატატონიური ფორმისათვის.

ჰალუცინაცია — ცრუ მოჩვენება (ლათინური ტერმინია).

ჰალუცინაცია ავტოსკოპიური —

ცნობიერება ონეიროიდული — ცნობიერების აშლის სახე. სცენიური შინაარსის მრავალი ჰალუცინაციური და ილუზიური განცდები, რომელშიაც ავადმყოფი თავს მონაწილედ თვლის, ამავე დროს გარეგნული გამოხატულება სრულიად არ არის შეფარდებული განცდებთან. ავადმყოფი იმყოფება ან გაუგებარი აგზნების, ან სტუპორის და სუბ-სტუპორის მდგომარეობაში, მდგომარეობიდან გამოსვლა ხდება კრიზისით; გადატანილი განცდების მიმართ ავადმყოფი კრიტიკულია. ონეიროიდული მდგომარეობის ამნეზია არ ხდება, ავადმყოფი თვითონ გადმოგვეცემს თავისი უჩვეულო განცდების შინაარსს. გვხვდება ეგზოგენური ფსიქოზისა და შიზოფრენიის დროს.

ცნობიერება სომნამბულური — ცნობიერების აშლა გამოიხატება მიღებული ფსიქიკური ტრავმის რეპროდუქციაში (ისტერიული რეაქცია).

## წ

წითელი ღერმოგრაფიზმი. — იხ. დერმოგრაფიზმი.

## ჭ

მხედველობითი ჰალუცინაცია; ავადმყოფი თავის თავს ხედავს როგორც ორეულს.

ჰალუცინაცია ანტაგონისტური — ერთდროულად ორი საწინააღმდეგო შინაარსის ჰალუცინაცია (ერთ ყურში ესმის ლანძღვა, მეორეში საალერსო სიტყვები).

ჰალუცინაცია ექსტრაკამპული —

მხედველობითი ჰალუცინაცია, რომელიც იხატება მხედველობის ველის გარეთ.

**ჰალუცინაცია ვერბალური** — სმენითი ჰალუცინაცია ცალკეული სიტყვების ან რთული ბაასის სახით (დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის).

**ჰალუცინაცია ვისცერალური** — სხეულზე შეიგრძნობს საგნებს, ცხოველებს, მცოცავ მატლებს, მუცელში ბაყაყს და მისთ.

**ჰალუცინაცია იმპერატიული** — ბრძანებითი ტონის სმენითი ჰალუცინაცია. ავადმყოფს ესმის ხმა, რომელიც უბრძანებს რაიმე მოქმედებას, ხშირად სოციალურად საშიშს, რომელსაც ავადმყოფი უყოყმანოდ ემორჩილება. გვხვდება შიზოფრენიის დროს.

**ჰალუცინაცია მიკრომანული** — მხედველობითი ჰალუცინაცია (ეჩვენება მწერები, დაპატარავებული საგნები).

**ჰალუცინაცია ნარჩენი (რეზიდუალური)** — მწვავე ფსიქოზის გაუფერულების შემდეგ კარგახანს შემორჩენილი ჰალუცინაციური განცდები.

**ჰალუცინაცია პანორამული** — მხედველობითი ჰალუცინაცია რთული სცენიური შინაარსის.

**ჰალუცინაცია პერსონიფიკაციური** — მხედველობითისა და სმენითის შერწყმა.

**ჰალუცინაცია პოლიფონიური** — მრავალხმოვანი ჰ.

**ჰალუცინაცია რეფლექტორული** — ასოციაციათა წარმოდგენით გამოწვეული ჰ.

**ჰალუცინაცია სტაბილური, მუდრი (კალბაუმი)** — ერთი და იგივე შინაარსის ჰალუცინაციის მუდმივი გამეორება.

**ჰალუცინაცია ჰეშმარიტი** — აღ-

ქმა, რომელიც იქნება რეალური ობიექტის გარეშე (ანუ უობიექტო აღქმა). ითვლება ფსიქიკური დაავადების ერთ-ერთ ძირითად სიმპტომად. ახასიათებს ნორმალური აღქმის უველათიზაციური ნიშანი (ფერი, ფორმა), რეალურად განიცდება; მისი პროექცია სიერტეში ხდება. ჰალუცინაცია 'მიძღვება' იყოს სხვადასხვა მოდალობის: სმენის, მხედველობის, ყნოსვის, გემოვნების და შეხების. სხვადასხვა დაავადებას სხვადასხვა სახის ჰალუცინაცია ახასიათებს. მაგალითად, შიზოფრენიისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სმენისა და ყნოსვის; ინტოქსიკაციური ფსიქოზის დროს უფრო ხშირად აღვილი აქვს მხედველობით ჰალუცინაციებს. მდგომარეობას, როდესაც ჰალუცინაციის პროექცია სიერტეში არ ხდება, მაგრამ დანარჩენი ნიშნები შენარჩუნებული აქვს (რეალობა, ფიზიკალობა), ფსევდოჰალუცინაცია ეწოდება.

**ჰალუცინაცია ჰიპნოკოკური** — დამინების წინ წარმოშობილი ჰ. (მეტწილად მხედველობითი ხასიათის).

**ჰალუცინაცია ჰიპნოკომპური** — გალვიებისას განვითარებული ჰ. (მცირეა ფსიქიკური აქტივობა, ლოგიკური აზროვნება, ვითარდება ემოციურად შეფერადებული წარმოსახვები).

**ჰალუცინოზი** — ფსიქოპათოლოგიური სინდრომი, რომელიც წარმოდგენილია უხვი და ინტენსიური ჰალუცინაციების სახით (ხშირად სმენითი ხასიათის). გვხვდება ქრონიკული ალკოჰოლიზმის, თავის ტვინის სიფილისური ფსიქოზის და შიზოფრენიის მოგვიანებულ სტადიაში.

**ჰარმონიული** — შეხმოვანებული, შესმატებილებული.

**პაშიშისი** — პაშიშის მიღებით გამოწვეული ნარკომანიის ერთ-ერთი სახე. ახასიათებს ცხოველი ილუზიური განცდები, მთვრალისებური მდგომარეობა, კოორდინაციის მოშლა, პარესთეზიები (პაშიშის სინდრომები: ანაშა, პლანი).

**ბელიოფობია** — მზის სინათლის, მზის სხივების შიში.

**ბელმოფილია** — პათოლოგიური ლტოლვა მზისადმი.

**ბემატოფობია** — სისხლის დანახვის შიში.

**ბემიანაკუზია** — სმენის დაკარგვა ცალ ყურაში.

**ბემიანალგეზია** — ტკივილის შეგრძნების დაკარგვა სხეულის ნახევარ მხარეზე.

**ბემიანესთეზია** — მგრძნობელობის დაკარგვა სხეულის ნახევარ მხარეზე.

**ბემიკრანია** — ნახევარი თავის ტკივილი (შაკიკი).

**ბემიპარეზი** — ნახევარი სხეულის კუნთების სისუსტე.

**ბემიპლევია** — ნახევარი სხეულის დამბლა.

**ბემუნგი** — ფსიქიკური პროცესების თანდათანობითი შეკავება. დამახასიათებელია მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის დეპრესიული მდგომარეობისათვის, მელანქოლიისათვის.

**ბენდონიზმი** — ძველი საბერძნეთის გაბატონებულ კლასებში გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად ადამიანის მიზანს უნდა შეადგენდეს სიამოვნება და ინსტინქტური სურვილების დაკმაყოფილება.

**ბერმოფროდიტიზმი** — მამაკაცის და ქალის სასქესო ნიშნების თანაარსებობა (თქმულებით, ფერია სალომაკიდამ შეიყვარა აფროდიტეს ვაჟი

პერმაფროდიტოსი და ღმერთებს მასთან შეერთება სთხოვა. ღმერთებმა თხოვნა შეუსრულეს და ქალ-ვაჟი ერთ არსებად შეაერთეს. ასე შეიქმნა ორსქესიანი არსება).

**ბეროფროდიზია** — სქესობრივი გაუკუღმართების სახე, როდესაც ჰომოსექსუალობასთან ერთად არსებობს ეპიზოდური მიზიდულობა მოწინააღმდეგე სქესისადმი.

**ბეტერონომული** — პიროვნებისათვის უცხო, უჩვეულო რეაქცია, განსხვავებით ჰომონომურისაგან.

**ბეტეროტოპია** — არასწორი განლაგება ანატომიურ-პისტოლოგიური სტრუქტურებისა, მაგალითად, თავის ტვინის თეთრ ნივთიერებაში რუხი ნივთიერების არსებობა (ადგილი აქვს ეპილეფსიის, ოლიგოფრენიის შემთხვევაში).

**ბიგროფობია** — სინესტიის შიში.

**ბიდროფობია** — წყლის შიში. ცოფის ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომი.

**ბიდროცეფალია** — თავის ტვინის წყალმანკი. თავის ქალაში თავ-ზურგტვინის სითხის რაოდენობის მომატება.

**ბიპაკუზია** — სმენის სიმახვილის დაქვეითება.

**ბიპალგეზია** — ტკივილის მგრძნობელობის დაქვეითება.

**ბიპერაკუზია** — სმენის გამასვილება (ისტერიის, ნევრასთენიის დროს).

**ბიპერალგეზია** — ტკივილის მგრძნობელობის მომატება.

**ბიპერბულია** — გაძლიერებული აქტიუობა, გაზვიადება.

**ბიპერგლიემია** — სისხლში შაქრის რაოდენობის მომატება.

**ბიპერესთეზია** — მგრძნობელობის მიმღები აპარატის აწეული აგზნება-



დობა, რის შედეგადაც გალიზიანება შეიგრძნობა ნორმაზე უფრო მეტად (მაგალითად, თერმული ჰიპერესთეზია, ჰიპერაკუზია). ადგილი აქვს ემოციური განლევის, სისუსტის, ასთენიური, ნევრასთენიული სინდრომების დროს.

**ჰიპერვენტილაცია** — კრუნჩხვითი გულყრის ხელოვნურად გამოწვევა ხშირი და ღრმა სუნთქვითი მოძრაობებით. მიმართავენ ეპილექსიური დაავადების დასადგენად როგორც სადიაგნოზო საშუალებას.

**ჰიპერთერმია** — მკურნალობის მიზნით სხეულის ტემპერატურის ხელოვნურად აწვევა (მაღარიის აცრით, გოგირდის პრეპარატების შეყვანით და სხვ.).

**ჰიპერთიმიკი** — აგზნებადი ფსიქოპათი, ახსიათებს მუდმივ აწეული გუნებ-განწყობა, გადაქარბებული ოპტიმიზმი, თავის შესაძლებლობის გადაფასების ტენდენცია. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, მსგავს ფსიქოპათებს მიდრეკილება აქვთ სთენიური აფექტებისადმი.

**ჰიპერთირეოზი** — ხ. ბ ა ზ ე დ ო ე ის და ა ე ა დ ე ბ ა.

**ჰიპერკინეზი** — ნაძალადევად წარმოშობილი ისეთი უნებლიე (ავტომატური) მოძრაობა, რომელიც მოკლებულია ფიზიოლოგიურ დანიშნულებას. ჰიპერკინეზებს ეკუთვნის: სტატიკური ტრემორი, ქორეაქტიული, კლონური და ტონური კრუნჩხვები.

**ჰიპერმასტია** — განვითარების ანომალია. სარძევე ჭირკვლების ზედმეტი რაოდენობა (იხ. პ ო ლ ი მ ა ს ტ რ ი ა).

**ჰიპერმნეზია** — მეხსიერების გამახვილება. გვხვდება ინტოქსიკაციური ფსიქოზის დროს.

**ჰიპეროზოპია** — გაძლიერებული ყნოსვა.

**ჰიპერპათია** — ჰიპერესთეზიის სახეთაგანი, როდესაც აგზნებადობის ზღურბლი მომატებულია, სოლო მგრძობილობის რეაქციას თან ახლავს უსამოვნო განცდა (წეის შეგრძნება). ატარებს დიფუზურ ხასიათს, ავადმყოფი ვერ ახერხებს აღნიშნული შეგრძნების ლოკალიზაციას. მაჩვენებელია მხედველობის ბორცვის დაზიანებისა.

**ჰიპერსალივაცია** — იხ. ს ა ლ ი ვ ა ც ი ა.

**ჰიპერსთენიური ნევრასთენია** — ახსიათებს გადაქარბებული აგზნებადობა, გამღიზიანებლობა, გუნებ-განწყობის სწრაფი ცვალებადობა. საფუძვლად უდევს შინაგანი შეკავების სისუსტე.

**ჰიპერტრიქოზი** — გადაქარბებული თმianობა.

**ჰიპერფატიგაცია** — გადაღლა, გადაძაბვა, რაც ხშირად ხელს უწყობს ნევროზით დაავადებას.

**ჰიპერჰიდროზი** — ოფლის გაძლიერებული გამოყოფა.

**ჰიპესთეზია** — დაწეული მგრძობილობა.

**ჰიპნალგია** — ნევრალგია, რომელიც ვლინდება მხოლოდ ძილში ან გამოღვიძების და ამძინების პერიოდში.

**ჰიპნოზი** — ხელოვნურად გამოწვეული ძილისმაგვარი მდგომარეობა. ამ დროს ნერვული სისტემა შეკავებულია, შენარჩუნებულია მხოლოდ გარკვეული უბანი, რომლის საშუალებითაც მკურნალობის მიზნით ექიმი კონტაქტს ამყარებს (რაპორტი) ავადმყოფთან. ფსიქოთერაპიის სახეთაგანია.

**ჰიპნოზური სონამზულიზმი** —

ჰიპნოზური მდგომარეობის ყველაზე ღრმა სახე. ექიმის ბრძანებით ავადმყოფის მიერ ყოველგვარი მოქმედების შესრულება (დაჭეკი, აღეკი, გააღე თვალები, მიასსუბე შეკითხვაზე, გაისხენე გუშინდელი ღღე, საღ იყავი, რა იყო, რა მოხდა და მისთ.).

**ჰიპნოიდური ფაზები** — იხ. ფ ა ზ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა .

**ჰიპნოიდფსია** — ეპიზოდურად ძილისადმი ჰარბი მიდრეკილება.

**ჰიპნოლოგიური მდგომარეობა** — გარდამავალი მდგომარეობა ძილსა და სიფხიზლეს შორის (იხ. ფაზური მდგომარეობა).

**ჰიპნონარკოზი** — ჰიპნოზური საშუალებით გამოწვეული უმტკივნეულობა.

**ჰიპნონია** — ზანგთა ძილის ავადმყოფობა (ძილად მივარდნა).

**ჰიპნოპედია** — სწავლება ჰიპნოზურ მდგომარეობაში. არის შეხედულება, თითქოს ყველა ინფორმაციის გზა იხშობა ერთის გარდა. ამ გზით მიმავალი პედაგოგის განმარტება უმალვე ამახსოვრდება ადამიანს. ეს მეცნიერული ძიება დაუდგენელია.

**ჰიპოთერმესტეზია** — სითბოს შეგრძნების დაქვეითება.

**ჰიპოთიმიკი** — ფსიქოპათიის ფორ-

მათგანი, ახასიათებს მუღმივ დაწეული გუნებ-განწყობა, პესიმისტური დაყენება.

**ჰიპოთირეოზი** — ფარისებრი ჯირკელის ფუნქციის დაქვეითება.

**ჰიპოშიზია** — მიშიკის სილარიბე, ანუ ნიღბისებური სახე. გეხედება ენცეფალიტური პარკინსონის დაავადების ღროს და ნეიროლეფსიური მეტოღებით მკურნალობის პერიოდში.

**ჰიპოშენზია** — მეხსიერების შესუსტება. დამახასიათებელია ორგანული ფსიქოზისათვის.

**ჰიპორექსია** — მადის დაქვეითება.

**ჰიპოსთენიური ნევრახთენია** — ახასიათებს აპათია, მოღუნება, დაქვეითებული გუნებ-განწყობა, ძილისადმი მიდრეკილება. საფუძვლად უდევს როგორც შინაგანი შეკავების, ისე ავზნების პროცესების სისუსტე.

**ჰიპოსშია** — ყნოსვის დაქვეითება.

**ჰიპოფრენია** — ფსიქიკური ტონუსის შესუსტება.

**ჰიპოილოფობია** — იხ. ა ნ ტ რ ო - პ ო ფ ო ბ ი ა .

**ჰიპოციდალური ტენდენცია** — მიდრეკილება ადამიანის მოყვლისადმი.

**ჰიპოციდომანია** — იხ. ფ ო ნ ო - მ ა ნ ი ა .

გამომცემლობის რედაქტორი ი. ხუნდაძე  
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი  
ტექნიკური რედაქტორი ნ. მანიჯაშვილი  
კორექტორი ნ. თავაძე  
გამომშვები დ. იაშანიძე

გადაეცა წარმოებას 28/VI-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად  
27/I-77 წ. საბეჭდი ქაღალდი 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>, პირობითი ნაბეჭდი  
თაბახი 4,62. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,41.  
ტირაჟი 10.000. შეკვ. № 770.

ფასი 82 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამსახვომის  
სტამბა № 4. თბილისი 380060, შედქალაქის II კორპ.  
Тбилисская типография № 4 Госкомиздата Совета Министров  
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок, II корп.

Варвара Федоровна Сваши  
Елена Ермолаевна Накашидзе

Толковый словарь психиатрии

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1977